ჩემი სარწმუნოება

3

რწმენის საფუძვლებს ვსწავლობ – 1

ჩემი სარწმუნოება

3

მოამზადეს:

ფარუქ სალმანმა

ნაზიფ ილმაზმა

დრ. რეჯეფ ოზდირექმა

რწმენის საფუძვლებს ვსწავლობ — 1

بسم الله الرحمن الرحيم

მთარგმნელები:

ადამ შანთაძე
ბადრი შანთაძე
თემურ გორგაძე
ომარ ქამადაძე
ლევან გურგენიძე
რუსლან აბაშიძე
ზურაბ მიქელაძე
ალექსანდრე ნაკაიძე
ზებურ ხოზრევანიძე

რედაქტორი:

ნაზიბროლა კოჩალიძე

თეოლოგიური რედაქტორი:

გელა გოგიტიძე

კორექტორი:

მზია შანთაძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა:

როინ კოჩალიძე

თარგმნილია:

BENIM GUZEL DINIM 3

ტირაჟი: 2000

სტამბული 2013 - წელი

ISBN: 978-9941-0-0734-7 (ყველა წიგნის)

ISBN: 978-9941-0-2486-3 (მესამე წიგნის)

წინასიტყვაობა

ქება-დიდებაუზენაესალლაჰს,რომელმაცჩვენუმშვენიერესისარწმუნოებით-ისლამით დაგვაჯილდოვა.

ალლაჰის ლოცვა და სალამი ძვირფას შუამავალს, რომელმაც ისლამი საკუთარ ცხოვრებაში უნაკლოდ დაამკვიდრა და ჩვენც შეგვასწავლა.

ძვირფასო ბავშვებო!

წუთისოფელში ჩვენი ყველაზე დიდი სიმდიდრე რწმენაა. ჩვენი ამქვეყნად ყოფნის ძირითადი მიზანიც რწმენით ცხოვრება და საიქიოში ალლაჰის წინაშე პირნათელი წარსდგომაა.

ჩვენი სარწმუნოების საფუძველი ალლაჰის სიყვარული და მისი რწმენაა. რწმენა ჯერ გულში მტკიცდება, შემდეგ კი ჩვენ ქმედებებში აისახება. გულის სიღრმეში ჩანერგილი, გამჩენი ღმერთის სიყვარული გვასწავლის, რომ კარგ ადამიანად ჩამოვყალიბდეთ, მისი ბრძანებები შევასრულოთ და მის მიერ აკრძალულისგან თავი შორს დავიჭიროთ. კარგი ქცევებითა და ღვთისმსახურებით ჩვენს გულებში რწმენასა და ალლაჰის სიყვარულს უფრო განვიმტკიცებთ.

ძვირფასო ბავშვებო!

წმინდა შუამავლის მიერ ნაქადაგებმა რწმენამ, ისლამმა, ჭეშმარიტი მორწმუნეების ძალისხმევით, ჩვენამდე მოაღწია. ისინი რწმენის ცხოვრებაში დამკვიდრებას ცდილობდნენ, რათა ის მომავალი თაობებისთვის უნაკლოდ გადაეცათ. ამგვარად, ისლამის სიბრძნემ ხელიდან ხელში, გულიდან გულში, ენიდან ენაში გადაცემით ჩვენამდე მოაღწია. წმინდა შუამავლის მიერ ნაქადაგები ძვირფასი რწმენის მიხედვით ცხოვრება თქვენ უნდა გააგრძელოთ. ჩვენი მოვალეობაა, ეს ბრწყინვალე სარწმუნოება საუკეთესოდ შეგასწავლოთ. მადლობა ღმერთს, რომ ამ მიზნით წამოწყებული ჩვენი საქმიანობა დღითიდღე წინ მიიწევს.

წიგნის **„ჩემი სარწმუნოება“ - „ღვთისმსახურებას ვსწავლობ“ I-II** ნაწილი ადრე გამოიცა. მან თქვენი დიდი მოწონება დაიმსახურა. მადლობა ღმერთს, იმაზე უკეთესი გამოვიდა, ვიდრე ჩვენ გვეგონა. ეს წიგნები ქართულ, რუსულ, ინგლისურ, ყაზახურ, აზერბაიჯანულ, ჩინურ, სპარსულ და გერმანულ ენებზეც ითარგმნა და ამჟამად სხვა ენებზეც ითარგმნებოდა. თქვენს ხელთ არსებული წიგნი **„რწმენის საფუძვლებს ვსწავლობ-1“** რწმენის ძირითად საფუძვლებს შეიცავს. ამ წიგნში მოცემული საკითხები რელიგიას, ალლაჰისა და ანგელოზების რწმენას დაეთმო. შუამავლების, განკითხვის დღისა და ბედისწერის რწმენის საკითხები მოცემულია წიგნში **„რწმენის საფუძვლებს ვსწავლობ-2“**

❋ აღნიშნულ თემაზე მუშაობისას ამ საკითხთან დაკავშირებით ადრე გამოცემულ წიგნებსაც გადავხედეთ და მათში განთავსებული მასალებითაც ვისარგებლეთ. გვსურდა თქვენი სულიერი სამყაროსთვის ახალი გემო და ახალი სურნელი

მიგვეცა. წიგნზე მუშაობისას გავითვალისწინეთ ქვემოთ აღნიშნული საკითხები.

- უკეთ გასაგები რომ ყოფილიყო, ყველა საკითხი თემასთან დაკავშირებული მოთხრობით დავიწყეთ.
- რწმენის წყაროდან, ყურანიდან, აიათები და წმინდა შუამავლის ჰადისები ჩარჩოებში მოვათავსეთ, რათა ისინი უფრო იოლად გაიგოთ და შეისწავლოთ.
- რწმენის პირობები უფრო უკეთ და იოლად გასაგები რომ ყოფილიყო, გადავწყვიტეთ, წიგნში საკითხთან დაკავშირებული მაგალითები, მოთხრობები, სურათები და ნახატები ჩაგვესვა.
- წმინდა შუამავლის, მისი ერთგული მეგობრებისა და ისლამის სწავლულების ცხოვრების ეპიზოდების გადმოცემით, საინტერესო თავგადასავლების მოყოლით, მიზნად თქვენი გულების განათება დავისახეთ.
- ზოგიერთ შემთხვევაში საკითხები სქემატური სახით გადმოვეცით.
- ყველა თავში ჩავსვით თქვენთვის საინტერესო და სახალისო ლექსი, რომელსაც სიამოვნებით წაიკითხავთ და დაიზეპირებთ.
- საკითხები რომ თქვენთვის ადვილად გასაგები ყოფილიყო, მარტივი ენით გადმოვეცით. საკითხები, რომელთაც, ჩვენი აზრით, შემდგომ ისწავლით, წიგნში არ შეგვიტანია.
- ვედრება ალლაჰთან დამაკავშირებელი ერთ-ერთი საშუალებაა და ის ჩვენ გამჩენ ღმერთს ძალიან უყვარს. ის ჩვენი ღვთისმსახურების არსი და რწმენის ერთ-ერთი ნიშანია. წიგნის გვერდებზე ძევს თქვენი იმ მეგობრების სურათები, რომლებიც ხელებაპყრობილნი ღმერთს ევედრებიან.

- ყველა თემის ბოლოში თქვენი ცოდნის შესამოწმებელი შეკითხვებია

ვიმედოვნებთ, თქვენს ლამაზ ვედრებებში მათაც გაგვიხსენებთ, ვისაც ამ წიგნის შედგენაში ამაგი მიგვიძღვის. თქვენ კი წარმოგიდგენთ წიგნს „რწმენის პირობებს ვსწავლობ“.

გული-რწმენით, ცხოვრება-ისლამით, სული წყალობით გაგნათებოდეთ! ანგელოზები თქვენი თანამგზავრები ყოფილიყვნენ, კარგი ადამიანები დაგმეგობრებოდეთ და უზენაესი ალლაჰი ყოფილიყოს თქვენი მფარველი და დამხმარე. ცხოვრების გზა სამოთხემდე ხსნილი გქონოდეთ!

ფარუქ სალმან
ნაფიზ ილმაზ
დრ. რეჯეფ ოზდირექ
იანვარი 2009 / უსქუდარი

სარჩევი

გზა, რომელსაც ალლაჰთან მივყავართ / 7

თაჰირი და მაჰირი..... 8
ადამიანი და სარწმუნოება.....13
რწმენის სარგებელი.....16
გამოუყენებელი საპონი.....20
ისლამი: ჭეშმარიტი რჯული.....22
ჩემი სარწმუნოება.....24
ისლამის თავისებურებანი 25
წმინდა შუამავალი - რელიგიური ცხოვრების უნიკალური მაგალი-
თი.....28
შეკითხვები.....31

სააქაოში სულიერი სიმშვიდის და საიქიოში სამოთხის გასაღები
რწმენა / 35

თურმე მწამდა, მაგრამ აზრზე არ ვიყავი.....36
რწმენა.....39
ასე შეიცვალა მისი ცხოვრება.....42
ადამიანთა კატეგორია, რწმენის მხრივ.....45
შუამავლის სამახარობლო.....49
რა უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ რწმენა გაგვიძლიერდეს?.....50
უძვირფასესი ფრაზა.....54
კაცი, რომელმაც იცის, თუ როგორ უნდა დასვას შეკითხვა.....57
რას შეგვძენს რწმენა.....60
წმინდა შუამავლის რწმენა.....63
თეთრ ტანსაცმლიანი უცხო პიროვნება.....65
რწმენის საფუძვლები.....66
კითხვები 67

სამყაროს ღმერთის
ალლაჰის რწმენა / 71

ბავშვი, რომელსაც ალლაჰის სწამს....72
თითოეული ხელოვნების ნიმუში, ხელოვანის არსებობაზე მიუთითებს.... 74
უზენასესი ალლაჰი....76
ებუ ჰანიფეს პასუხი....77
სამყაროს უზადო წესრიგი....79
სამ კითხვაზე ერთი პასუხი....81
უზენაეს ალლაჰს თავისებურებებით შევიცნობთ....83
ალლაჰის თავისებურებანი....84
მერძევის ქალიშვილი....86
ღმერთო ჩემო! შენი ვიწამე და მთელი გულით შეგიყვარე....91
ახალგაზრდა ვაჟკაცის რწმენა....93
ესმაულ ჰუნსა....96
რას შეგვძენს ალლაჰის რწმენა....99
ალლაჰის სიყვარული....102
ღვთისმსახურების აორტა — ვედრება....104
მე დავასუფთავებ შენ კი მორწყე....106
რაა საჭირო იმისათვის, რომ იყო მუსლიმი?....108
ვინ გადაარჩენს?....109
შუამავალს ალლაჰი ძალიან უყვარდა....110
კითხვები....113

სიკეთისა და სილამაზის სიმბოლო
ანგელოზების რწმენა / 117

ანგელოზის ხმა....118
ხილული და უხილავი არსებები....120
ანგელოზების დაჯერება....121
რას შეგვძენს ანგელოზების დაჯერება?....125
ანგელოზები მორწმუნეებისთვის ვედრებას აღავლენენ....129
ანგელოზები, სატანა და ადამიანი....131
ეშმაკი....134
ალლაჰის შუამავალი და ანგელოზები....137
კითხვები....141

რწმენა

გზა რომელსაც ალლაჰთან მივყავართ

- *სარწმუნოების განმარტება*
- *რწმენის სარგებელი*
- *ისლამის თავისებურებანი*
- *შუამავლის, როგორც სამაგალითო პიროვნების, როლი სარწმუნოებაში*

თაჰირი და მაჰირი

უწინ, ერთ-ერთი მთის ძირას ულამაზესი ქალაქი იყო გაშენებული. იმ ქალაქში ცხოვრობდა ორი ძმა, რომლებსაც სახელად თაჰირი და მაჰირი ერქვათ. ერთხელ ქალაქში ხმა გავრცელდა, რომ იქვე ახლოს, მთაზე, უახლოეს მომავალში ამოიფრქვეოდა ვულკანი, რომელიც მთელ ქალაქს გაანადგურებდა. თაჰირს სჯეროდა, რომ ამქვეყნად სხვა ისეთ ქალაქს იპოვიდა, რომელშიც ბედნიერად იცხ-



ოვრებდა. არც მაჰირი აპირებდა წალეკილ ქალაქში ცხოვრებას, ბოლოს ორივემ ქალაქის მიტოვება გადაწყვიტა. მეორე დღეს, დილაადრიან, ორივე ძმა სხვაგან საცხოვრებლად გზას გაუდგა. ცოტა ხნის შემდეგ ისინი ერთ ადგილს მიადგნენ, სადაც გზა ორად იყოფოდა და ერთი მარჯვნივ, მეორე კი მარცხნივ მიდიოდა. ძმები ფიქრობდნენ, თუ რომელი მიმართულებით გაეგრძელებინათ გზა. ამ დროს მათ ერთი ადამიანი შემოეფეთა, რომელმაც ძმები ასე დაარიგა:

„მარჯვნივ მიმავალი გზა უმშვენიერეს ქალაქამდე მიგიყვანთ. ოღონდ ეს გზა სხვადასხვა საგზაო ნიშნებითა და წესებითაა სავსე. თუკი ამ გზით წასვლას გადაწყვეტთ, მკაცრად უნდა დაიცვათ მოქმედი წესები, გზად არაფერი უნდა დააბინძუროთ, ყველას კარგად უნდა მოექცეთ, მხოლოდ ის უნდა ჭამოთ, რისი ნებართვაც გექნებათ, გახსოვდეთ, ამ გზას ჰყავს მფლობელი, რომელიც მოძრაობის წესებს ადგენს. თუკი გზაზე ყველა ნიშანს დაემორჩილებით, უხიფათოდ მშვიდად დაასრულებთ მგზავრობას და უმშვენიერეს ქალაქამდეც ადვილად მიაღწევთ.

რაც შეეხება მარცხნივ მიმავალ გზას, აქ არავითარი საგზაო ნიშანი და წესი არ მოქმედებს. ამ გზაზე თავისუფლად შეგიძლიათ იაროთ. თუმცა ეს გზა სახიფათოა. შესაძლებელია, ნებისმიერ დროს ყაჩაღები და მტაცებელი ცხოველები შეგხვდნენ, გაგქურდონ, ან კიდევ სიცოცხლეს გამოგასალმონ.“

თაჰირი და მაჰირი ცოტა ხნით ჩაფიქრდნენ. თაჰირმა გადაწყვიტა მარჯვნივ მიმავალი გზით წასულიყო, ეს გზა უფრო უსაფრთხო იყო და ამიტომ ქალაქამდეც უვნებელი მიაღწევდა. მაჰირს არ მოსწონდა წესებისა და კანონების მორჩილება, ამიტომ მან აირჩია მარცხნივ მიმავალი გზა, რომელშიც არავითარი წესი და კანონი არსებობდა. მისთვის ბედნიერებას კანონებისა და წესების გარეშე ცხოვრება წარმოადგენდა. თუკი გზად მიმავალს მტაცებლები თავს დაესხმოდნენ, იგი ფიქრობდა, რომ თავს გაქცევით უშველიდა. თაჰირმა აუხსნა, რომ მარცხნივ მიმავალი გზის არჩევით შეცდომაში შედიოდა, რადგან ამ გზის დასასრული ცუდი იქნებოდა, რომ უსაფრთხო და მშვიდი მგზავრობა მხოლოდ და მხოლოდ იმ გზითაა შესაძლებელი, სადაც შესაბამისი საგზაო ნიშნებია და ამ ნიშნებს ემორჩილებიან. მან მაჰირი ვერაფრით დაიყოლია, ბოლოს ძმები ერთმანეთს გამოემშვიდობნენ და თავიანთ არჩეულ გზებს დაადგნენ.

მაჰირი მიდიოდა გზით, რომლითაც სრულ თავისუფლებას გრძნობდა და არ იყო ვალდებული რაიმე წესებს ან კანონებს დამორჩილებოდა. ის გახარებული მიიწევდა წინ, ჭამდა და სვამდა ყველაფერს, რაც გზაში შეხვდებოდა, არც კი ფიქრობდა ზიანზე, რომელსაც საკუთარ თავს და გარშემო მყოფთ აყენებდა. ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, ერთ დიდ და ვრცელ ფერდობს მიადგა, მასზე დაეშვა და რას ხედავს?! იქვე ბუჩქიდან ისკუპა ლომმა და მაჰირს შესაჭმელად გაეკიდა. შეშინებული მაჰირი შებრუნდა და უკან გაიქცა. იგი გრძნობდა, რომ ლომი ძალიან ახლოს იყო და ვერ გაასწრებდა. გზის გვერდით მან უზარმაზარი ორმოები შენიშნა და ლომისგან თავი რომ დაეღწია, შეშინებული ამ ორმოში ჩახტა. ის იმდენად ღრმა იყო, რომ კედლებზე ხეები ამოსულიყო. მაჰირი ერთ-ერთი ხის ტოტზე შემოჯდა, ლომის კბილებს გადარჩენილმა შვებით ამოისუნთქა და თვალები დახუჭა, თუმცა ეს სიხარული დიდხანს არ გაგრძელებულა. ქვევით ჩაიხედა შენიშნა, რომ ორმოში პირდაღებული, ვებერთელა გველეშაპი მაჰირის ხიდან ჩამოვარდნას ელოდებოდა, მაღლა აიხედა, დაინახა ლომი იღრინება. ხის ფესვებს, რომლის ტოტზეც ხელი ჰქონდა ჩაჭიდებული, ორი, თეთრი და შავი, თაგვი ღრღნიდა.

ეს ხეც, რაღაც, სხვანაირი იყო, მას სხვადასხვა ხილი ესხა, ათასნაირმა ხილმა მას მადა აღუძრა. მსუნაგ მაჰირს ლომიც დაავიწყდა, გველეშაპიც და თაგვებიც, რომლებიც იმ ხის ფესვებს ღრღნიდნენ, რომელზეც თვითონ იყო ჩამოკიდებული. ის ხომ ყოველთვის საკუთარ სურვილს აყოლილი იყო. ამჯერადაც ისე მოიქცა, როგორც მგზავრობისას; დაავიწყდა, საფრთხეში რომ იყო და ხილს მადიანად შეექცა. განურჩევლად იმისა, საზიანო იყო თუ სასარგებლო, ყველა ნაყოფს ჭამდა, მცირე ხნით თითქოს თავი ბედნიერად იგრძნო, თუმცა რა დროს ბედნიერება იყო, როდესაც ყოველი მხრიდან ხიფათი ელოდა, მის მოგზაურობას მწარე დასასრული ემუქრებოდა. თუ ზევით ავიდოდა ლომის, ხოლო თუ ქვევით დაეშვებოდა გველვეშაპის ლუკმად იქცეოდა, გარდა ამისა იმ ხის ფესვს, რომელზეც თვითონ ეკიდა, ადრე თუ გვიან თაგვები გადაღრღნიდნენ და გადარჩენის შანსი აღარ დარჩებოდა.

მაშ როგორ უნდა მოქცეულიყო? ამ ჯოჯოხეთისგან თავი როგორ უნდა დაეღწია? ნუთუ მოურიდებლად ყველაფრის ჭამით, ალალსა და ჰარამს უყურადღებობით ნამდვილ ბედნიერებას მართლა მიაღწევდა? განა დაუმორჩილებლობითა და წესების დამდგენთა დაუფასებლობით ამ საშინელებისგან თავის დაღწევას შეძლებდა?

მოდით, ცოტა ხნით მაჰირი საკუთარ თავთან დავტოვოთ

და მის ძმასთან, თაჰირთან, გადავინაცვლოთ. ნეტავი, თაჰირმა მგზავრობა მშვიდობით თუ დაასრულა?

როგორც ვიცით, თაჰირმა მარჯვნივ მიმავალი გზა აირჩია, რადგანაც მას სჯეროდა, რომ იქ, სადაც კანონებისა და წესების მიმართ მორჩილებაა, სანდოობა და უსაფრთხოება იქნებოდა.

თაჰირმა, რომელმაც სწორი არჩევანი გააკეთა, მგზავრობისას რაც ევალებოდა, ყველაფერი უნაკლოდ შეასრულა. საგზაო ნიშნებს ყურადღებით კითხულობდა და შესაბამისად მოქმედებდა. რასაც ისინი უკრძალავდნენ, არ აკეთებდა, ხოლო რაზეც მიუთითებდნენ, (უბრძანებდნენ) ემორჩილებოდა, ასე რომ მან მოსალოდნელი საფრთხის შესახებ ყველაფერი შეისწავლა.

ბევრი იარა თუ ცოტა, თაჰირიც მისი ძმის მსგავსად, ერთ ღრმა ხევს მიადგა და აი, რას ხედავს: მშიერი ლომი პირდაპირ მისკენ მიექანება. თუმცა იგი, მისი ძმის მსგავსად არ შეშინებულა და პანიკაში არ ჩავარდნილა. დარწმუნებული იყო, რომ ამ ხეობას ერთი მბრძანებელი ეყოლებოდა და ის ლომიც მისი ბრძანებით მოქმედებდა. თუკი მბრძანებლის დახმარებას მოითხოვდა, ლომს გადაურჩებოდა. მაგრამ, თავდაპირველად, რაღაც ზომები უნდა მიეღო. უკან შეტრიალდა და ერთ დიდ ორმოში ჩახტა, რომლის კედლებზეც სხვადასხვა ჯიშის ხეები იყო აღმოცენებული. თაჰირი ერთ-ერთი ხის ტოტს ჩამოეკიდა. როგორც მისი ძმის შემთხვევაში, ამ ხის ფესვსაც ერთი თეთრი და ერთი შავი თაგვი ღრღნიდნენ, ზევიდან ლომი იღრინებოდა, ქვემოდან ვეებერთელა, პირდაღებული გველეშაპი ელოდა მსხვერპლს. ხის ტოტს ათასობით სხვადასხვა სახისა და ფერის ხილი ესხა. მაჰირისაგან განსხვავებით თაჰირმა იცოდა ასეთ ვითარებაში როგორ უნდა ემოქმედა. ეს იყო გამოცდა სასურველ ქალაქში მისვლამდე, რომელიც მგზავრებს წარმატებით უნდა ჩაებარებინათ. თაჰირს სჯეროდა, რომ ამ ხეობას, ორმოებს, ლომს და გველეშაპს ჰყავდა მბრძანებელი, რომელიც მას ისე საგულდაგულოდ სცდიდა, როგორც მგზავრობისას. ისიც იცოდა, რომ ორმოს ხეზე მსხმოიარე ხილი მისასვლელი ქალაქის ხილის მსგავსი იყო. ზოგიერთი მათგანის ჭამის შემდეგ კაცს დაეძინებოდა და ხიდან ჩამოვარდებოდა. ე. ი. თაჰირს მხოლოდ ის ნაყოფი უნდა ეჭამა, რომლის ჭამაც ნებადართული იყო და რომელიც მას ენერგიას შეჰმატებდა, მას ახსოვდა, რომ ერთ-ერთ საგზაო ნიშანს ეწერა: *„გვირაბი ორმოს ლამაზ ქალაქთან აკავშირებს“*. თაჰირს ის გვირაბი უნდა მოენახა, რომლითაც ქალაქს მიაღწევდა, ამისათვის კი მას ენერგია ესაჭიროებოდა.

თაჰირმა დაიწყო გვირაბის ძებნა, რომლისთვისაც ძალ-ღონე არ დაიშურა. ეძე-ბდა და მბრძანებელს ასე ევედრებოდა: *,,ო, ამ ადგილის მბრძანებელო! მე შენ ბრძანებას დავემორჩილე. ვცდილობდი, ჭეშმარიტი გზით მევლო, შენი აკრძალვებისგან თავი შორს დავიჭირე. ზიანი არავისთვის მიმიყენებია. ახლა შენი დახმარება მჭირდება. შენ მოგენდობი და შეგეფარები“*. ამ ვედრებით თაჰირი ძალ-ღონეს იკრებდა, მას გადარჩენის იმედი ემატებოდა. ბოლოს, თავდაუზოგავი შრომის შემდეგ, თაჰირმა მიაკვლია გვირაბის კარს, რომელსაც გველეშაპის გამოსახულება ჰქონდა. კარი შეაღო და რას ხედავს, თვალწინ გადაეშალა ვარდ-ბაღნარით სავსე ულამაზესი ქალაქი, რომლის მშვენიერებაც შეუდარებელი იყო.

ასე რომ, თაჰირმა მოთმინებისა და გამჩენ-მბრძანებლის მიმართ მუდმივი ვედრების სანაცვლოდ ჯილდო მიიღო. ახლა მას ახალ ქალაქში სამუდამო სიმშვიდე და ბედნიერება ელოდა.

რას მიგვანიშნებს მონათხრობში გამოყენებული სიმბოლოები?



მონათხრობში ადამიანის ამქვეყნიური ცხოვრების დასახასიათებლად მრავალი ალეგორიაა გამოყენებული, განვიხილოთ თითოეული მათგანი:

თაჰირი: სუფთა გულის მქონე მუსლიმი ადამიანი, რომელიც ჭკუას სასიკეთოდ იყენებს, ღმერთს ენდობა და მის კანონებს ემორჩილება.

მაჰირი: ადამიანი, რომელიც ალლაჰის კანონებს არ ემორჩილება, ყოველთვის ცუდად იქცევა და ეგოისტია.

მარჯვნივ მიმავალი გზა: ისლამის გზა, რომელიც ალლაჰის კანონებს მიგვითითებს. ყურანის გზა, რომლით სიარულსაც ჩვენგან ალლაჰი მოითხოვს. ეს არის გზა, რომელიც ისლამური ცხოვრების სტილს ასახავს.

მარცხვნივ მიმავალი გზა: გზა, რომელიც ალლაჰს არ მოსწონს, მიმართულება, საითკენაც ეშმაკი მიგვითითებს, ბოროტებითა და ურწმუნოებითაა სავსე. ეს გზა ისლამის საწინააღმდეგოა და მასში ღვთის დაუმორჩილებელი ცხოვრებაა ასახული.

უკიდეგანო ხევი: ქვეყანა, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ.

ხე: თითოეული ადამიანის სიცოცხლე.

შავი და თეთრი თაგვი: შავი თაგვი — ღამე, ხოლო თეთრი — დღე. ორივე ნელნელა ადამიანის სიცოცხლეს ღრღნის.

ლომი: ადამიანის სიცოცხლის ბოლო წუთები; სიკვდილი, რომელიც ადამიანს ამქვეყნიური ცხოვრებას, ქონებას, მეგობრებსა და ახლობლებს აშორებს.

კარი/გველეშაპი: გველეშაპში იგულისხმება საფლავი. ის იმქვეყნიური ცხოვრების კარია. კარი, რომელიც ყურანის მიმდევარი მორწმუნეებისათვის წუთისოფლიდან სამოთხის ბაღებისკენ იხსნება. საფლავი მორწმუნეებისთვის მარადიული ბედნიერების დასაწყისია, ურწმუნოებისათვის კი ციხის მსგავსი ვიწრო და საშინი ადგილი.

ხილი: ამქვეყნიური წყალობაა. ნამდვილი წყალობა კი სწორედ მარადიულ სამყოფელში გველოდება. ვინც ამქვეყნიურ წყალობას დაეწაფება და იმქვეყნიურს დაივიწყებს, დაზარალდება, რადგანაც იმქვეყნად ალლაჰი უფრო კარგ წყალობას გვიმზადებს. ხოლო ისინი, ვინც ამქვეყნიურ წყალობას ალლაჰის გზაზე გამოიყენებს, მათ ალლაჰი სამოთხეში ულევი წყალობით დააჯილდოვებს.

ერთი ხის მიერ ათასნაირი ხილის მოსხმა: ალლაჰის ყოვლისშემძლეობასა და მის სიდიადეს გვიჩვენებს. გვასწავლის იმას, რომ ერთი მიწისგან აღმოცენებული ათასობით სხვადასხვა სახის ნაყოფი მხოლოდ ადამიანისთვისაა.

ვინც თაჰირის მსგავსად მოიქცევა და ამქვეყნად ისლამის კანონებით იცხოვრებს, მარადიულ ბედნიერებას ეწევა და სამოთხეს დაიმსახურებს.

ვინც მაჰირის მსგავსად მოიქცევა, ისლამის კანონებს არ დაემორჩილება და მათ საწინააღმდეგოდ იმოქმედებს, მარადიულ ბედნიერებას, სამოთხეს, დაკარგავს და ჯოჯოხეთში წავა.

ადამიანი და სარწმუნოება

ადამიანი სულისა და სხეულისგან შემდგარი არსებაა. სხეული — მატერიალურ, ხოლო სული სულიერ მხარეს წარმოადგენს. ის, რაც სხვა არსებებისგან განგვასხვავებს და ჩვენს სხეულში ადამიანურ თვისებებს წარმოაჩენს, სულია.

ჩვენ არ შეგვიძლია სულის დანახვა, მასზე შეხება, ან მისი შეგრძნება. ჩვენ სულსა და სხეულს შორის კავშირი, ერთი შეხედვით, ელექტროდენსა და ნათურას შორის კავშირს ჰგავს: ელექტროდენს ვერ ვხედავთ, თუმცა ავანთებთ რა ნათურას, გავიგებთ, რომ დენი არის. ისე როგორც დენის გარეშე ნათურა არ აინთება, ასევე ადამიანიც სულის გარეშე ვერ იცოცხლებს. ჩვენს სხეულს და სულს საზრდო ესაჭიროება. სხეულს მოშივდება, მოსწყურდება, შესცივდება, ანუ სხეულს საჭმელი, სასმელი და სითბო ესაჭიროება. სული კი სიხარულს, წუხილს, ბედნიერებას, სინანულს გრძნობს. სულს ბედნიერება და სიმშვიდე ესაჭიროება.

> შეიძლება სხეული ავტომობილს, ხოლო სული კი მძღოლს შევადაროთ. განა შეიძლება, ავტომობილში ბენზინის ჩასხმით მძღოლიც დანაყრდეს? ეს წარმოუდგენელია, რადგანაც ავტომობილს ბენზინი ესაჭიროება, მძღოლს კი საჭმელი. ასეა სხეულიცა და სულიც. ვერ ვიტყვით სხეულის დანაყრებით სულიც დანაყრდაო. სულის საზრდო სხვაა, სხეულის კი — სულ სხვა.

როგორც სხეულისა და სულის აგებულება, ასევე მათი საკვები ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდება. მიწისგან გაჩენილ სხეულს მატერიალური, ხოლო სულს კი სულიერი საზრდო ესაჭიროება. სხეული მიწისაგან მიღებული საკვებით შეგვიძლია გამოვკვებოთ. ხოლო სული — ალლაჰის რწმენით, ღვთისმსახურებით, ქველმოქმედებითა და სხვა მსგავსი სულიერი საზრდოთი.

სულიერ სიმშვიდესა და ბედნიერებას მხოლოდ ასე შეიძლება, მივაღწიოთ. სხეულიც და სულიც ალლაჰის მიერ ჩვენზე მობარებული ამანათია. ალლა-

ჰი სხეულის ჯანმრთელობისა და სულის სიმშვიდის შენარჩუნებისკენ მოგვიწოდებს. ჩვენგან ცუდი საქმისგან თავშეკავებას მოითხოვს. ამის მიღწევა კი მხოლოდ სარწმუნოებითაა შესაძლებელი.

ყველაფრის გამჩენი უზენაესი ალლაჰია

სამყარო, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, უმშვენიერესი ფორმით ალლაჰმა გააჩინა, ყველაფერი ერთ სისტემაშია მოქცეული და მისი ბრძანებით მოქმედებს. გასაოცარია ცა, ხმელეთი და მათ შორის არსებული ქმნილებები. ალლაჰმა ეს ქვეყანა ტყეებით, მთებით, მინდორველებით, ნაკადულებითა და ზღვებით შეგვიმკო. სამყაროში წარმოუდგენელი წესრიგი და კანონზომიერებაა და ეს შესანიშნავი ჰარმონია მილიარდობით წელია არ დარღვეულა. ღამეს დღე მოსდევს, მზე ყოველ დილით აღმოსავლეთიდან ამოდის და ყოველ საღამოს დასავლეთით ჩადის, წელიწადის დროები ერთიმეორის მიყოლებით იცვლება და სხვა.

სამყაროში ყველა არსება ალლაჰის ბრძანებისამებრ მოქმედებს და საკუთარ მოვალეობებს უნაკლოდ და დროულად ასრულებს. მიწაში ჩაგდებული მარცვალი ღვივდება, იზრდება და ადამიანს ნაყოფს აძლევს. ცხოველები იბადებიან და იზრდებიან, რა მიზნითაც არიან გაჩენილი, იმ მიზნით ცხოვრობენ. ერთი სიტყვით, სამყარო არსებობას დიადი კანონზომიერებით აგრძელებს.

სამყარო იმ მიზნითაა გაჩენილი, რომ ადამიანს სამსახური გაუწიოს. ეს ქვეყანა მთელი თავისი მშვენიერებით მიისთვისაა შექმნილი. მაშ, რისთვის გაჩნდა ადამიანი? რა ევალება მას ამქვეყნად?

უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

უეჭველად, ცათა და დადამიწის გაჩენაში, დღე-ღამის ცვლაში, და გემებში, ზღვით რომ მიმოაქვთ რაც ადამიანებს სჭირდებათ; და წყალში, რომელიც ალლაჰმა ცით მოავლინა და გააცოცხლა მიწა მისით სიკვდილის მერე და ყველანაირი ცხოველი მიმოფანტა მასზე; ქარების მონაცვლეობაში და მორჩილ ღრუბლებში, ცასა და მიწას შორის სასწაულებია იმ ხალხისთვის, რომელნიც გონებას მოუხმობენ.

სურა ბაყარა, აიათი 164

ჭკუა — ჭეშმარიტი გზის საპოვნელად ჩვენთვის ბოძებული დიდი წყალობაა

ადამიანი სამყაროს სხვა არსებებისგან განსხვავდება. იგი გაჩენილია აზრიან არსებად. ამიტომ მას რწმენისა და ქცევის თავისუფალი არჩევანი მიეცა. ჭკუის გამოყენებით ადამიანი შესძლებს სწორი, სასიკეთო და სასარგებლო საქმე აირჩიოს, ცუდისა და მავნესგან თავი შორს დაიჭიროს. ამიტომაც არის, რომ ადამიანი საკუთარი ქცევის გამო პასუხს აგებს.

უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

„უეჭველად, ჩვენ გავაჩინეთ ადამიანი შეწყვილებული ერთი წვეთი ნარევისაგან , გამოვსცდით მას, ამიტომაც დავუდგინეთ სმენა და მხედველობა. უეჭველად, ჩვენ დავადგინეთ იგი ჭეშმარიტ გზაზე, მაგრამ მას შეუძლია იყოს მადლიერი ან უმადური“.

სურა ინსანი, აიათები 2-3

შუამავლები ალლაჰის არსებობასა და ერთადერთობას გვამცნობენ.

გამჩენმა ალლაჰმა მხოლოდ ჭკუა-გონების ამარა არ დაგვტოვა და შუამავლებიც მოგვივლინა. ისინი ჭეშმარიტი გზის პოვნაში გვეხმარებიან. პირველი ადამიანი ადამი, ამავე დროს პირველი შუამავალიც იყო. ვინც ჭკუას გამოიყენებს და შუამავლებს ირწმუნებს, ალლაჰის არსებობასა და ერთადერთობასაც დაიჯერებს. ისტორიას ახსოვს ისეთი ადამიანები, რომელთაც ღმერთის მიერ ბოძებული ჭკუა-გონება სწორად არ გამოიყენეს და შუამავალი არ ირწმუნეს. ასეთები ალლაჰის ნაცვლად თაყვანს კერპებს სცემდნენ, რის გამოც სწორ გზას ასცდნენ. სარწმუნოება არის გზა, რომელიც ამქვეყნიურ და საიქიო ბედნიერებას გვაპოვნინებს.

სარწმუნოება — როგორც სააქაო, ასევე საიქიო, ბედნიერების მომტანი გზაა

უზენაესმა ალლაჰმა სამყარო ადამიანებისთვის გააჩინა და, სხვა არსებებისგან განსხვავებით, მათ რწმენისა და ქცევის არჩევანის უფლება მისცა. ადამიანი ისეა გაჩენილი, რომ შეუძლია როგორც კარგის, ასევე ცუდის გაკეთებაც. მოწყალე ალლაჰმა ადამიანს უამრავი წყალობა უბოძა, არჩევანის თავისუფლება მისცა და სწორი არჩევანის გაკეთება რომ გაადვილებოდა, ჭკუა-გონება დაანათლა. უფრო მეტიც, შუამავლები მოგვივლინა. გარდა ამისა, წესები და რჩევები გვიბოძა, რომლითაც კარგსა და ცუდს ერთმანეთისაგან გავარჩევთ და ბედნიერად ვიცხოვრებთ. თუ ადამიანი ამ წესებს შეისწავლის და რჩევებს გაითვალისწინებს, ორივე ქვეყნად ბედნიერებას მიაღწევს. ალლაჰის მიერ გამოგზავნილ წესებსა და რჩევებს, რომლებიც მიზნად ადამიანების სააქაო და საიქიო ბედნიერებას ისახავს, **სარწმუნოება** ეწოდება.

უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

„და შუამავლები მახარობლებად და შემგონებლებად, შუამავლების შემდგომ რომ არ ჰქონოდათ ადამიანებს მტკიცებულება ალლაჰის წინაშე. და ალლაჰი ძლევამოსილია, ბრძენია...“

სურა ნისა, აიათი 165

უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

„მაშ, მოაქციე შენი სახე ერთმორწმუნე სარწმუნოებისკენ, ალლაჰმა ასეთი თვისება თანდააყოლა ადამიანს დაბადებიდანვე. ალლაჰის გაჩენილს შეცვლა არ უწერია.“

სურა რუმი, აიათი 30

რწმენის სარგებელი

რწმენა

- ფუჭდაუაზროგრძნობებისგანგვიხსნის.
- პასუხობს იმ კითხვებს, რომლებიც გაჩენას, სიკვდილსა და სამარადისო სამყოფელის არსებობას შეეხება.
- გვასწავლისროგორუნდავემსახუროთუზენაეს ალლაჰს.
- არეგულირებს ჩვენს ურთიერთობებს ადამიანებთან და სხვა ამქვეყნიურ არსებებთან.
- მორალს გვინარჩუნებს.
- საუძაოდასაიქიოგედნიერებისგზასგვიჩვენებს.

უზენაეს ალლაჰს ისე, როგორც სხვა არსებები, ადამიანებიც ტყუილად არ გაუჩენია. ისინი უმეთვალყურეოდ არ ჰყავს მიტოვებული. მან რწმენა იმის შესაცნობად მოგვცა, რისთვისაც ვართ გაჩენილნი და ამქვეყნად რაც უნდა ვაკეთოთ. ისლამის თანახმად, ჩვენი გაჩენის მთავარი მიზანი ალლაჰის შეცნობა და მასზე მონა-მსახურებაა. **ამ პრინციპით ცხოვრება სიცოცხლეს მნიშვნელობას შესძენს და ადამიანს ფუჭი თუ უაზრო მისწრაფებებისგან იხსნის.** თუკი შევიგნებთ, რომ ჩვენს გაჩენაში რაღაც მიზანია და ამ მიზნით უნდა ვიცხოვროთ, რწმენა გულის ნაპრალებს ამოგვივსებს.

უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

„ნუთუ ეგონა ადამიანს, რომ უპასუხისმგებლოდ იქნებოდა მიტოვებული?“

სურა ყიამეთი, აიათი 36

- ვინ ვარ მე?
- რისთვის მოვედი ამქვეყნად?
- რა ბედი მეწევა სიკვდილის შემდეგ?

ყოველ ჩვენგანს გვაწუხებს ეს კითხვები და გვსურს გავიგოთ ჩვენი ამქვეყნად მოსვლის მიზეზი. თითოეული ადამიანი, როგორც გონიერი არსება, სამყაროში თავისი ადგილის პოვნას ცდილობს. მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ სხვა ყველაფრის მსგავსად ჭკუა-გონებასაც ზღვარი გააჩნია. გამომდინარე აქედან, ბევრ შეკითხვაზე პასუხის გასაცემად მზად არ ვართ. ამ კითხვების სრული პასუხი მხოლოდ ყოვლისმცოდნე და ყველაფრის გამჩენმა უზენაესმა ღმერთმა იცის. ამიტომ, ***გაჩენის, სიკვდილის და შემდგომ გაცოცხლების შესახებ კითხვებზე პასუხის გაცემა მხოლოდ ალლაჰის მიერ მოვლენილ რჯულს შეუძლია.***

უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

„რომელმაც გააჩინა სიკვდილი და სიცოცხლე, რათა გამოეცადეთ თუ რომელი თქვენგანია საქმით საუკეთესო.“

სურა მულქი, აიათი 2

გონიერებით შესაძლებელია იმის დასკვნია, რომ ალლაჰი ნამდვილად არსებობს და ერთადერთია. მის მიერ ბოძებულ უამრავ წყალობაზე დაფიქრება მადლიერებას იძლევა. მადლიერებისა და მსახურების სიკეთე, გარდა ალლაჰისა არავინ იცის. ***რწმენა გვასწავლის, თუ როგორ უნდა ვუმადლოდეთ და ვმონამსახურებდეთ ალლაჰს,*** რადგან უზენაესმა გამჩენმა უკეთ იცის ის ღვთისმსახურება, რომელიც გვაკავშირებს, გვაახლოებს და გვაყვარებს მას. გამჩენი ღმერთი თვითონ ადგენს, თუ როდის და როგორ უნდა შესრულდეს ღვთისმსახურება, რომელსაც გარდმოვლენილი რჯულით გვამცნობს.



უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

„მათ არ ბრძანებიათ სხვა რამ, გარდა მრავალღმერთიანობისგან შორს, გულწრფელად თაყვანისცემა ალლაჰისა; და აღევლინათ ლოცვა და გაეღოთ ზექათი, და სწორედ ეს არის ჭეშმარიტი სარწმუნოება!.“

სურა ბეიინე, აიათი 5

ამ სამყაროში არსებანი მარტო ჩვენ როდი ვართ. ამ სამყაროში, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, ადამიანები სხვა არსებებთან ერთად არიან. ამიტომ ყოველი გადადგმული ნაბიჯი გარკვეულად ეხება სხვა სულიერ თუ უსულო არსებებს, მიუხედავად იმისა, მას ჩვენ ვამჩნევთ თუ არა. გამომდინარე აქედან, ყოველი ქმედება სასარგებლო უნდა იყოს როგორც საზოგადოების, ისე გარემოსათვის. რჯული კი სიკეთესა და ბოროტებას გარჩევას გვასწავლის და გვიჩვენებს უმშვენიერეს ცხოვრების ფორმულას. ის გვავალებს ადამიანების მიმართ სამართლიანობასა და კეთილ დამოკიდებულებას, ცხოველებისა და მცენარეების დაცვა-გაშენებასა და მოვლა-პატრონობას. *აწესრიგებს ჩვენს დამოკიდებულებას ადამიანებისა და სხვა არსებების მიმართ.*

უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

„უეჭველად, ალლაჰი ბრძანებს სამართლიანობას, სიკეთის კეთებას და ნათესავებზე დახმარებას. და კრძალავს სიძვას, გასაკიცხ ქმედებებს და უსამართლობას. იგი შეგაგონებთ თქვენ, ეგების გულისხმაჰყოთ!“

სურა ნაჰლი, აიათი 90

რჯული გვამცნობს, რომ ყველგან და ყოველთვის უზენაესი გამჩენის მეთვალყურეობის ქვეშ ვიმყოფებით. ალლაჰი გვხედავს იქ, სადაც საიდუმლოდ ვგრძნობთ თავს და გულის სიღრმეში გვწამს, რომ მომაკვდავები აუცილებლად უნდა განვისაჯოთ. მეთვალყურეობის ამგვარი შეგრძნება მთელ შინაგან სამყაროს მოიცავს და ბოროტების დაგმობასა და *ადამიანური მორალის გამნტკიცებაში გვიწყობს ხელს.*

უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

ლოყმან შუამავლის მიერ თავისი შვილის დარიგებას უზენაესი ალლაჰი ყურანში ასე გვაუწყებს:

„ჰეი, შვილო ჩემო! უეჭველად, იგი რომც იყოს მდოგვის მარცვლის ტოლა და კლდეში ან ცათა შინა, ან ქვეყანასა ზედა შეინახო, ალლაჰი მას ცხადყოფს. უეჭველად, ალლაჰი ყველაფრისმცოდნეა, ყოვლისმცოდნეა! “

სურა ლოყმანი, აიათი 16

ზოგჯერ მდიდრებსა და ღარიბებს სულიერი სიცარიელე და უარყოფითი ემოციები ეძალებათ. საზოგადოების ერთი ნაწილი ამგვარი განცდების გასაქარვებლად ალკოჰოლისა და ნარკოტიკების მსგავს უბედურებებს ეტანება. ჰგონიათ, თამაში და გართობა მათ ბედნიერებას მოუტანს. ალლაჰთან სიახლოვეს თავს არიდებენ. სიკვდილი და განკითხვის დღე ავიწყდებათ. მოჩვენებითი ბედნიერება ქარწყლდება მაშინ, როდესაც ისინი მარტოდ რჩებიან და სიკვდილი ახსენდებათ. ადამიანისთვის ნამდვილი ბედნიერების გზის პოვნა ამიტომაც არის ასე მნიშვნელოვანი. რწმენა კი ამ გზის პოვნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საშუალებაა, იგი ადამიანსა და ალლაჰს შორის კავშირს ამტკიცებს, გვახსენებს, რომ სიკვდილი არა დასასრული, არამედ ახალი სიცოცხლის დასაწყისია, გულებში ალლაჰის სიყვარულს უნერგავს და ახედებს იმ სარკმელში, საიდანაც ამ სიყვარულით სამყაროს ხედვას შეძლებენ, *ამქვეყნიურ და საიქიო ბედნიერების გზას უჩვენებს.*

უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

„ღმერთო ჩვენო! მოგვეცი ჩვენ სიკეთე ამქვეყნიურ ცხოვრებაშიც და იმქვეყნიურშიც, დაგვიფარე ჩვენ ცეცხლის სასჯელისგან“

სურა ბაყარა, აიათი 201

გამოუყენებელი საპონი

ჰასან ხოჯა, რომელსაც რაიონში დიდ-პატარა პატივს მიაგებდა, სამხრობის ნამაზის ლოცვის შემდეგ ნელი ნაბიჯით მეჩეთიდან სამუფთოსკენ მიიწევდა.

ქალაქის მერიას გადაწყვეტილი ჰქონდა, ცენტრალური ქუჩები ქვებით მოე-



კირწყლა. უბნები, ასფალტის ამოყრის გამო, სამშენებლო ობიექტად გადაქცეულიყო. მედუქნეები, რომლებსაც მოკლე ხანში ქუჩების გალამაზების იმედი ჰქონდათ, უეცარი წვიმით აზელილმა ტალახმა აღაშფოთა. მაგრამ რისი გაკეთება შეეძლოთ?!

ჰასან ხოჯა ხან დუქნების კარიბჭესთან დაწყობილ მარმარილოს ქვებს აბიჯებდა, ხან კი იძულებით, მაგრამ ფრთხილად მაინც ტალახში ადგამდა ფეხს. იგი ტანსაცმლის დასვრას უფრთხოდა, თანაც ცდილობდა ხალხს მისალმებოდა და უყურადღებოდ არავინ დაეტოვებინა.

ნეჯიფმა, რომელიც საყოფაცხოვრებო საქონლის გამყიდველი იყო, იგი დუქანში შეიპატიჟა:

– შემობრძანდით! ჩაის დაგალევინებთ. დღეს, ჯუმაზე რა კარგად იქადაგეთ! კაცობრიობას, მართლაც, რწმენის გულში ჩაკვრა გადაარჩენს. რაღაც, მინდა გკითხოთ. თუ არ ჩქარობთ, გთხოვთ შემობრძანდეთ!

– სამუფთოში რაღაც საქმე მაქვს, მაგრამ არც ისე საჩქარო, შემიძლია, ჩაი დავლიო და ცოტაც გაგესაუბრო.

საპნის გამყიდველს, ბატონ ქაზიმს, რომელსაც არაფერი აკავშირებდა ნამაზთან და მეჩეთთან, დუქანი ნეჯიფის მეზობლად ჰქონდა. სულიერი წინამძღოლის ხმა რომ მოესმა, ისიც მათთან გადავიდა. ვიდრე ნეჯიფი ჩაის მოატანინებდა, ბატონი ქაზიმი მათ საუბარში ჩაერია:

–ბატონო ჰასან, თქვენ ამბობთ, რომ რწმენა ხალხს სიტკბოსა და ბედნიერებას მისცემს, მაგრამ მიუხედავად ამისა ქვეყანა კვლავ ბოროტი ხალხითაა სავსე.

–შვილო, ეგ საკითხი რთული და ამოუწურავია, – უთხრა ბატონმა ჰასანმა.

მან საპნის გამყიდველს ჯერ კარგად ახედ-დახედა, შემდეგ მას იმ ადამიანზე მიუთითა, რომელსაც ტანსაცმელი, თავიდან ბოლომდე ტალახში დასვროდა და თავის თავში დარწმუნებულმა უთხრა:

– ხალხმა საპნის შესახებ საუკუნეებია იცის. ისიც იცის, რომ ის ჭუჭყსა და სიბინძურეს აცილებს. ალბათ, დამეთანხმები, რომ დღეს კიდევ ბევრია ისეთი ადამიანი, ვინც ჭუჭყიანი და ტალახიანი დადის.

– კი მაგრამ საპონი სასარგებლოამათთვის, ვინც მას გამოიყენებს. ვინც ტალახში გადახტება, მას საპონი ვერაფერს უშველის. – შეეწინააღმდეგა სამპნის გამყიდველი.

ბატონ ჰასანს მომენტი ხელში ჩაუვარდა. მიზანში მოხვედრის ზუსტი დრო დადგა:

–მართალი ხარ, ვინც ტალახში გადახტება, მას საპონი რას უშველის? შვილო, ასეა რწმენაც. ქვეყნად ბედნიერება მაშინ დამკვიდრდება, როცა ცხოვრება რჯულის მიხედვით წარიმართება. ვინც საკუთარ თავს ცოდვის, ჩაგვრის, ჰარამისა და უსამართლობისკენ უბიძგებს, რჯული მას რას უშველის?

ისლამი - ჭეშმარიტი რჯული

ალლაჰის მიერ გარდმოვლენილ რელიგიას, რომელიც მის მონა-მსახურებას ბრძანებს და მრავალღმერთიანობას გმობს, **ჭეშმარიტი სარწმუნოება** ეწოდება.

რჯულის დაფუძნება მხოლოდ ალლაჰს შეუძლია.

კოსმოსში მნათობი ვარსკლავებისა და ოკეანეების ღრმულებში მცოცავი ცხოველების გამჩენ-მასაზრდოებელი უზენაესი ალლაჰია. მეცნიერები სხვადასხვა არსებების თავისებურებებს სისტემატურად იკვლევენ. ცნობილია, რომ კომპიუტერი ყველაზე კარგად მისმა გამომგონებელმა ინჟინერმა იცის. ასევე არაფრისგან ადამიანის გამჩენმა ღმერთმა უკეთ იცის, ვინ ვართ ჩვენ. მან იცის, ჩვენ სულსა და ხორცს რა სჭირდება. ამიტომ იმ წესების დადგენა, რომლებიც ადამიანს ამქვეყნადაც და საიქიოშიც ბედნიერებას მოუტანს, მხოლოდ უზენაეს ალლაჰს შეუძლია. მის გარდა არავის აქვს უფლება, რჯულის ეს წესები დააწესოს, შეცვალოს, ან გააუქმოს.

თითოეული შუამავლის მიერ ნაქადაგები, ჭეშმარიტი სარწმუნოების ზოგადი სახელი ისლამია.

შუამავლები არიან პიროვნებები, რომლებმაც ალლაჰისგან ბრძანებები მიიღეს, ისინი ხალხს ასწავლეს და ცხოვრებაში განახორციელეს. პირველი ადამიანი, წმინდა ადამი, ამავე დროს პირველი შუამავალიც იყო. ჭეშმარიტი სარწმუნოება, რომელიც მან მიიღო, ერთღმერთიანობას, ანუ *თევჰიდს* ქადაგებდა.

ზეშთაგონებით გარდმოვლენილი, ალლაჰის ჭეშმარიტი სარწმუნოების ზოგადი სახელი *„ისლამია“*. ეს ყურანშიც კარგად ჩანს:

***„უეჭველად, ალლაჰისთვის** (მისაღები) **რწმენა ისლამია.“** (სურა ალი იმრანი, აიათი 19)*

ისტორიას ახსოვს პერიოდები, როდესაც ადამიანებმა ალლაჰისგან მოსული ზეშთაგონება უარყვეს და ჭეშმარიტი რჯულით ნასწავლი კეთილი ზნეობა დაამახინჯეს. ცრუ რწმენებისა და დამახინჯებული შეგონებების გამოსასწორებლად უზენაესმა ალლაჰმა მათთვის სხვა შუამავლები გამოაგზავნა. თითოეულმა მათგანმა ხალხს ალლაჰის ერთადერთობა და მისი მონა-მსახურება უქადაგა და სიკვდილის შემდეგ არსებულ უეჭველ სამსჯავროზე ესაუბრა. რწმენის ძირითადი პრინციპებია: სამართლიანობა, ურთიერთდახმარება და ზნეობრივი ფასეულობები, რომლებიც შუამავლებმა ხალხს ასწავლეს და რომლებიც მუდამ უცვლელი რჩება.

პირველ ადამიანს, წმინდა ადამს, უზენაესმა ალლაჰმა შუამავლობა უბოძა. მან თავის ხალხს ალლაჰის ერთადერთობა, მისდამი მსახურება და, საერთოდ, ისლამი შეასწავლა. წმინდა მუჰამმედი *(სელლელლაჰუ ალეიჰი ვე სელლემ)* ისლამის ბოლო შუამავალი გახდა. მის შემდეგ სხვა შუამავლის მოსვლა და ყურანის მსგავსი, სხვა ზეციური წიგნის გარდმოვლენა გამორიცხულია.

ბათილია ის სარწმუნოება, რომელიც თევჰიდს (ერთღმერთიანობას) არ ქადაგებს

რელიგიებს, რომლებიც უზენაესი ალლაჰის მიერ გარდმოვლენილი არ არის და ხალხის მიერაა შეთხზული, **ბათილი სარწმუნოებები** ეწოდება.

ალლაჰის მიერ დადგენილი, მაგრამ ხალხის მიერ დამახინჯებული რელიგიებიც არსებობს. ისინი იმ ცრურწმენებსა და შეთხზულ მონაყოლებს შეიცავენ, რომლებიც საფუძველშივე არ არსებობდა. ამგვარ რელიგიებში რწმენის პრინციპები და ღვთისმსახურების ფორმები შეცვლილია. მათ სხვაგვარად **სახეშეცვლილი სარწმუნოებები** ეწოდება. იუდაიზმი და ქრისტიანობა ასეთ რელიგიებს მიეკუთვნება.

წმინდა შუამავალი ბრძანებს:

„ჩემი და სხვა შუამავლების მდგომარეობა მსგავსია იმ სახლისა, რომლის მშენებლობაც დასრულებულია, მაგრამ ერთი აგურის ადგილია გამოტოვებული. სახლი მნახველთა მოწონებას იმსახურებს მანამ, ვიდრე ისინი ამ სიცარიელეს დაინახავდნენ. შემდეგ კი გაოცებულნი იტყვიან: „ეხ, ეს პატარა ადგილი ცარიელი რომ არ იყოს?!“ სწორედ, მე ვარ ის აგური. მე მოვედი და უკანასკნელი შუამავალი გავხდი.“

ბუჰარი, მენაყიბ, 18

უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

„დღეს მე სრულვჰყავი რჯული თქვენთვის, სრულად გიბოძეთ წყალობა ჩემი და ავირჩიე ისლამი თქვენს სარწმუნოებად. უეჭველად, ალლაჰი შემნდობია, მწყალობელია“

სურა მაიდე, აიათი 3

უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

„და ვინც ეძიებს სხვა სარწმუნოებას, გარდა ისლამისა, მისგან არ მიიღება (ღმერთის წინაშე) იგი (სარწმუნოება), და ის იქნება საიქიოში წაგებულთა შორის.“

სურა ალი-იმრანი, აიათი 85

ჩემი სარწმუნოება

ისლამი ჩემი რწმენაა, დიდ ალლაჰს ვეთაყვანები,
გულით ვიწამე ერთხელ, და სხვას არას გავეკარები.

ღვთისმსახურებას თუ დავთმობ, მე განა ვის ვეყვარები?!
ღმერთო იმქვეყნად გამიხსენ, შენი სამოთხის კარები.

ვუმადლი, ალლაჰს შუქური, მუსლიმად რომ გამაჩინა,
გარდმომივლინა ყურანი, რა საგანძური მაჩუქა,

ათას ფათერაკს და ხიფათს, ვიცი, მან გადამარჩინა,
მუჰამმედ შუამავალმა მისი მზე გულს ჩამაშუქა.

ჭეშმარიტი გზის შუქურა, ჩაუქრობელი ლამპარი,
სიბრძნის უშრეტი წყაროა მისი აიათი, სურანი,

მილიონობით მუსლიმი დაწაფებული, დამტკბარი,
აწ და მარადის იცოცხლებს დედამიწაზე ყურანი

შერაფედდინ იალთქაია

ისლამის თავისებურებანი

ისლამი ალლაჰის მიერ გარდმოვლენილი უკანასკნელი რჯულია. მისი ზოგიერთი თავისებურება ასეთია:

1. ისლამი უნივერსალური და მარადიული რელიგიაა, რომელიც გათვლილია მთელი კაცობრიობისთვის. წმინდა შუამავალი მოვლენილია ქვეყნიერების დასასრულამდე დაბადებული ყველა ადამიანისათვის. ხალხის მოვალეობების შესახებ განმარტებების მიცემა, მის მიერ ნაქადაგები რჯულის თავისებურებაა. ისლამი მშობლებზე თავაზიანობას, სულიერ თუ უსულო არსებების მოვლა–პატრონობას, ხელგაშლილობას, სამართლიანობასა და ერთგულებას ბრძანებს. ისლამის ეს პრინციპები ის ძირეული ფასეულობებია, რომელთა დაცვაც თითოეულ ადამიანს ესაჭიროება.

უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

„...და არ წარმოგვიგ ზავნიხარ შენ, თუ არა მთელი ხალხისთვის მახარობლად და შემგონებლად, მაგრამ ხალხის უმეტესი ნაწილი არ უწყის!“

სურა სებე, აიათი 28

2. ისლამი იოლი სარწმუნოებაა. ის იმას ბრძანებს, რისი გაკეთებაც ადამიანებს შეუძლიათ. ისლამი არავის ავალებს იმას, რისი შესაძლებლობაც ადამიანებს არ აქვთ. მაგალითად; ავადმყოფს, რომელიც ფეხზე მდგარი ნამაზს ვერ ლოცულობს, შეუძლია დამჯდარმა ილოცოს. იქ, სადაც წყალი არ არის, აბდესი თეიმუმით სრულდება. ან კიდევ, ნებადართულია ხანგრძლივ მგზავრობას დამთხვეული მარხვის გადავადება და მისი მოგვიანებით ანაზღაურება.

უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

„...ალლაჰი არ აკისრებს არც ერთ სულს იმაზე მეტს, რაც მას ძალუძს....“

სურა ბაყარა, აიათი 286

3. ისლამი მდიდარს, ღარიბს, ღონიერსა და სუსტს არ ასხვავებს, მასში ადამ-იანთა უფლების დანაწილება ეროვნების, ენის, კანის ფერის მიხედვით მიუღებელია. სასამართლოზე ყველა თანასწ-ორუფლებიანია. განურჩევლად საზოგადოე-ბრივი წოდებისა, რელიგიური უფლება-მო-ვალეობები ყველასთვის ერთნაირია. ამის ნათელი მაგალითი ჰაჯობის რიტუალია. განურჩევლად ყველაფრისა იჰრამით (თეთრი ტანისამოსი) შემოსილი მილიონობით მუსლიმანი გვერდიგვერდ დგება და ამ ღვთისმსახურებას ასრულებს.

წმინდა შუამავალი ბრძანებს:

„ო, ადამიანებო! უპირატესობა ეროვნებით არ განისაზღვრება, არაბს არა არაბის, არა არაბს არაბის, შავკანიანს თეთრკანიანის, თეთრკანიანს კი შავკანიანის მიმართ არავითარი უპირატესობა არ აქვს. უპირატესობა მხოლოდ ღვთისმოშიშობაშია.“

ნაწყვეტი „ვედა ხუთბიდან

4. ისლამის მთავარი მიზანი ადამიანის სააქაო და საიქიო ბედნიერებაა. იგი მიმართავს ადამიანს, გამოიყენოს ამქვეყნიური სიმდიდრე და იმით მოიპოვოს საიქიო სასუფეველი. შეცდომაა, ამქვეყნად თავის მთლიანად საიქიოსთვის მიძღვნა, ან მისი სრულიად დავიწყება.

უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

„იმით, რაც ალლაჰმა გიბოძა, ისწრაფე საიქიო სამყოფელისკენ, და არ დაივიწყო შენი წილი დედამიწაზე. .“

სურა ყასასი, აიათი 77

5. ისლამი დიდ ყურადღებას უთმობს სისუფთავეს. იგი ადამიანს, მატერიალურ სისუფთავესთან ერთად, ღვთისმსახურებით სულიერ განწმენდისაკენ მოუწოდებს. სახელდობრ; აბდესი, ღუსლი, ნამაზი, მარხვა, ჰაჯობა და ზექათი ადამიანს წმენდს და როგორც მატერიალურ, ასევე სულიერ სიბინძურეს აცილებს.

უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

„...უეჭველად, ალლაჰს უყვარს მომნანიებელნი და უყვარს განწმენდილები!“

სურა ბაყარა, აიათი 222

6. ისლამის მოწოდებები ადამიანისთვისაა გათვლილი. იგი კრძალავს ალკოჰოლურ სასმელებს, ყომარს, მრუშობასა და ტყუილს. ისლამი ადამიანებს სიკეთეს, დახმარებას, ერთგულებას, მშობლების მოვლასა და დავრდომილთა ნუგეშს ავალებს.

უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

„...იგი უბრძანებს მათ კეთილის გაკეთებას და უკრძალავს გასაკიცხს, და ნებას რთავს საამოს და უშლის საძაგელს...“

სურა არაფი, აიათი 157

ისლამის თავისებურებები:

ისლამის თავისებურებები:

1. ისლამი უნივერსალური-საკაცობრიო რჯულია.
2. ისლამი არავის ავალებს იმას, რისი გაკეთებაც შეუძლებელია.
3. ისლამში ეროვნული და რასობრივი დაყოფა არ არსებობს.
4. ისლამი იცავს სააქაო და საიქიო სარგებელთა წონასწორობას.
5. ისლამი მატერიალურ და სულიერ სიწმინდეს იცავს.
6. ისლამი სასარგებლოსა და სასიკეთოსკენ მოგვიწოდებს; ცუდსა და საზიანოს გვიკრძალავს.

წმინდა შუამავალი რელიგიური ცხოვრების სავალალო მაგალითი

წმინდა რჯულის მქადაგებლად და ჩვენთვის შესასწავლად მოვლენილი ძვირფასი შუამავალი *თავისი ცხოვრებით მთელი კაცობრიობისათვის სანიმუშო მაგალითი გახდა.* მისი ქცევა, ხასიათი და საუბარი ღვთის მიერ ყურანი ქერიმში დაწესებულ ნორმებს შეესაბამება. მან ხალხს რელიგიის შესაბამისი ცხოვრება ასწავლა.

წმინდა შუამავალი *განსაკუთრებით დიდ ყურადღებას ისლამში არსებული ნორმების მიმართ იჩენდა.* ერიდებოდა ისეთ ჩვევებს, რომლებიც უსარგებლო და უსიამოვნო იყო ხალხისთვის. მუსლიმანებსაც ურჩევდა, ზომიერი დამოკიდებულება აერჩიათ და ისლამური ნორმები დაეცვათ.

ერთხელ სამი მეგობარი წმინდა შუამავალს სახლში ეახლა. მათ ნაფილე (დამატებითი) ღვთისმსახურების შესახებ ჰკითხეს. ამის მიმართ შუშუამავლის გულუხვობა რომ გაიგეს, თავიანთი მონა-მსახურება არაფრად ჩათვალეს და გაოცებულებმა ერთმანეთს ჰკითხეს:



„სად არის ალლაჰის შუამავალი და სად ვართ ჩვენ?! მისი ცოდვები შეწყალებულია!“

„ერთ-ერთმა მათგანმა თქვა: მე დარჩენილი სიცოცხლის ყველა ღამეს ღვთისმსახურებაში გავატარებ.“

ერთხელ, წმინდა შუამავალი თანამიმდევრებთან ერთად იმყოფებოდა. მან ხელში ხის პატარა ჩხირი აიღო და მიწაზე სწორი ხაზი გაავლო. შემდეგ მეგობრებს, რომლებიც გაკვირვებით უყურებდნენ, უთხრა:



- ეს უზენაესი ალლაჰის ჭეშმარიტი გზაა.

შემდეგ აქეთ–იქით ორ–ორი ხაზი წყვილად გაავლო და თქვა:

– ესეც სატანის გზებია.

შემდეგ ხელები შუა ხაზს დაადო და ყურანიდან შემდეგი აიათი წაიკითხა:

*„(უზენაესი ალლაჰი ბრძანებს): **და უთუოდ, ესაა გზა ჩემი, ჭეშმარიტი. მისდიეთ მას და ნუ მიჰყვებით** (სხვა) **გზებს, რომლებიც მის გზიდან აგაცდენთ. ასე დაგარიგათ ალლაჰმა, იმედია ღვთისმოშიშნი იქნებით.“***

(სურა ენამ, აიათი 153.)

აჰმედ ბინ ჰანბელ, III, 397

მეორემ თქვა:

–მე დარჩენილი სიცოცხლე ყოველდღიური მარხვით მინდა გავატარო.

მესამემ:

–მე, ვიდრე ჯანმრთელი ვიქნები, არასდროს მექნება ქალებთან თანაცხოვრება.

ცოტა ხნის შემდეგ წმინდა შუამავალი მათ მიუახლოვდა და უთხრა: *„ნუთუ ასეთ რაღაცას თქვენ ამბობთ? ვფიცავ, რომ ალლაჰის მიმართ მე თქვენზე უფრო მეტი შიში და სიყვარული გამაჩნია. მიუხედავად ამისა, (ნაფილეს) ხან ვმარხულობ და ხან – არა. ღამ–ღამობით ვლოცულობ და მძინავს კიდეც. არც დაოჯახებაზე მითქვამს უარი. ვინც ჩემს სუნნეთს არ მიჰყვება ის ჩვენგანი არაა.“ (ბუჰარი, ნიქაჰ 1)*

ძვირფასი შუამავალი **ცხოვრებისეულ პრობლემებს ისლამური ზომიერებით აგვარებდა.** შეკითხვაზე პასუხის გასაცემად, ან რაიმე საკითხის გადასაწყვეტად, ყოველთვის წმინდა ყურანს მიმართავდა. ჩვენი რჯული გამარტივებისთვისა და გაადვილებისთვისაა, ამბობდა და ცდილობდა ყოველთვის იოლი გზა შეერჩია. მეგობრებსაც სთხოვდა, რომ ცხოვრებაში არსებული პრობლემები რჯულისეული მეთოდებით გადაეჭრათ.

წმინდა შუამავალი **რწმენას სიცოცხლეზე წინ აყენებდა.** მან ამგვარი მიდგომით უამრავი განსაცდელი გადაიტანა და ალლაჰის გულისთვის მრავალ საფრთხეს მკერდი მიუშვირა.

ისლამის გავრცელების პირველ წლებში წარმართებმა რწმენის გავრცელებისათვის მას ბევრი ტანჯვა მიაყენეს. არა ერთხელ სიკვდილით დაემუქრნენ. შიმშილით დასაჯეს ის და მისი მეგობრები. გზაზე, სადაც მათ უნდა გაევლოთ, ეკლები დაუყარეს. ტაიფში ჩასულებს იმდენი ქვა დაუშინეს, რომ ფეხები სისხლის გუბეებში აესვარათ. უფრო მძიმე და აუტანელი უამრავი წვალება გადაიტანეს. მიუხედავად ამისა, წმინდა შუამავალს ისლამით ცხოვრებაზე, მის სწავლებასა და ქადაგებაზე უკან ნაბიჯითაც კი არ დაუხევია.

* * *

წმინდა შუამავალმა ისეთი თაობა აღზარდა, რომელმაც ისლამი გაიგო და მის შესაბამისად იცხოვრა. პიროვნებას, რომელმაც მისი მოწოდება მოისმინა, მას უერთგულა და ისლამი მიიღო, საჰაბე ჰქვია.

უმეცრების ხანის მომსწრე საჰაბეებმა შეიგნეს, რომ ისლამი ერთადერთი ხსნის გზა იყო. ჩვენი ლამაზი რჯულის საშუალებით მათ მოახერხეს ტანჯვა-წვალებით აღსავსე, უსამართლო უმეცრების ხანისგან თავი დაეღწიათ. საზოგადოებას იმის ცოცხალი მაგალითი უჩვენეს, თუ როგორი ბედნიერებაა მორწმუნე საზოგადოებაში ცხოვრება. ისინი ქვეყნიერების დასასრულამდე, მთელი კაცობრიობის ნიმუშად იქცნენ. ამიტომ ეწოდა მათი ცხოვრების პერიოდს „ასრი საადეთის“ (ბედნიერების საუკუნე) ხანა.

ისლამამდელ პერიოდს „უმეცრების ხანა“ ეწოდება. მაშინ არაბეთის ნახევარკუნძულზე გვართა შორის ხშირ გაუტანლობა იყო, რაც ხოცვა-ჟლეტით მთავრდებოდა. ხალხი უსასრულო შიშსა და წუხილში იყო. ადამიანის სულსა და ქონებას ყოველთვის საფრთხე ემუქრებოდა. მდიდრები ღარიბებს ჩაგრავდნენ, ძლიერები სუსტებს აწვალებდნენ, თავადები თავიათ ყმებს წარმოუდგენელ ტანჯვას აყენებდნენ. ისლამის გამოჩენამ, ყოველი უკუღმართობა მოსპო. მან დაამკვიდრა შეგნება, რომლითაც თითოეული ადამიანის ღირსებას ფასი მიეცა.

კეთილშობილმა საჰაბეებმა ბევრი იბრძოლეს იმისათვის, რათა რწმენით ეცხოვრათ. ისინი ცდილობდნენ, რწმენის შესანარჩუნებლად ყოველგვარი დაბრკოლება გადაელახათ. წმინდა შუამავლის მსგავსად ყოველგვარ ტანჯვას და გასაჭირს ისინიც შიშველი მკერდით უმკვლავდებოდნენ. ზოგ მათგანს გახურებულ ქვიშაზე დაწვენით აიძულეს რწმენის შეცვლა, ზოგს კი – მათრახის ცემით. ესეც რომ არ იკმარეს, ეკონომიკური ბოიკოტი გამოუცხადეს, მათთან ყოველგვარი ურთიერთობა გაწყვიტეს. ისინი თითქმის სამი წელი იყვნენ წმინდა შუამავალთან ერთად ამგვარ გაწამაწიაში. ხშირად შიმშილის დასაძლევად მუცელზე ქვებს იბამდნენ, სიცოცხლის შესანარჩუნებლად მცენარეული ფოთლებით, ბალახებითა და გამხმარი ტყავით იკვებებოდნენ. ისინი აიძულეს, უარი ეთქვათ დაბადების ადგილას ცხოვრებაზე, მიეტოვებინათ სახლ-კარი და სულის გადასარჩენად უცხოეთში გადასულიყვნენ. ეს უბედური ყოფა მათ რწმენის სიძლიერემ გააძლებინა. ბევრ მათგანს ის სიცოცხლის ფასადაც კი დაუჯდა, მაგრამ რწმენა არავის შეუცვლია.

საჰაბეებმა კაცობრიობის გულში სიკეთე ჩანერგეს, ისლამის ფასეულობა ხალხს წარუდგინეს და არც ამისთვის, სიცოცხლე და არც ქონება არ დაიშურეს. უამრავი მათგანი ძვირფასი იასირის, სუმეიეს, კეთილშობილი მუსაბისაქ და ჰამზას მსგავსად, ღვთის გულისთვის შეჰიდად დაეცა. ცოცხლად დარჩენილები კი იმისათვის, რომ ისლამი ყველას შეესწავლა, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში გაიფანტნენ. ასეთი თავგანწირვით ამ ლამაზმა რჯულმა ჩვენამდე უცვლელად მოაღწია.

* * *

უზენაესმა ალლაჰმა პატივი დაგვდო და ისლამი გვიწყალობა, რწმენა შეგვაყვარა და გულებში ჩაგვინერგა. ურწმუნოება, ბოროტება და სისაძაგლე შეგვაზიზღა. *„მე თქვენ ორ რამეს გიტოვებთ. თუკი თქვენ მათ გულში ჩაიკრავთ, ამ გზას არასდროს ასცდებით, ესენი-ალლაჰის წიგნი და მისი შუამავლის სუნნეთია.“*

ასეთნაირად მიგვითითებს წმინდა შუამავალი ყურანსა და თავის სამაგალითო ცხოვრებაზე.

თუკი გავიგებთ იმის ფასს, რაც ალლაჰმა გვარგუნა და წმინდა შუამავლის რჩევებს დავიჯერებთ, მოვერიდებით ცუდ ქცევებსა და ალლაჰის სამსახურში ისე ვიქნებით, როგორც მოგვეთხოვება, სანიმუშო მუსლიმანი გავხდებით.

შეკითხვები

შევავსოთ კროსვორდი



1	ბედნიერების საუკუნე	6	ღვთისმოშიშობა ანუ ....?
2	რჩევა–დარიგებებისა და ნორმების ერთობლიობა, რომლებიც უდიდესმა ღმერთმა სააქაო და საიქიო ბედნიერებისათვის მოგვივლინა	7	შუამავლების მეშვეობით ხალხისთვის გადაცემული რჯულების ზოგადი სახელწოდება.
3	ერთადერთი ღმერთის რწმენა	8	ისლამამდელი პერიოდის სახელი
4	ალლაჰის მიერა გარდმოვლენილი რჯული, რომელიც მის ერთიანობას ბრძანებს	9	წმინდა ყურანში მოხსენიებული შუამავლის სახელი, რომელიც შვილს რჩევა–დარიგებებს აძლევს
5	ალლაჰის უდიდესი წყალობა, რომლითაც ჭეშმარიტების გზას ვპოულობთ.		

ქვემოთ მოცემული წინადადებები შეაერთეთ ისე, რომ სრულფასოვანი წინადადებები მიიღოთ.

1	ადამიანი სულისა და		ჭეშმარიტების პოვნას შეძლებს.
2	სხვა არსებებისგან განმასხვავებელი და		ცხოვრების ულამაზეს ფორმას გვიჩვენებს.
3	ადამიანი ჭკუას თუ მოუხმობს, სიმართლის და		ჭეშმარიტი გზის პოვნაში მეგზურობას უწევენ.
4	ჩვენი რჯულის მიხედვით ადამიანის გაჩენის მთავარი მიზანი		უნივერსალური რჯულია.
5	შუამავლები ადამიანებს		სხეულისგან შემდგარი არსებაა.
6	რჯული გვასწავლის რა სიკეთესა და ბოროტებას, სიმართლესა და სიცრუეს, ამით		ადამიანებს მეგზურობა გაუწია.
7	ისლამი საკაცობრიო და		ადამიანური თავისებურებების მიმნიჭებელი არის სული.
8	ისლამი ადამიანებს შეუძლებელ		ღმერთის შეცნობა და მისი მსახურებაა.
9	ისლამის მოწოდებებმა		რჯული თავის სიცოცხლეზე მეტად უყვარდა.
10	წმინდა შუამავალს		პასუხისმგებლობას არ დააკისრებს.

მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით ფრჩხილებში მოცემული სიტყვები

(სიცოცხლე / სიკეთე / ჯოჯოხეთის / გამოეცადეთ / მომნანიებელნი / სამართლიანობას / განწმენდილნი / წყალობა / უზნეობას / ისლამი /)

1. „ღმერთო ჩვენო! ამქვეყნადაც და საიქიოშიც ..... მოგვეცი და დაგვიფარე ..... ცეცხლისგან!“

2. „უეჭველად, ალლაჰს ..... და ..... უყვარს..“

3. „დღეს თქვენთვის სრულვყავ ..... ჩემი და სარწმუნოებად ..... შეგირჩიეთ.“

4. „ღმერთმა გააჩინა სიკვდილი და ..... , იმისათვის, რათა ..... თუ რომელ თქვენგანია სიკეთის მკეთებელი.“

5. „ღმერთი ბრძანებს: ....., სიკეთეს და ახლობლებზე დახმარებას. გვიკრძალავს ყოველგვარ ..... , ბოროტებასა და უსამართლობას. გვირჩევს და გვარიგებს იქნებ დავფიქრდეთ და შევიგნოთ.“

პასუხები

კროსვორდის შევსება



შეაერთეთ.

1	ადამიანი სულისა და	3	ჭეშმარიტების პოვნას შეძლებს.
2	სხვა არსებებისგან განმასხვავებელი და	6	ცხოვრების ულამაზეს ფორმას გვიჩვენებს.
3	ადამიანი ჭკუას თუ მოუხმობს, სიმართლის და	5	ჭეშმარიტი გზის პოვნაში მეგზურობას უწევენ.
4	ჩვენი რჯულის მიხედვით ადამიანის გაჩენის მთავარი მიზანი	7	უნივერსალური რჯულია.
5	შუამავლები ადამიანებს	1	სხეულისგან შემდგარი არსებაა.
6	რჯული გვასწავლის რა სიკეთესა და ბოროტებას, სიმართლესა და სიცრუეს, ამით	9	ადამიანებს მეგზურობა გაუწია.
7	ისლამი საკაცობრიო და	2	ადამიანური თავისებურებების მიმნიჭებელი არის სული.
8	ისლამი ადამიანებს შეუძლებელ	4	ღმერთის შეცნობა და მისი მსახურებაა.
9	ისლამის მოწოდებებმა	10	რჯული თავის სიცოცხლეზე მეტად უყვარდა.
10	წმინდა შუამავალს	8	პასუხისმგებლობას არ დააკისრებს.

მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვის ფრჩხილებში მოცემული სიტყვები

1. სიკეთე / ჯოჯოხეთის 2. მომნანიებელნი –განწმენდილნი 3. წყალობა – ისლამი

4. სიცოცხლე – გამოეცადეთ 5. სამართლიანობას – უზნეობას

ᲡᲐᲐᲫᲐᲝᲨᲘ ᲡᲣᲚᲘᲔᲠᲘ ᲡᲘᲛᲨᲕᲘᲓᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲘᲥᲘᲝᲨᲘ ᲡᲐᲛᲝᲗᲮᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲦᲔᲑᲘ

რწმენა

- *ᲥᲔᲚᲘᲛᲔᲘ ᲗᲔᲕᲰᲘᲓᲘ ᲓᲐ ᲥᲔᲚᲘᲛᲔᲘ ᲨᲔᲰᲐᲓᲔᲗᲘ*
- *ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ ᲠᲬᲛᲔᲜᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ*
- *ᲠᲐᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲘᲕᲐᲥᲪᲘᲝᲗ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ ᲠᲬᲛᲔᲜᲐᲨᲘ*
- *ᲠᲝᲒᲝᲠ ᲒᲐᲕᲘᲫᲚᲘᲔᲠᲝᲗ ᲠᲬᲛᲔᲜᲐ?*
- *ᲠᲐᲡ ᲨᲔᲒᲕᲫᲔᲜᲡ ᲠᲬᲛᲔᲜᲐ?*
- *ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲨᲣᲐᲛᲐᲕᲚᲘᲡ ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲔᲑᲐ ᲠᲬᲛᲔᲜᲐᲨᲘ*

თურმე მწამდა, მაგრამ აზრზე არ ვიყავი

ჯერ ოცი წლისაც არ ვიყავი. ერთხელ ჰარუნიეს ცნობილ სამკურნალო წყალზე გავემგზავრე. იმ დროს ყველა მძღოლი ასეთ მთიან და მიხვეულ-მოხვეულ გზებზე გასვლას ვერ ბედავდა. ჩვენ, რამდენიმე ოჯახმა მიკროავტობუსი დავიქირავეთ, საწოლებითა და სხვა ნივთებით დავტვირთეთ და გზას გავუდექით. ცოტა ხნის შემდეგ მთის იმ გზაზე ვიყავით, რომელიც ჩვენს თვალწინ ულამაზესი, მწვანე ფერის პეიზაჟით იშლებოდა. აგვისტოს მწერების მელოდიებს ვუსმენდით, უკან მტვერს ვაყენებდით და ნელ ნელა წინ მივიწევდით. დიდი მად-



ლობა ალლაჰს, რომ წინ სხვა ავტომობილი არ შეგვხვედრია. გზის ზოგიერთი მონაკვეთი ისე ვიწრო იყო, ორ მანქანას ვერ დაიტევდა. ზოგიერთ მოსახვევში მიკროავტობუსის საბურავებიდან გამოვარდნილი ქვები პირდაპირ მდინარის ფსკერზე ეცემოდა.

როგოც იქნა, დიდი გაჭირვებით აღმართი ავიარეთ და ავტომობილი სწორ გზაზე გავიდა. მე აქაური ბუნება ძალიან მომეწონა, ღია ფანჯრიდან თან ხედებს ვათვალიერებდა და თანაც სუფთა ჰაერს ვყლაპავდი, მინდოდა მგზავრობა უსასრულოდ გაგრძელებულიყო. უცებ თვალი საინტერესო რამეს მოვკარი, ძალიან გამიკვირდა, რამდენიმეჯერ განმეორებით შევხედე და გაოცებულს ასეთი ყიჟინა აღმომხდა:

— ღმერთო ჩემო! შეხედეთ იმ ფიჭვის ხეს, ციცაბო კლდეზე როგორ გაუდგამს ფესვი. არა და კლდეზე ერთი პეშვი მიწაც კი არაა.

იმის გამო, რომ ამას მე ხმამაღლა ვფიქრობდი, ჩემს წინ მჯდომმა მოხუცმა კაცმა გაბრაზებით შემომძახა.

—რაა ამაში გასაკვირი? აქ ასეთი ხეები ბევრია

—რას ნიშნავს, გასაკვირი რაა? ალლაჰის ძლიერებას შეხედე, ბუმბერაზ ციცაბო კლდეზე როგორი ლამაზი ფიჭვის ხე გაუჩენია!

—კარგი ერთი, ამას რა კავშირი აქვს ალლაჰსა და მის ძლიერებასთან.

—კი მაგრამ ეს სხვანაირად როგორ შეიძლება მოხდეს. ვინ და რა ძალამ გააჩინა ციცაბო კლდეზე ასეთი ლამაზი ფიჭვი.

—არავინ შვილო..., რატომ მაინცდამაინც ვინმემ უნდა გააჩინოს? ეს იდეოლოგია უმეცართა უსაფუძვლო მსჯელობაა და მეტი არაფერი.

—კი მაგრამ, თუკი ის ფიჭვის ხე ალლაჰმა არ გააჩინა, მაშინ ის ამ კლდეზე ვინ დარგო და გაახარა?

—მაგალითად, წარმოვიდგინოთ, რომ ჩიტს, რომელსაც ფიჭვის მარცვალი მიჰქონდა, ამ კლდის თავზე ის ნისკარტიდან გამოუვარდა. მანაც კლდის თავზე არსებულ მიწაში ფესვი გაიდგა და ულამაზეს ფიჭვის ხედ გაიზარდა.

—თუკი ყველაფერი ისეა, როგორც თქვენ ამბობთ, ყოველივე ამას გამჩენი არ ესაჭიროება?

—რა თქმა უნდა არა! ჩვენს ეპოქაში გამჩენის არსებობის დაჯერება უდიდესი სირცხვილია.

—ამ ხნის ადამიანი ამას როგორ ამბობთ. მე შემიძლია, ამის უამრავი მაგალითი მოგიყვანოთ.

ჩვენი საუბარი რამდენიმე ხნის შემდეგ კამათში გადაიზარდა და, რა თქმა უნდა, ხმასაც ავუწიეთ. კაცი ყვიროდა, მეც ხმას ვუმატებდი. მგზავრები, რომლებიც ჩუმად გვისმენდნენ, დროდარდო ჩვენს კამათში ერთვებოდნენ. მაგრამ ამ კაცის გარდა, რომელიც ნაკითხი ჩანდა, ღმერთის არსებობას არავინ უარყოფდა. მაგრამ მათ სურდათ კამათი მალე დასრულებულიყო და გავჩუმებულიყავით.

ამასობაში მიკროავტობუსმა სიჩქარეს ისე უმატა, რომ საბურავებიდან გამოვარდნილი ქვები ასი მეტრის მოშორებით მდინარე ჯეიჰანში ჩაცვივდა, რამაც ჩვენი გაოცება გამოიწვია. მიკროავტობუსში უკაცრიელმა სიჩუმემ დაისადგურა. ყველა ერთმანეთს უყურებდა, მძღოლი უკან მოტრიალდა და ვითომ არ იცისო, ისე იკითხა: „ნეტა მუხრუჭი დაზიანდა?“ მარცხენა მხარეს მწვანე ფიჭვის ხეებით მოფენილი საშინელი ხრამი იყო. ფერდობის ბოლოს კი მდინარე ჯეიჰანის აქაფებული მორევი მოჩანდა. რამდენიმე წამში ყველა ჩვენგანმა წივილ-კივილი ატეხა. ვინ „ქელიმეი შეჰადეთს“ (ალლაჰის ერთობის დამადასტურებელი სიტყვა) ამბობდა, ვინ „ბისმილლაჰს“ და

ვინ კიდე „ალლაჰ“ ყვიროდა. ყველა, თავისებურად, ალლაჰს ევედრებოდა. მაგრამ, აი საკვირველება! კაცი, რომელიც ცოტა ხნის წინ ღმერთის არსებობას უარყოფდა, ახლა მთელი გულით ყვიროდა: „ღმერთო ჩემო! შენ დაგვიფარე და გადაგვარჩინე“.

ეს აურზაური დიდხანს არ გაგრძელებულა, ჩვენი გაკვირვებისა და დაბნეულობის მიუხედავად ავტომნქანამ სიჩქარეს უკლო და რამდენიმე ხნის შემდეგ გაჩერდა კიდეც.

—კი მაგრამ, ეს რას ნიშნავს?

—აკი მუხრუჭი იყო დაზიანებული?

—გული გაგვისკდა!

—ნუთუ ხუმრობა იყო?

მძღოლი მოგვიახლოვდა და კაცს, რომელსაც ცოტა ხნის წინ მე ვეკამათებოდი, მიმართა:

—ღმერთი არაა, რომ ამბობ, არ გრცხვენია? ცოტა ხნის წინ ღმერთი არ არსებობსო, ამბობდი, მაგრამ როცა გეგონა, მუხრუჭი დაზიანდაო, ყველაზე მეტად შენ რატომ ყვიროდი: „ჩემო ალლაჰო, შენ დაგვიფარე და გადაგვარჩინე?“. თუკი ალლაჰი არ არსებობს (ღმერთო მაპატიე!), მაშინ რატომ ითხოვ მისგან დახმარებას?

შემდეგ ჩვენ შემოგვიბრუნდა:

—დიდი ბოდიში, გთხოვთ მაპატიოთ, მუხრუჭს არაფერი სჭირს, უბრალოდ ყური მოვკარი თქვენს კამათს და ვიფიქრე, ამ კაცს ჭკუას ვასწავლი-მეთქი. მძღოლი ისევ საჭეს მიუბრუნდა და გზა გავაგრძელეთ.

მთელი მგზავრობის განმავლობაში მხოლოდ აგვისტოს მწერების ბზუილის ხმა ისმოდა. ყველა გაჩუმებულიყო, მოხუც კაცს კი სახე გაწითლებოდა. როდესაც სამკურნალო წყალს მივაღწიეთ და ჩვენს ნივთებს ავტომანქანიდან ვალაგებდით, მოხუცი მომიახლოვადა და მითხრა:

—შვილო, ბოდიში, ამდენი წელია, ვფიქრობდი, არ მწამს-მეთქი, მაგრამ თურმე ასე არ ყოფილა. დიახ! თქვენ შემაგნებინეთ, რომ თურმე მწამს, მაგრამ აზრზეც არ ვყოფილვარ. შემდეგ კი მძღოლს მიუბრუნდა და უთხრა: „ბატონო მძღოლო, დიდი მადლობა შენც, რომ რწმენის შეგრძნების შანსი მომეცი“.

ვეჰბი ვაქქასოღლუ

(მასწავლებლის უბის წიგნაკიდან)

რწმენა

ალლაჰის არსებობის და ერთადერთობის, წმინდა მუჰამმედის შუამავლობის გულით დაჯერებას და ამ ყველაფრის ენით გამოხატვას — რწმენა ჰქვია.

მარადიული ხსნის საიდუმლო — ქელიმეი თევხიდი

ფრაზას, რომლითაც ჩვენს გულში არსებულ რწმენას გამოვხატავთ, *„ქელიმეი თევჰიდი“* ეწოდება.

„ქელიმეი თევჰიდი“ ორი ნაწილისგან შედგება: პირველი ნაწილით *„ლა ილააჰე“* ალლააჰის გარდა სხვა არსებების ღვთაებრიობას უარვჰყოფთ და მთელი ჩვენი არ-

უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

„უეჭველად, ნეტარ არიან მორწმუნენი“

სურა მუმინ, აიათი 1

წმინდა შუამავალი ბრძანებს:

„ყველაზე ძვირფასი ზიქრია „ლა ილაჰე ილლელლაჰ“, ყველაზე მადლიანი ვედრება კი - ელჰემდულილლაჰ.“

თირმიზი, დეავათ 9

ქელიმეი თევხიდი

لا اله الا الله محمد رسول الله

„ლა ილაჰე ილლელლაჰ მუჰამმედუნ რესულულლაჰ“

„არ არსებობს ღვთაება გარდა ალლაჰისა, მუჰამმედი კი მისი შუამავალია“.

სებით გამჩენ ღმერთზე დამოკიდებულებას გამოვხატავთ, ასევე პირობას ვდებთ, რომ მთელი ჩვენი სიცოცხლის მანძილზე მისი მონა-მსახური ვიქნებით. მეორე ნაწილით, *„მუჰამმედუნ რესულულლაჰ“* — წმინდა მუჰამმედის შუამავლობას, მისი ალლაჰისგან მოვლინებას და ასევე კაცობრიობისათვის მის უბადლო განსაკუთრებულობას ვაღიარებთ. *„ქელიმეი თევჰიდის“* მნიშვნელობაზე დაფიქრება და ამ ფრაზით ალლაჰის გახსენება უდიდესი მადლის მომტანია. თუკი წრფელი გულით ვიტყვით: *„ლა ილაჰე ილლელლაჰ“* ჩვენს გულებში არსებული წუხილი გაქრება და სულიერ სიმშვიდეს ვიგრძნობთ. გულში ალლაჰის სიყვარული ჩაგვესახება და ამგვარად ალლაჰის საყვარელი მონა-მსახური გავხდებით.



წმინდა შუამავალი ბრძანებს:

„ლა ილაჰე ილლელლაჰის“ მრავალჯერ განმეორებით რწმენა განიმტკიცეთ.“

აჰმედ ბინ ჰანბელ, II, 359

რწმენის სიტყვიერი გამოხატულება, ქელიმეი შეჰადეთი

„ქელიმეი შეჰადეთი“ - ყველაზე ლამაზი და შინაარსიანი სიტყვა, რომელიც ალლაჰის და მისი შუამავლისადმი ჩვენ რწმენას გამოხატავს. *„ქელიმეი შეჰადეთი“* საქვეყნოდ აღიარებაა იმ რწმენის, რომელიც ჩვენ ალლაჰის და მისი შუამავლის მიმართ გაგვაჩნია. ქელიმეი შეჰადეთით საქვეყნოდ ვაცხადებთ, რომ ვართ მუსლიმები და ქედს ვიხრით ალლაჰის ბრძანებების წინაშე. ქელიმეი შეჰადეთით ისლამის, როგორც რელიგიის, ყველა უფლებისა და პასუხიმგებლობის მატარებელი ვხდებით და ისლამურ საზოგადოებაში ვწევრიანდებით.

წმინდა შუამავალი ბრძანებს:

„ალლაჰი ჯოჯოხეთის ცეცხლისგან დაიცავს მას ვისაც გულით სწამს და ენით ამოწმებს, რომ „არ არსებობს ღვთაება, გარდა ალლაჰისა და მუჰამმედი მისი შუამავალია“.

მუსლიმ, იმანი, 47

ქელიმეი შეჰადეთით ვაღიარებთ:

- ✎ რომ ალლაჰი არსებობს და იგი ერთადერთია;
- ✎ რომ თაყვანისცემის ღირსი მხოლოდ ალლაჰია;
- ✎ რომ ვიცხოვრებთ მისი ბრძანებებისა და აკრძალვების შესაბამისად.
- ✎ რომ გვწამს წმინდა შუამავლის და იმის, რაც მან ალლაჰისგან მოგვიტანა.

ასე შეიცვალა მისი ცხოვრება

ისლამის პირველ წლებში, როდესაც მუსლიმების რაოდენობა დღითიდღე იზრდებოდა, წმინდა შუამავლის ბიძის, ფრიად პატივცემულ ჰამზას გამუსლიმებით, მათმა რაოდენობამ ოცდაცხრამეტს მიაღწია.

წმინდა ჰამზას გამუსლიმანებამ მექქელი წარმართები დიდად ააღელვა, სასწრაფოდ შეიკრიბნენ და იმსჯელეს იმაზე, თუ როგორ უნდა შეეჩერებინათ ისლამის გავრცელება.

— მუსლიმები დღითიდღე მრავლდებიან და ძლიერდებიან, თუ ამ პროცესს სასწრაფოდ არ შევაჩერებთ, მომავალში წინ ვეღარ აღვუდგებით. ეს პრობლემა სასწრაფოდ უნდა გადავწყვიტოთ.

უამრავი სახის შეთავაზება იყო, მაგრამ ყველაზე საზარელი წინადადება ებუ ჯეჰილმა წამოაყენა.

—მუჰამმედი უნდა მოვკლათ, სხვა გამოსავალი არ არსებობს. ვინც ამას გააკეთებს, ოქროთი და აქლემებით დავაჯილდოვოთ. ომარი ფეხზე წამოხტა:

— ამას მხოლოდ ხატტაბის შვილი-ომარი გააკეთებს — გატყორცნილი ისარივით სახლისკენ გაეშურა, შეიარაღდა და წმინდა შუამავლის მოსაკლავად გაეშურა. გზად მას აბდულლაჰის შვილი ნუაიმი შემოხვდა და გაბრაზებული რომ დაინახა, ჰკითხა:

— ო, ომარ! საით გაგიწევია?

—არაბებს შორის შუღლისა და მტრობის ჩამომგდებ მუჰამმედის მოსაკლავად მივდივარ.

— ეი, ომარ, შენ დიდ საქმეს შესდგომიხარ. მუსლიმები წმინდა მუჰამმედს ერთი წუთითაც არ

ტოვებენ მარტო, მასთან ახლოსაც კი არ მიგიშვებენ. ანაც, რომ მოკლა, გგონია, ჰაშიმის შვილთა საგვარეულო ცოცხალს დაგტოვებს?

—ნუთუ შენც მათგანი ხარ? ნუთუ შენც მუჰამმედის სარწმუნოება მიიღე?

—შენ ჯერ შენს ახლობლებს მიხედე, შენი და, ფატიმა, და სიძე საიდიც გამუსლიმანდნენ.

ნუაიმის ამ სიტყვებმა ომარი დიდად გააბრაზა, აღარ იცოდა, რა გაეკეთებინა. საკუთარი დისა და სიძის გამუსლიმანების ამბავი არ სჯეროდა. მაგრამ სიმართლე რომ ყოფილიყო, რა უნდა გაეკეთებინა, პირველად ვისთან უნდა წასულიყო?!

ომარმა საკუთარი ეჭვების გასაქარწყლებლად მიმართულება შეიცვალა და პირდაპირ სიძის, საიდ ბინ ზეიდის, სახლისკენ გაეშურა. სახლში წმინდა ყურანს კითხულობდნენ. ფრიად პატივცემული ჰაბბაბი იქ მყოფთ ყურანს ასწავლიდა. ომარმა კართან რომ მიაღწია, ყურანის კითხვის ხმა შემოესმა და კარზე ისეთი ბრახუნი ატეხა, თითქოს უნდა დაამტვრიოსო. როცა ნახეს ომარი მოსულიყო, სახლში მყოფებს ძალიან შეეშინდათ, ჰაბბაბი და ყურანი გადამალეს და კარი გაუღეს. გაბრაზებულმა ომარმა იყვირა:

—რას კითხულობდით?

—არაფერს

— ესე იგი, რაც გავიგე, ყველაფერი მართალია; სიძეს საყელოში სწვდა, მუშტი შემოჰკრა, ძირს გააგორა და მთელი ძალით ჩაწიხლა. და ქმრის გადასარჩენად ომარს შემოეხვია, მაგრამ მან საკუთარი დაც კი არ დაინდო და სცემა. ცხვირპირდასისხლიანებულმა ფატიმამ ომარს უთხრა:

—ო, ომარ! მეც და ჩემი ქმარიც გავმუსლიმანდით, რაც გინდა ის გააკეთე, თუ გინდა მოგვკალი, ჩვენ სარწმუნოებას აღარ შევიცვლით. - ამ სიტყვებმა ომერზე ძალიან იმოქმედა, გული ცოტათი მოულბა. ადგილზე ჩაიკეცა, თითქოს საკუთარ საქციელს ნანობსო. შემდეგ წყნარი ხმით იქ მყოფთ მიმართა:

—რას კითხულობდით? მოიტანეთ, მეც მინდა ვნახო!

ჰაბბაბი სამალავიდან გამოვიდა და ომარს უთხრა:

—ეი, ომარ! წმინდა შუამავლისგან ასეთი ვედრება გავიგონე: *„ო, ალლაჰ! ისლამი ორ ომართაგან ერთ ერთით გააძლიერე.“* ვიმედოვნებ, რომ წმინდა შუამავლის ეს ვედრება შენთვის ახდება. ალლაჰის გეშინოდეს! გამუსლიმანდი!

ამასობაში დამ დამალული წმინდა ყურანის ფურცლები გამოიტანა, რომელშიც სურა **„ტაჰას“** პირველი აიათები ეწერა.

ომარმა კითხვა დაიწყო. როცა დაასრულა, დაჯდა და ფიქრს მიეცა. გულში ისლამი გაუჯდა და სრულიად შეიცვალა. შემდეგ წამოიძახა:

—მუჰამმედთან წამიყვანეთ.

ომარის ამ სიტყვებმა იქ მყოფები ძალიან გაახარა და მაშინვე გზას გაუდგნენ.

ჩვენი საყვარელი შუამავალი *„ერქამის სახლში“* იმყოფებოდა. იქ მყოფმა მუსლიმებმა, როცა დაინახეს წმინდა ომარი მათკენ მოდიოდა, ძალიან შეეშინდათ.

წმინდა ჰამზამ ყველა დაამშვიდა.

— თუკი კარგი განზხრახვით მოდის,

ძალიან სასიამოვნოა, მაგრამ თუ ცუდი განზრახვა აქვს, სათანადოდ დავხვდებით.

ერქამის კარს მომდგარი წმინდა ომარი შეიპატიჟეს და წმინდა შუამავალს წარუდგინეს. შუამავალმა მას მოსვლის მიზეზი ჰკითხა. წმინდა ომარმა უპასუხა:

—მოვედი, რათა ვაღიარო ჩემი რწმენა ალლაჰის შუამავლისადმი - ***„ეშჰედუ ელლა ილაჰე ილლელლაჰ, ვე ეშჰედუ ენნე მუჰამმედენ რესულულლაჰ“*** - თქვა და გამუსლიმანდა. იქ მყოფებმა სიხარულით თექბირი წარმოსთქვეს. მექას ქუჩებში ***„ალლაჰუ ექბერი“*** (ალლაჰის დიდების) აჟღერდა.



წმინდა ომარი სრულიად სხვა ადამიანი იყო, სრულიად სხვა ცხოვრებას იწყებდა. ის უკვე ისლამური საზოგადოების წევრი იყო. სიძულვილი, რომელსაც ცოტა ხნის წინ მუსლიმების მიმართ გრძნობდა, სიყვარულში გადაეზარდა. გაიგო ისლამის სიდიადე, გული სიკეთით აევსო და სრულიად სხვა ომარად წარმოგვიდგა.

წმინდა ომარის გამუსლიმანებით მუსლიმები უფრო მეტად გაძლიერდნენ. მათ რიგებში მისმა ყოფნამ ისლამის მიმვდევრებს ძალა შეჰმატა. ისინი აქამდე ერქამის სახლში ისლამს ფარულად სწავლობდნენ, ახლა უკვე, გაბედულად გამოიტანეს და ერთად ქააბასკენ გაემართნენ.

წარმართებმა, რომლებიც ქააბასთან ახლოს ისხდნენ, დაინახეს რა ხალხის ხმა მათკენ მოიწევდა, იფიქრეს, ომარს ყველა მუსლიმი აქეთ დასასჯელად მოჰყავსო, მაგრამ თექბირის ხმის გაგონებისთანავე ყველასათვის ცხადი გახდა, რომ უკვე ომარიც გამუსლიმანებულიყო. იგი დაწინაურდა და იქ მყოფთ მიმართა:

—ვინც არ იცის გაიგოს, მე ხატტაბის შვილი ომარი ვარ და უკვე ისლამი მივიღე შემდეგ კი ხმამაღლად ქელიმეი შეჰადეთი წარმოთქვა.

დაბნეულმა წარმართებმა ომარის ამ სიტყვების გაგონებაზე, აღარ იცოდნენ, რა ეთქვათ, თითქოს, ენა გადაყლაპესო, ისე დაიშალნენ.

შეკრებილი მუსლიმები პირველად მივიდნენ ქააბაში და ჯამაათით ნამაზი ილოცეს. წმინდა ომარმაც მათთან ერთად ილოცა და ჭეშმარიტ გზაზე დამყენებელ ალლაჰს მადლობა გადაუხადა.

ადრეც მრავალჯერ მისულა წმინდა ომარი ქააბაში, მაგრამ გული ისეთი სიძულვილით ჰქონდა სავსე, რომ წმინდა შუამავლის მოკვლას აპირებდა. ამჯერად გული ისეთი რწმენითა და სიყვარულით აევსო, რომ წმინდა შუამავლის გზაზე საკუთარ სიცოცხლესაც კი არ დაიშურებდა. ქელიმეი შეჰადეთი (ალლაჰის ერთადერთობის დამადასტურებელი სიტყვა) ამ სიყვარულისა და რწმენის ყველაზე მნიშვნელოვანი სიმბოლოა.

რწმენა და ადამიანთა კატეგორია

რწმენის მიხედვით ადამიანთა ორი კატეგორია არსებობს:

1. მორწმუნე
2. ურწმუნო

ადამიანთა კატეგორია რწმენის მხრივ

- **მორწმუნე** (მორწმუნე-მუსლიმი)
- **ურწმუნო**
  - **ქაფირი** (ისლამის უარამყოფელი)
  - **მუშრიქი** (წარმართი). (ადამიანი, რომელიც ალლაჰის გარდა სხვა არსებებსაც აღმერთებს)
  - **მუნაფიყი** (ფლიდი). ადამიანი, რომელიც თავს მორწმუნედ აჩვენებს, მაგრამ სინამდვილეში გულით არ სწამს.

უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

„უეჭველად, რომელთაც ირწმუნეს და ჰქმნეს სიკეთენი, ისინი არიან გაჩენილთა შორის ყველაზე საუკეთესონი!

მათი საზღაური მათი ღმერთის წინაშე ღედნის სამოთხეებია, სადაც ძირს მდინარეები მოედინება, იქ სამუდამოდ დაჰყოფენ. ალლაჰი კმაყოფილია მათით და კმაყოფილნი არიან ისინი მისგან (ალლაჰისგან).

აი, ეს მათთვის, ვინც მოკრძალებულია უფლის წინაშე!.“

სურა ბენიე, აიათები 7-8

1. მორწმუნენი

☺ მუსლიმი ეწოდება მას, ვისაც სწამს ალლაჰის არსებობის და ერთადერთობის, წმინდა მუჰამმედის შუამავლობის და მასზე ზეგარდმოვლენილის. სიკეთის მთესველი-მორწმუნენი საიქიოში სამოთხეში მოხვდებიან.

2. ურწმუნონი

არსებობს ურწმუნოთა სამი კატეგორია:

☹ ალლაჰის არსებობისა და ერთადერთობის, წმინდა შუამავლისა და მასზე ზეშთაგონებულის უარმყოფს, **ქაფირი (ურწმუნო)** ეწოდება.

ქაფირია ისიც, ვინც ისლამის უდავო ბრძანებათაგან რომელიმეს უარყოფს. ის, ვინც სულს ქაფირად განუტევებს, საიქიოში ჯოჯოხეთში მოხვდება და სამუდამოდ იქ დარჩება.

☹ მას, ვისაც სწამს ალლაჰის არსებობის, მაგრამ არ სწამს მისი ერთადერთობის და აღმერთებს სხვა არსებებსაც, **მუშრიქი (წარმართი)** ეწოდება.

არაფრისგან გაჩენა, გაჩენილებზე სარჩოს მიცემა და განსაცდელისგან ხსნა მხოლოდ და მხოლოდ ალლაჰს ძალუძს. თუ ვინმეს სწამს, რომ სხვა არსებებსაც ასეთი რამ შეუძლიათ, ეს მხოლოდ და მხოლოდ ალლაჰის ერთადერთობის უარყოფაა ხოლო იმის რწმენა, რომ ალლაჰის გარდა სხვა ღვთაებაც არსებობს **შირქია (პოლითეიზმია).**

უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

„...ხოლო რომელთაც უარყვეს, მათთვისაა ჯოჯოხეთის ცეცხლი. და არ იქნება განჩინება, რომ მოკვდნენ ან შეუმსუბუქდეთ სასჯელი. ასე მივუზღავთ ყველა უმადურს!

და მოთქვამენ: „ღმერთო ჩვენო! გამოგვიყვანე აქედან და ვიქმთ სიკეთეს და არღა ვიქმთ, რასაც ვაკეთებდით“. განა თქვენთვის არ გვიბოძებია საკმაო სიცოცხლე იმისათვის, რომ შეგეგონებინათ იმათ მსგავსად, ვინც შეიგონა? და თანაც თქვენთან შემგონებელი მოვიდა. მაშ, იგემეთ, რამეთუ არ ჰყავთ უსამართლოებს მეოხე!“

სურა ფათირი, აიათები 36-37

უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

„უეჭველად, არ მიუტევებს ალლაჰი მისთვის თანაზიარის გაჩენას,...

სურა ნისა, აიათი 116

☹ ვინც სინამდვილეში გულით ურწმუნოა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, თავს მორწმუნედ აჩვენებს, მას **მუნაფიყი (ფლიდი)** ეწოდება. ორპირობის გამო საიქიოში მუნაფიყების სასჯელი ძალიან მწარე იქნება.

რასუნდაბივაქციოთმჯერადლეგარნმენაში

თუკი ალლაჰის არსებობა, მისი ერთადერთობა და წმინდა მუჰამმედის შუამავლობა გულით გვწამს და მას ენითაც ვადასტურებთ, ე.ი მორწმუნენი ვართ. მაგრამ საკმარისი არაა, ერთხელ თქვა ***„ვირწმუნე“***-ო. ჩვენი გულითადი რწმენა უკანასკნელ ამოსუნთქვამდე უნდა დავიცვათ, ვინაიდან მარადიული ხსნის მომტანი მხოლოდ და მხოლოდ მუდმივმოქმედი რწმენაა. ამიტომ ყურადღება ქვემოთ ჩამოთვლილ საკითხებს უნდა მივაქციოთ:

უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

უეჭველად, თვალთმაქცები ცეცხლის უფსკრულში იქნებიან და ვერ მოუნახო შენ მათ შემწე,“ *(სურა ნისა, აიათი 145)*

„...აი, ეს იმისთვის, რომ ირწმუნეს, მერე უარყვეს.“ *(სურა „მუნაფიყუნი“ აიათი 3).*

უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

„ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! ჭეშმარიტი ღვთისმოშიშებით გეშინოდეთ ალლაჰისა, და სული მხოლოდ მუსლიმებად განუტევეთ“

სურა ალი-იმრანი აიათი 102

უნდა ვაღიაროთ ისლამის რწმენის ყველა პირობა და დებულება

ალლაჰის, ანგელოზების, ღვთიური წიგნების, შუამავლების, წარღვნის დღის, ბედისწერის, ცუდისა და კარგის ალლაჰისეულობის დაჯერება ისლამის რწმენის აუცილებელი პირობებია. ალლაჰმა გვიბრძანა ღვთისმსახურებების: ნამაზის, მარხვის, ზექათის, ჯიჰადის და ა.შ. შესრულება. ასევე აგვიკრძალა: მრუშობა, ქურდობა, კაცის კვლა, ყომარი, ალკოჰოლური სასმელების მიღება და ყველანაირი პროცენტით ფულის აღებ-მიცემა. ამ პირობებს უსათუოდ უნდა დავემორჩილოთ. ისლამის პირობების, მისი აუცილებელ კანონთაგან ერთ-ერთის, ან რამდენიმეს უარყოფა, ან მათზე აგდებული ლაპარაკი ადამიანს ურწმუნოს გახდის.

უნდა ვიცხოვროთ შიშისა და იმედის ზღვარზე

ჩვენი, ღვთისმსახურებასა და კეთილ ქმედებებზე დაყრდნობით, სამოთხეში უეჭველ შესვლის მოსაზრება მცდარია. ასევე მცდარია ის აზრიც, რომ ჩვენი ცოდვებისა და შეცდომებისათვის აუცილებლად ჯოჯოხეთში მოვხდებით, ვინაიდან ალლაჰის მოწყალების იმედის გაცრუება რწმენას დაგვიკარგავს. მაშასადამე, უნდა გვწამდეს, რომ ალლაჰი მოწყალე და მიმტევებელია, მაგრამ ასევე უნდა გვახსოვდეს ისიც, რომ ჩადენილი ცოდვებისა და დაშვებული შეცდომების გამო დამსჯელიც ის არის.

უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

...ნუთუ წიგნის ერთ ნაწილს ირწმუნებთ, მეორე ნაწილს კი უარყოფთ? თქვენგან ვინც იქმს ამას, საზღაური ამისა არ იქნება სხვა, თუ არა დამცირება ამ ცხოვრებაში და აღდგომის დღეს მიეგებათ მწარე სასჯელი. ალლაჰი უგულისყურო არ არის, იმის მიმართ, რასაც აკეთებთ!

სურა ბაყარა, აიათი 85

„რომ, გამოცხადდეს წარღვნის დღეს მხოლოდ ერთი კაცი უნდა მოხვდეს სამოთხეშიო, დავიმედდები, ნეტა, ის კაცი მე ხომ არ ვარ - მეთქი.

ასევე, რომ გამოცხადდეს მხოლოდ ერთი კაცი უნდა მოხვდეს ჯოჯოხეთშიო, შიში შემიპყრობს, ნეტა, ის კაცი მე ხომ არ ვარ-მეთქი“. (წმინდა ომარი).

უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

„თქვი: ჰეი, მსახურნი ჩემო, რომელთაც ზღვარს გახვედით საკუთარი თავის საზიანოდ! არ მოიწყვიტოთ იმედი ალლაჰის წყალობისგან. უეჭველად, ალლაჰი მიუტევებს ცოდვებს სრულად, რამეთუ იგია შემნდობი, მწყალობელი.“

სურა ზუმერი, აიათი 53

შუამავლის სამახარობლო

წმინდა შუამავლის მეგობართაგან ერთ-ერთი, ამრ იბნ ასი სიკვდილის სარეცელზე იწვა. ერთხელ მეგობრები მის სანახავად მივიდნენ. როცა ოთახში შევიდნენ, ამრ ბინ ასს სახე კედლისკენ მიებრუნებინა და ტიროდა. შვილმა, რომელიც მის დამშვიდებას ცდილობდა, უთხრა:

—მამიკო, წმინდა შუამავალმა შენ რა გიმახარობლა? რატომ ტირი?

ამის შემდეგ ამრ ბინ ასმა პირი მეგობრებისკენ იბრუნა და უთხრა:

—საიქიოსთვის ჩემი ყველაზე კარგი სამზადისია ფრაზა *„ლა ილაჰე ილლელლაჰ“*. შემდეგ მათ ერთი ასეთი ამბავი მოუყვა.

„ერთ დროს წმინდა შუამავალი ჩემზე მეტად არავის სძულდა, მის მოსაკლავად მიზეზს ვეძებდი. ასეთი მდგომარეობაში რომ მოვმკვდარიყავ, აუცილებლად ჯოჯოხეთი მერგებოდა.

როცა უზენასემა ალლაჰმა გული ისლამით გამითბო და გავმუსლიმანდი, წმინდა შუამავალთან მივედი და ვუთხარი:

—ხელი გამომიწოდე, შენი რწმენა უნდა მივიღომეთქი. მაგრამ როცა შუამავალმა ხელი გამომიწოდა, მე ხელი უკან წავიღე.

— რა იყო, გადაიფიქრე?— მკითხა მან

—უნდა ვირწმუნო, მა-გრამ ერთი პირობით.

—რა პირობით?

—მინდა უზენაესმა ალლაჰმა ჩემი ჩადენილი ყველა ცოდვა მაპატიოს.

წმინდა შუამავალმა ასე ბრძანა:

—გამუსლიმანება შენს მიერ ადრე ჩადენილ ყველა ცოდვას წაშლის. ჰიჯრეთი ცოდვებს გააბათილებს, ჰაჯი კი ადრე ჩადენილი ყველა ცოდვებისგან გაგათავისუფლებს.

მე წმინდა შუამავლის ამ სიტყვებმა ძალიან გამახარა. მის მადლმოსილ ხელს ხელი ჩავავლე და ისლამი მივიღე. ამ რწმენასთან ერთად წმინდა შუამავლის მიმართ გული ისეთი სიყვარულით ამევსო, რომ ასე აქამდე არავინ მყვარებია“.

(მუსლიმი, იმანი, 192)

რა უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ რწმენა გაგვიძლიერდეს?

რწმენა ჩვენი ჭკუის წინამძღოლია, გულის სიმშვიდის დასაბამია. ამქვეყნიდან საიქიოში ანუ, მუდმივ სასუფეველში ბედნიერად გადასახლება მხოლოდ ჭეშმარიტი რწმენითაა შესაძლებელი.

რწმენა ღვთისმსახურების საფუძველია. მონა-მსახურებები მნიშვნელობას მხოლოდ რწმენის საშუალებით იძენს. მათი სიამოვნებით შესრულება, კარგი ზნეობის მატარებლობა, თითოეულ საქციელში ალლაჰის კმაყოფილებაზე ფიქრი, რწმენის უგემრიელესი ნაყოფია. ყველა ასეთი საქციელი რწმენას გაგვიღრმავებს.

რწმენა:

- ☑ ღმერთთან სიახლოვის,
- ☑ ღვთისმსახურების,
- ☑ მიერ ჰარამი (აკრძალული) საქციელების ჩაუდენლობის მეშვეობით, ჩვენს ცხოვრებაზე დადებით ზეგავლენას მოახდენს.

ღმერთის სიყვარული ძლიერი რწმენის შედეგია. ჰარამი საქციელის ჩადენა და ღვთისმსახურების შეუსრულებლობა რწმენის დასუსტების მიზეზია. ალლაჰის სიყვარულის გამო ცრემლების დამღვრელისა და ჰარამი საქციელის ჩამდენი ადამიანის რწმენა, განა, ერთია?

თუ ჩვენ გულებში რწმენა დაისადგურებს, მაშინ ორგანიზმი სწრაფად მზარდ ნერგს დაემსგავსება. ეს ნერგი რომ გაიზარდოს და მისგან ნაყოფი მივიღოთ, ის უნდა დავიცვათ, ვახაროთ და მოვუაროთ. ანალოგიურად, რწმენაც სულიერი საზრდოებით უნდა ვკვებოთ, გავაძლიეროთ და ყოველგვარი საზიანო ფიქრისგან დავიცვათ.

როგორც დაუცველი ნერგი გახმება,

უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

„სიმამაცე არ დაკარგოთ და არ დამწუხრდეთ, ხოლო თუ ხართ მორწმუნენი, უეჭველად, აღმატებულნი იქნებით!“

სურა ალი-იმრანი, აიათი 139

„რწმენა ადამიანის სინათლე და ძალ-ღონეა. ჭეშმარიტი რწმენის მქონე ადამიანი სამყაროს მართვას შეძლებს.“

ბედიუზზამანი

ასევე დაუცველი რწმენაც, ღმერთმა დაგვიფაროს, გაქრება და წავა. რწმენა ჩვენი ყველაზე მნიშვნელოვანი სიმდიდრეა. ეშმაკი ყოველთვის ცდილობს, ჩვენს გულებში ჩასახული რწმენა გაგვიქარწყლოს. ამიტომ, ვიდრე ცოცხლები ვართ, სიცოცხლის ბოლომდე ის უნდა დავიცვათ.

ამის მისაღწევად კი:

- ✔ კარგი საქმეები უნდა ვაკეთოთ;
- ✔ ღვთისმსახურება თანმიმდევრულად და დროულად უნდა შევასრულოთ;
- ✔ სამყაროს გაჩენაზე და სხვა არსებებზე უნდა ვიფიქროთ;
- ✔ ცოდვებისგან და ჰარამისგან თავი შორს უნდა დავიჭიროთ;
- ✔ ღვთისმოსავ ადამიანებთან ერთად უნდა ვიყოთ.

ღმერთის გულისთვის შესრულებული კეთილი საქმის საერთო სახელი: „სალიჰ ამელია“

რწმენა მხოლოდ თეორიული ცოდნა და ფიქრი არ არის. მის მწვერვალზე მიღწევა, მხოლოდდამხოლოდ ღვთისმსახურებითა და სიკეთით შეიძლება. რწმენა, უპირველესად, გულში ჩაისახება, შემდეგ კი ყოფაქცევებში გამომჟღავნდება. თუკი რწმენის ამ დონეს მივაღწევთ, საუკეთესო სულიერ სიამოვნებას შევიგრძნობთ.

ამიტომ არის, რომ ყურანსა და ჰადისებში რწმენა და კარგი საქმე ერთად მოიხსენი-

წმინდა. შუამავალი ბრძანებს:

„რომელიმე თქვენგანი ისლამის მიხედვით ლამაზად თუ იცხოვრებს, გაკეთებული ყველა სიკეთის სანაცვლოდ ათიდან შვიდასამდე მადლს მოიგებს. ხოლო თუ ის ერთ ცოდვას ჩაიდენს, მხოლოდ ერთი ცოდვა დაეწერება.“

ბუჰარი, იმანი, 31

ღმერთის გულისთვის შესრულებული ყველა სიკეთით რწმენა გაგვიძლიერდება.

ება. ალლაჰის საყვარელ ადამიანად ჩამოყალიბებისთვის გაკეთებულ ყველა კეთილ საქმეს *კეთილი ქმედება* ჰქვია. ამისათვის საჭიროა:

- ალლაჰის ბრძანებების შესრულება;
- ღვთის მიერ აკრძალულებისგან შორს დგომა;
- კარგი ზნეობა;
- გაჩენილების შებრალება და შეცოდება,
- ცოდნის მიღება და სხვებზე გადაცემა;
- ადამიანების კეთილდღეობისათვის ზრუნვა;
- ადამიანების დახმარება და მათი პრობლემების გადაჭრისთვის ზრუნვა;
- ცხოველების მიმართ კეთილად მოქცევა,
- გარემოს დაცვა-დასუფთავება და სხვა მსგავსი კარგი საქციელი კეთილი საქმეებია.

რწმენა — ჩვენი გულების ლამპარია, კეთილი საქმეები კი ამ ლამპრის დამცავი და მუდამ მასაზრდოებელი ენერგია.

რწმენის გაძლიერებისათვის სასიკეთო საქმეების კეთებას უნდა ვუმატოთ. კეთილი საქმეების კეთების გაზრდით ჩვენს გულებში რწმენაც მოიმატებს და ღვთისა და შუამავლის სიყვარული გაძლიერდება.

ერთი ადამიანი საყვარელ შუამავალთან მივიდა და სთხოვა:

- ო, ალლაჰის შუამავალო, ჯოჯოხეთიდან გადარჩენისა და სამოთხეში მოხვედრისათვის საჭირო საქციელი მასწავლე.

წმინდა შუამავალმა მას ასე უპასუხა:

- ღვთისმსახურების შესრულება, ალლაჰის გარდა არავისზე თაყვანისცემა, ნამაზის ლოცვა, ზექათის გაცემა და ნათესავებზე ზრუნვა.

მუსლიმი, იმანი, 14

რწმენის შენარჩუნების ხელსაყრელი მომენტი: ჩვენი ღვთისმსახურებაა

რწმენასა და ღვთისმსახურებას შორის პირდაპირი კავშირი არსებობს. მისი შესრულების სურვილი რწმენის გაძლიერების მაჩვენებელია.

ძლიერად მორწმუნე მუსილმი ღვთისმსახურებას მშვიდად ასრულებს და მისით ტკბება, ამით კი სულიერად მშვიდდება. ის, ვისაც სუსტი რწმენა აქვს, ღვთისმსახ-ურებაშიც შესაბამისად იქცევა. თუკი მათ ისე არ გააკეთებს, როგორც საჭიროა, მას რწმენით მიღებული სიამოვნება დაუსუსტდება, ცოდვებს ველარ მოერიდება, რწმენაც თანდათან გაუქრება და გულქვა გახდება.

ღვთისმსახურება ალლაჰთან დაგვაახლოებს და მისი (ალლაჰის) საყვარელი მონა-მსახურთაგანი გავხდებით. ნამაზით, მარხვით, ზექათის გაცემით, მოწყალებით, სამართლიანობით, მეგობრებზე დახმარებით და ყველა კარგი საქციელით ალლაჰსა და ჩვენს შორის მუდმივი კავშირი იქნება და რწმენა გაგვიძლიერდება.

უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

„რომელნიც ალლაჰს ახსენებენ ფეხზე მდგომარე, მჯდომარე თუ მწოლიარე, და ფიქრობენ ცათა და ქვეყნის გაჩენაზე, (ამბობენ): „ღმერთო ჩვენო! შენ ეს ამაოდ (ტყუილად) არ გაგიჩენია! დიდება შენდა! დაგვიფარე ჩვენ ცეცხლის სასჯელისგან“

სურა ალი-იმრანი, აიათი 191

ადამიანის აზროვნების ჰორიზონტი — ფიქრი

ფიქრი;

- ☑ ღმერთის უზენაესობა;
- ☑ მისი სიძლიერის და ყოვლისშემძლეობის სიდიადე,
- ☑ სამყაროსა და არსებების სილამაზე,
- ☑ ადამიანის გაჩენის მიზანი,
- ☑ სამყარო, სიკვდილი და საფლავში ცხოვრება,
- ☑ წარღვნის, განკითხვის დღის, სამოთხის, ჯოჯოხეთის თუ უამრავი სხვა რამის შესახებ დაფიქრება და გონს მოსვლა.

გაჩენილი არსებები და სამყაროში არსებული უბადლო წესრიგი უზენაესი გამჩენის სიძლიერეზე მიუთითებს და ამით მტკიცდება, თუ რამდენად უძლურები ვართ ჩვენ ალლაჰის წინაშე და რამდენად მოწყალე და შემბრალებელია ის ჩვენდამი.

ერთი საათით ალლაჰზე გულწრფელი ფიქრი, ერთი წლის განმავლობაში შესრულებულ ნაფილე (სამადლო) ღვთისმსახურებაზე უკეთესია.

სიცოცხლეზე, სიკვდილსა და იმქვეყნიურ ცხოვრებაზე თუ დავფიქრდებით, გავიგებთ, რომ ამქვეყნიური ცხოვრება, მართლაც, წარმავალია;

ნუ დავივიწყებთ, რომ ამქვეყნად გაკეთებული ყველა საქმისთვის განკითხვის დღეს პასუხი მოგვეთხოვება, ამაზე ფიქრის მეშვეობით ჩვენ რწმენა გაგვიძლიერდება. ამქვეყნიური სიცოცხლე (ცხოვრება) ღმერთის შეცნობისა და სამოთხის მოპოვების დიდი შანსია. დედ – მამას, ძმებს, მეგობრებსა და სხვებს კარგად უნდა მოვექცეთ და ზიანი არცერთ არსებას არ უნდა მივაყენოთ.

უძვირფასესი ფრაზა

ლა ილაჰე ილლელლაჰ —
მუდამ პირს მაკერია,
რა ძვირფასი სიტყვაა,
გამიღვივა კერია.

ლა ილაჰე ილლელლაჰ —
სამოთხეს აწერია,
იქ ვერასდროს ვერ შევა,
ვინც ისლამის მტერია.

ლა ილაჰე ილლელლაჰ —
მუსლიმანის მცველია,
ყველა წრფელი ნამაზი,
გულ-სულის დამწველია.

ლა ილაჰე ილლელლაჰ —
მზის და მთვარის შუქია,
მისთვის, ვინც არ წარმოთქვამს,
ყველაფერი მუქია.

ლა ილაჰე ილლელლაჰ —
ჩემთვის ყველაფერია,
ყურანივით წმინდა რამ
ხელში ჯერ არ მჭერია.

ლა ილაჰე ილლელლაჰ —
მუდამ პირს მაკერია,
მასზე ძვირფასი სიტყვა
ქვეყნად არაფერია.

გულის შავი ლაქებისგან დაცვა, ცოდვებისგან შორს დგომა

არსებობს ჩვენი ორგანიზმის, სულის, საზოგადოებისა და სხვა ცოცხალი არსებებისთვის ზიანის მიმყენებელი ცუდი ქმედებები. ღმერთი ასეთი ქმედებების ჩადენას გვიკრძალავს.

ალლაჰი მის წინააღმდეგ გამოსვლას, ტყუილის თქმას, ჭორს, მშობლების ურჩობას, ნამაზის არლოცვას, სხვებზე ზიანის მიყენებასა და მსგავს ქმედებებს გვიკრძალავს. თუკი ამ ბრძანებებს არ შევასრულებთ, ცოდვის ჩამდენნი ვიქნებით.

ჩვენ მიერ ჩადენილი ცოდვები რწმენას ზიანს მიაყენებს, უკვე ჩვევად ქცეული, კი რწმენის დასუსტებას გამოიწვევს. როცა ისინი მოიმატებს, ღვთისმსახურების სურვილი გაგვიქრება და ღვთის სასჯელის შიში დაგვისუსტდება.

ჩვენ მიერ ჩადენილი თითოეული ცოდვით ჩვენს გულებში პატარა ლაქა გაჩნდება. ამ ლაქების მომრავლების შედეგად გული გაქვავდება. რაკი გული გაქვავდება, სიფრთხილეს ცოდვების ჩადენის



წმინდა შუამავალი ბრძანებს:

„მორწმუნე როდესაც ცოდვას ჩაიდენს, მის გულში შავი ლაქა გაჩნდება. თუ ის ცოდვის ჩადენას თავს დაანებებს და ღმერთისგან მის პატიებას მოითხოვს, შავი ლაქა წაიშლება და გული ისევ ადრინდელ ფორმას დაუბრუნდება. თუ ცოდვის ჩადენას გააგრძელებს, შავი ლაქების რაოდენობა მოიმატებს და გული მთლად შავი ლაქებით დაიფარება. როგორც ალლაჰი ბრძანებს: ***„არა, იმათი გულები ჩადენილი ცოდვების ჟანგს მოუცავს!“*** *აიათში ნახსენები სიტყვა ჟანგი სწორედ ეს ლაქაა“.*

იბნ მაჯე, ზუჰდი, 29

წმინდა შუამავალი ბრძანებს:

„ის, ვინც ალლაჰის გზაზე დიდ მანძილს გაივლის, შემდეგ თავის მოუწესრიგებელ და მტვერში ამოსვრილ ხელებს ცად აღაპყრობს და ო, ღმერთო!-ო შეევედრება, თუმცა იგი ჰარამით იკვებება, ასეთი ადამიანის ვედრება განაყაბული (მიღებული) იქნება?!“

მუსლიმი, ზექათი, 65

მიმართ აღარ დავიცავთ. იმ ცოდვებს, რომლებსაც ადრე ვერიდებოდით, უკვე უმნიშვნელოდ ჩავთვლით. ამიტომ ნებით თუ უნებლიე ჩადენილი ცოდვის შემთხვევაში დაუყოვნებლივ, ალლაჰს პატიება უნდა ვთხოვოთ. სიკეთითა და კარგი საქმეების კეთებით ჩადენილი ცოდვები უნდა გამოვისყიდოთ.

ჰარამის მჭამელი გაუკულმართდება

ის, რასაც მიირთმევთ, ჩვენს გულებზე, რწმენასა და გრძნობებზე ძალიან დიდ ზეგავლენას ახდენს. ჩვენი საკვები რამდენადაც სუფთა და ჰალალი იქნება, ჩვენი ცხოვრება და რწმენაც იმდენად მტკიცე და ძლიერი გახდება.

ავტომობილის საწვავზე დავფიქრდეთ. ისევე როგორც საწვავში შერეული უვარგისი ნივთიერებები მოქმედებს ავტომობილის მუშაობაზე, ასევე ადამიანის კუჭში მოხვედრილი ჰარამი საჭმელი ზეგავლენას ახდენს მის ფიქრებსა და ზნეობაზე. ჰარამის მჭამელი პიროვნება ცუდზე ფიქრობს. გული საეჭვო საქციელისკენ უძგერს. ცუდ საქმეებს აკეთებს. ამიტომ ჰარამის მჭამელი გაუკულმართდება.

ალლაჰის შემხსენებელი კეთილმოსურნე მეგობრები

არსებობენ ალლაჰის ბრძანებების მიმართ განსაკუთრებით ყურადღებიანი, ჰარამისა და ალალის გამთვალისწინებელი, მაღალი ზნეობის მატარებელი ადამიანები.

ასეთი მუსლიმები სასიკეთო საქმეებს აკეთებენ, აკრძალულისგან შორს დგანან. აზრიანად საუბრობენ, ვინმეს არ აწყენინებენ. მათ ისევე ძლიერ უყვართ ალლაჰი, როგორც ალლაჰს ისინი. ყურანის მიხედვით ასეთი მუსლიმები კეთილი და სამაგალითო ადამიანები არიან და ღმერთს სურს, რომ ჩვენც მათ მივბაძოთ.

ადამიანი მასთან მყოფ თანამოძმეზე თავისი ქცევითა და მდგომარეობით დიდ ზეგავლენას ახდენს.

ჰარამთან ახლოს მდგომ, საეჭვო ზნეობის ადამიანებთან კავშირი ჩვენზე უარყოფითად მოქმედებს. ის რწმენისა და ზნეობის დაკნინების მიზეზი ხდება.

კეთილ მორწმუნეებთან ერთად ყოფნა ჩვენზე დადებითად მოქმედებს, ვინაიდან მორწმუნე გულები მშვიდ ზღვას წააგავს. მათ სახეებზე - სინათლე, გულებში კი - სიმშვიდე და მათი სულიერი სილამაზე გამოიხატება. ასეთი ადამიანები მათ გარშემო დადებით ენერგიას ავრცელებენ. ალლაჰსა და წარღვნის დღეს გახსენებენ, საუბრითა და ქცევებით სამაგალითონი არიან.

კეთილ ადამიანებთან ყოფნით რწმენა გაგვიძლიერდება. ღვთისადმი სიყვარული მოგვემატება. გული ჰარამს განშორდება. ზნეობა გაგვილამაზდება. საბოლოოდ კი ჩვენც მათსავით ღვთის ბრძანების შემსრულებელი, აკრძალულებისგან შორს მდგომი და კეთილი ადამიანები გავხდებით.

წმინდა შუამავალი ბრძანებს:

„ადამიანზე თავისი მეგობრის ცხოვრება ზეგავლენას ახდენს. ამიტომ თითოეული თქვენგანი, მეგობრის შერჩევისას, ფრთხილად იყავით!“

აბუ დაუდი, ედები, 16

უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

„ჰეი, თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! გეშინოდეთ ალლაჰის და იყავით მართალთა გვერდით!“

სურა თევბე, აიათი 119

კაცი, რომელმაც იცის, თუ როგორ უნდა დასვას კითხვა

630 წელი იდგა. შუამავალი თავის თანამიმდევრებთან ერთად მესჯიდი ნებევში საუბრობდა. ამ დროს მესჯიდის წინ უცხო პიროვნება მოვიდა. წყვილი ნაწნავით თმები ორად ჰქონდა განაწილებული. მხარბეჭიანი და ძლიერი პიროვნება ჩანდა. ჩამოქვეითდა, აქლემი მესჯიდის კუთხეში, ერთ ბოძზე მიაბა და მათკენ გაემართა.

„მუჰამმედი რომელია?“, იკითხა მან. ნათელი იყო, რომ ჯერ მუსლიმი არ იყო. ვინაიდან მუსლიმანები შუამავალს სახელით კი არა, ღმერთის მიერ მისთვის მინიჭებული წოდებით — ***„რესულულლაჰ“*** მიმართავდნენ.

იქ მყოფებმა შუამავალზე მიუთითეს, აი იქ მჯდომი ფერმკრთალი ადამიანიაო. შუამავალს არც მესჯიდი ნებევში ჰქონდა განსაკუთრებული ადგილი და არც გამოსასვლელი ტანსაცმელი გააჩნდა, ასე რომ მისი თანამიმდევრებისგან განასხვავება შეუძლებელი იყო. მან უცხო პიროვნება ვერ იცნო, რადგან ადრე ნანახი არ ჰყავდა.

უცნობი მას მიუახლოვდა და მიმართა: ო, აბდულმუტტალიბის შვილიშვილო.

შუამავალმა, მობრძანდით, გისმენთო, უპასუხა. ზოგიერთი კითხვა მინდა დაგისვა, თუ ჩემი კითხვებით გადავაჭარბებ, მომიტევე, სხვანაირად არ გამიგოო სთხოვა მას მო-

სულმა:

შუამავალი დაეთანხმა, არ მეწყინება, მკითხე რაც გენებოსო. შემდეგ მათ შორის ასეთი დიალოგი გაიმართა:

— თქვენს მიერ ჩვენი ტომისათვის

გამოგზავნილი ელჩის იმფორმაციით შენ ალლაჰს შუამავლად მოუვლენიხარ. შენი და შენი წინაპრების ღმერთის სახელით გეკითხები: შენ ალლაჰმა ყველა ხალხისთვის მოგავლინა?

— დიახ, ალლაჰმა მე კაცობრიობისთვის მომავლინა, — უპასუხა შუამავალმა.

— მაშ, ეს ცანი ვინ გააჩინა?

— ალლაჰმა გააჩინა.

— დედამიწაც?

— დიახ, ისიც ღმერთმა გააჩინა.

— ეს მთები დედამიწის ზურგზე ვინ განალაგა?

— ღმერთმა განალაგა.

— მხოლოდ ღმერთის ღვთისმსახურებას, მასზე არაფრის გატოლებას და კერპების მიტოვებას ბრძანებ. ღმერთის სახელით გეკითხები, ეს ყველაფერი შენ ღმერთმა გაცნობა?

— დიახ, ღმერთმა მაცნობა.

— ღვთის გულისთვის თქვი. დღეში ხუთი დროის ნამაზის ლოცვა ღმერთმა გიბრძანა?

— დიახ, ღმერთმა მიბრძანა.

— ღვთის გულისთვის თქვი, რამაზნის (მარხვის) თვეში მარხვის შენახვა ღმერთმა გიბრძანა?

— დიახ, ღმერთმა მიბრძანა.

— ღვთის გულისთვის თქვი, ზექათის მდიდრებიდან აღება და ღარიბებზე მიცემა ღმერთმა გიბრძანა?

— დიახ, ღმერთმა მიბრძანა.

თანამიმდევრები უცხო პირის შეკითხვებს ყურადღებით უსმენდნენ. ის განაგრძობდა:

— ჩვენი ტომისთვის გამოგზავნილი ელჩის ინფორმაციით, მატერიალური შესაძლებლობების მქონე ადამიანებისთვის ქააბას მონახულება სავალდებულოა, ეს მართალია?

— დიახ, ელჩს სიმართლე უთქვამს.

— შენი შუამავლად მომვლენის გულისთვის თქვი, ყოველივე ეს შენ ღმერთმა გიბრძანა?

— დიახ, ღმერთმა მიბრძანა.

პიროვნებამ, რომელმაც ყველა შეკითხვაზე დადებითი პასუხი მიიღო, შუამავალს მშვიდად შეხედა და ეს სიტყვები წარმოთქვა:

— მკიცედ მჯერა, რომ ალლაჰის გარდა, სხვა ღვთაება არ არსებობს, ასევე მტკიცედ მჯერა, რომ მუჰამმედი ღვთის მონა-მსახური და შუამავალია. ალლაჰის მიერ ყველა ნაბრძანების მჯერა და მისი ბრძანებისამებრ უნდა ვიმოქმედო. აკრძალულთაგან შორს უნდა დავდგე. მე სად ბინ ბექირის ტომიდან დიდემ ბინ სალებე ვარ. ჩემი ტომის სახელით ვარ შენთან მოსული. შენს შუამავლად მომვლენელ ღმერთს ვფიცავ, რაც მითხარი, მასზე მეტს ან ნაკლებს არ გავაკეთებ...

წმინდა დიდემი ფეხზე ადგა, აქლემზე შეჯდა და თავისი ტომისკენ გაემგზავრა.

თანამიმდევრები დიდემს გაკვირვებით უყურებდნენ, მერე შუამავალს შეხედეს, იგი იღიმებოდა. შემდეგ მან ასეთი სამახარობლო სიტყვები წარმოთქვა:

„ეს ნაწნავებიანი პიროვნება თუ სიმართლეს ამბობს, სამოთხეში მოხდება.“

(ბუხარი, ილიმ 6; მუსლიმი, იმან 10)

რას შეგვძენს რწმენა

რწმენა

- ჯოჯოხეთიდან გადარჩენასა და სამოთხეში მოხვედრას უზრუნველყოფს.
- უსიამოვნებასა და ჭირვეულობის დროს მოთმინების ძალას შეგვმატებს.
- ძმობისა და დახმარების გრძნობას გაგვიძლიერებს.
- ჩვენს გრძნობებზე, ფიქრსა და ქცევებზე დადებითად იმოქმედებს.

სიცოცხლე მხოლოდ ამქვეყნიური ცხოვრება როდია. ადამიანის ამქვეყნიური ცხოვრების ხანგრძლივობა, საშუალოდ, სამოც-სამოცდაათ წელს შეადგენს. წუთისოფლის ცხოვრება ჩვენ საიქიოში სამოთხის მოსაპოვებლად გვაქვს ბოძებული. სიკვდილის შემდეგ ხელმეორედ ამქვეყნად მოსვლის საშუალება აღარ გვექნება. ისინი, ვინც ამ ქვეყნიურ ცხოვრებას სასიკეთოდ არ იყენებენ, საიქიოში მწარედ ინანებენ.

უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

„უეჭველად, რომელთაც ირწმუნეს და ჰქმნეს კეთილი საქმენი, მათთვისაა სამოთხეები, სადაც ძირს ნაკადულები რბიან, სწორედ ესაა უდიდესი ჯილდო (ნეტარება)!“

სურა ბურუჯი, აიათი 11

ქვეყნიერება გამოსაცდელი ადგილია. ამქვეყნად ვინც იწამებს და კეთილ საქმეებს გააკეთებს, სამოთხეს მოიგებს. ხოლო ვინც უარყოფს და ცუდ საქმეებს ჩაიდენს, ჯოჯოხეთს დაიმსახურებს. საიქიოში ჩვენი ბედნიერება ამქვეყნიურ ცხოვრებაში ჩვენს ნამოქმედარზეა დამოკიდებული. მტკიცე რწმენა ჩვენ სასიკეთო საქმეებისკენ მოგვიწოდებს, **ჯოჯოხეთისგან გადარჩენისა და სამოთხეში მოხვედრის შანსს შეგვინარჩუნებს.**

ადამიანი გაჩენის დღიდან სუსტი არსებაა. მისი გამოცდის, პრობლემებისა და ტანჯვის ადგილი კი ეს ქვეყანაა. სიძნელეები და პრობლემები ჩვენი ცხოვრების ნაწილია. დავადებები, სიკვდილიანობა, ბუნებრივი კატასტროფები ყოველთვის მოსალოდნელია.

ურწმუნო ადამიანი ამქვეყნიურ პრობლემებს, მიუხედავად მისი ძალისხმევისა, ბოლოს მაინც დანებდება. მორწმუნე ადამიანი კი ამ ყველაფერს რწმენის თვალით შეხედავს. რაც უნდა მოხდეს, ყველაფერს, როგორც საოცრებას, ისე შეხედავს. ყველა მომხდარ მოვლენას სამოთხეში მოხვედრის შანსად ჩა-თვლის და ყველაფერს მოთმინებით აიტანს. დაავადებების, სიკვდილიანობის, მიწისძვრისა თუ სხვა პრობლემის წინაშე ქედს არ მოიხრის, უიმედობას არ მიეცემა, ვინაიდან იფიქრებს, რომ ყველა ამქვეყნიურ პრობლემას გარკვეული სარგებლობაც მოაქვს. ჩვენს თავს დამტყდარი უბედურება ჩვენივე გამოც-დაა და ამიტომ მოთმინება გვმართებს. **რწმენა — სირთულისა და გაჭირვების დროს მოთმინების ძალას მოგვცემს.**

უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

„და, უეჭველად, ჩვენ გცდით თქვენ ცოტა შიშითა და შიმშილით, ქონების, სულთა და ნაყოფთა ნაკლებობით. და შენ ახარე მომთმენთ, რომელთაც ეწიათ რაიმე უბედურება, და თქვეს: უეჭველად, ჩვენ ალლაჰს ვეკუთვნით და უეჭველად, მისდა მივიქცევით ჩვენ.“.

სურა ბაყარა, აიათები 155-156

რწმენა — კაცთმოყვარეობის **გრძნობას თაგვისახავს. თანადგომისა და ქველმოქმედების წადილს გაგვიცოცხლებს.**

ადამიანი სადაც ცხოვრობს, იმ გარემოს ეკუთვნის და თუკი იქ მყოფი ადამიანების მწუხარებას გაიზიარებს, დამშვიდდება.

თუკი ვირწმუნებთ და კეთილმორწმუნე სიხარულსა და მწუხარებას გვერდით მყოფთ გავუზიარებთ, პრობლემებს ერთად გადავჭრით.



წმინდა შუამავალი ბრძანებს:

„მორწმუნეები ურთიერთსიყვარულში, მწუხარების გაზიარებასა და ერთმანეთის დაცვაში ერთ სხეულს ჰგვანან, ორგანიზმის ერთი ნაწილი თუ დაავადდება, ამ ტკივილებს დანარჩენი ნაწილებიც შეიგრძნობენ“.

ბუჰარი, ედები, 27

ჩვენ გრძნობებსა და ფიქრებს რწმენა განსაზღვრავს. ჩვენი ქცევებიც ამ ფიქრებისა და გრძნობების სარკეა.

რწმენა ადამიანის აზროვნებასა და ქცევებზე დადებითად მოქმედებს. ნამდვილი მორწმუნე თუ ვიქნებით, ფიქრებსაც გავილამაზებთ. საბოლოოდ კი ჩვენი საუბარი და ქცევები მისაბაძი გახდება. სიმართლის მთქმელ, სიკეთის მკეთებელ და სხვების პატივისმცემელ ადამიანად ვიქცევით. ცუდს არ ვიტყვით და სხვებსაც ზიანს არ მივაყენებთ. ჩვენი ხელით, ან ენით არავის არ დააზარალებთ. მაღალი ზნეობის მატარებელი ვიქნებით და ამგვარად, ღვთის და ადამიანების პატივისცემას დავიმსახურებთ.

წმინდა შუამავალი ბრძანებს:

„ადამიანის სხეულში ერთი პატარა ორგანო არსებობს. თუკი ეს ორგანო ჯანსაღად იქნება, მთელი ორგანიზმი კარგად იქნება. თუკი ის დაავადდება, მთელი ორგანიზმი დაავადებულია. აი ეს ორგანო - გულია.“

ბუჰარი, იმანი, 39

ფიქრებს გაუფრთხილდით, გრძნობებად გექცევათ.

გრძნობებს გაუფრთხილდით, ქცევებად გექცევათ.

ქცევებს გაუფთხილდით, ჩვეულებად გექცევათ.

ჩვევებს გაუფრთხილდით, ზნეობად და ხასიათად გექცევათ.

წმინდა შუამავლის რწმენა

ღვთისგან მოვლენილი რჩეული მსახურები, შუამავლები ის ადამიანები არიან, რომლებიც კაცობრიობას რწმენისკენ მოუწოდებენ. ის თავდაპირველად, თვითონ ირწმუნებს და მერე ამ რწმენის სხვა ადამიანების გულებში ჩასანერგად იღვაწებს.

წმინდა მუჰამმედი ღმერთის მიერ რჩეულ შუამავალთაგან ბოლოა. სხვა შუამავლების მსგავსად ის რასაც ქადაგებდა, უპირველესად თვითონვე სწამდა. კერპებს არასდროს ეთაყვანებოდა. მან **ალლაჰის გარდა სხვა ღმერთი არ ირწმუნა.** უდიდესი ღმერთის რწმენის გასავრცელებლად ბევრი იბრძოლა და ამ გზაზე უამრავი სიძნელე გადაიტანა.

მექქელმა ურწმუნოებმა შუამავლისათვის ამ რწმენის ქადაგების ხელის შესაშლელად ყველანაირ ხერხს მიმართეს. მაგრამ მისი გულწრფელი რწმენის გამო ვერაფერს გახდნენ. **ვერავითარმა ძალამ ვერ შესძლო ქადაგების გზაზე მისი შეჩერება.**

წმინდა შუამავალმა **რწმენისთვის მიყენებული ზიანის გარდა ადამიანებს ყოველგვარი პიროვნული დანაშაული აპატია, სირთულის წინაშე ქედი არ მოუხრია, ყველანაირ უსამართლობას სიკეთით გაუსწორდა.** რწმენისათვის სიცოცხლეც კი არ დაუზოგავს, მისთვის თავდადებას ყველაზე დიდ მოწოდებად მიიჩნევდა.

ალლაჰის შუამავალი **ღვთისმსახურებით, ღმერთზე ფიქრითა და მისი ხსენებით**

უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

„ირწმუნა შუამავალმა, რაც თავისი ღმერთისგან ზემოევლინა და (იწამეს) მორწმუნეებმაც. იწამა ყველამ ალლაჰი, მისი ანგელოზები, მისი წიგნები, მისი შუამავლები. არ განვასხვავებთ მის შუამავალთაგან არც ერთს!“

სურა ბაყარა, აიათი 285

მექქელმა ურწმუნოებმა, შუამავალისათვის ამ რწმენის ქადაგების ხელის შესაშლელად ყველანაირ ხერხს მიმართეს, მაგრამ ვერავითარ წარმატებას ვერ მიაღწიეს. მათ საბოლოოდ ბიძამისთან, აბუ თალიბთან მისვლა გადაწყვიტეს. შუამავალს, რომელიც რვა წლის ასაკიდან ბიძასთან იზრდებოდა, იგი ძალიან უყვარდა. ურწმუნოებმა იფიქრეს, რადგან იგი ასე უყვარს, იქნებ, მისი ხათრით რწმენაც მიატოვოს და ქადაგებასაც შეეშვასო. მათ აბუ თალიბს შუამავალთან დალაპარაკება სთხოვეს. ბიძამისმა შუამავალს მდგომარეობა გააცნო, ურწმუნოების თხოვნა გააგებინა. ამ საქმის საბოლოო შედეგი სავალალო იქნებაოუთხრა, ქადაგებაზე თავის დანებება სთხოვა, მაგრამ შუამავალმა ასეთი პასუხი გასცა:

„ბიძაჩემო! ვფიცავ ღმერთს! თუნდ მარჯვენა ხელში მზე მარცხენაში მთვარე ჩამიდონ, ამ დავას (ქადაგებას) თავს არ დავანებებ. ან ალლაჰი სამყაროში ამ რწმენას გაავრცელებს, ან მე ამ გზაზე მოვკვდები

(იბნ-ი ესირ, ელ-ქამილ, 2, 64)

რწმენას ინარჩუნებდა. მან ყოველთვის იცოდა, რომ ღმერთის მეთვალყურეობის ქვეშ იყო და ყოველთვის მის პატივისცემას (ღმერთის) ცდილობდა, ყველა ღვთისმსახურებას გულიანად ასრულებდა. დღე და ღამე იმას ფიქრობდა, რომ ღვთისმსახურებისთვის დრო გამოენახა. ღვთისმსახურება და ღმერთზე ფიქრი მას სულიერად ამშვიდებდა.

საყვარელი შუამავალი **მაღალი ზნეობის მატარებელი** იყო. მისი ასეთი ზნეობრივი სიდიადე მის გულში არსებული, გულწრფელი რწმენის გამოხატულება იყო.

„მორწმუნეთაგან ყველაზე შესანიშნავნი კარგი ზნეობის მატარებელნი არიან.“ (თირმიზი,რადა 11) ამ სიტყვებით მან მიუთითა, რომ ზნეობა რწმენაზეა დამოკიდებული. ის რწმენასა და ზნეობას ძმებად თვლიდა. იგი ამბობდა, სადაც რწმენაა, იქ აუცილებლად ზნეობაც არსებობსო. ამიტომ კარგი მორალის მატარებელ ადამიანებს მეტ ყურადღებას აქცევდა. **ადამიანები არა სიღარიბით, სიმდიდრითა და თანამდებობით, არამედ რწმენითა და ზნეობით უნდა შეფასდესო, ასწავლიდა ის.**

შუამავალი ამ ქვეყანას გამოცდის ადგილად თვლიდა. **ყოველგვარ პრობლემებს უმკლავდებოდა და უიმედობას არასდროს მიეცემოდა.** მას სწამდა, რომ ამქვეყნიური ცხოვრების შემდეგ მარადიული სიცოცხლე ელოდა და სააქაო ნამოქმედარზე პასუხი უნდა ეგო. ამიტომაც, შესაბამისად იქცეოდა. ადამიანებზე მიცემულ ყოველგვარ სარჩოს ამანათად თვლიდა. სულიერ თუ უსულო არსებებს სიბრალულით უყურებდა.

მოკლედ, შუამავალს რაც სწამდა, იმით სანიმუშოდ ცხოვრობდა. **ამიტომ ჩვენთვის ყველაზე კარგი და სამაგალითო პიროვნება სწორედ ის არის.**



შუამავლის დროს უდაბნოში ერთი-ერთი მისი მიმდევარი ცხოვრობდა. მას საკუთარი თავი არ მოსწონდა. ამის გამო მას შუამავალი, წმინდა მუჰამმედს კი იგი ძალიან უყვარდა. მედინაში წასვლისას შუამავალს კევს და წვრილმან საჩუქრებს წაუღებდა. მას აუცილებლად გაუვლიდა და მოინახულებდა ხოლმე. შუამავალიც მას საჩუქრებს გადასცემდა.

ერთ დღეს შუამავალმა ეს მიმდევარი ბაზარში დაინახა. მას უკნიდან ჩუმად მიეპარა, თვალებზე ხელები მოხვია და წამოიძახა:

— ვის სურს იყიდოს ეს მონა?

(იგულისხმა ღმერთის მსახურება და მონობა):

მიმდევარმა შუამავალი ხმით იცნო და გახარებით წამოიძახა:

— ო, შუამავალო ჩემისთანა შეუხედავს ვინ იყიდის? ჩემი გაყიდვით ბევრს ვერაფერს მოიგებ.

შუამავალმა მას ხელები მოაცილა და წარმოთქვა:

— შეხედულებით შეიძლება შენში ბევრი ფული არ გადაიხადონ, მაგრამ შენი ფასი ღვთის წინაშე ძალიან დიდია.

თეთრტანსაცმლიანი უცხო პიროვნება

წმინდა ომარი გადმოგვცემს:

„ერთ დღეს შუამავალთან ერთად ვიყავით. ამ დროს თეთრტანსაცმლიანი და შავთმიანი პიროვნება მოვიდა, რომელსაც ჩვენ შორის არავინ არ იცნობდა. ის შუამავლის წინ დაჯდა, მუხლები მუხლებზე მიადო და უთხრა:

— ეი, მუჰამმედ, ამიხსენი ისლამი!

შუამავალმა თქვა:

— ისლამია რწმენა, რომელიც აღიარებს, რომ არ არსებობს ღვთაება გარდა ალლაჰის და მუჰამმედი მისი შუამავალია, ნამაზის სრულფასოვნად ლოცვა, ზექათის გაცემა, მარხვა და შეძლების შემთხვევაში ქაბას მონახულებაა (ჰაჯობა).

— მართალს ამბობ? — მიუგო უცნობმა:

ის ეკითხებოდა და თან ეთანხმებოდა. რაც ძალიან გვაკვირებდა. უცხო პიროვნებამ შემდეგ რწმენის ახსნა სთხოვა.

— შუამავალმა ბრძანა:

— რწმენა ღმერთის, ანგელოზების, წმინდა წიგნების, შუამავლების, განკითხვის დღის და ბედისწერის, აგრეთვე სიკეთისა და სიავის ღვთის მიერ გარდმოვლენის აღიარებაა.

— მართლს ამბობ - დაუდასტურა უცნობმა პიროვნებამ:

— მაშ ამიხსენი იჰსანი (სიკეთე) რა არის? — შუამავალმა უთხრა:

— ეს ისეთი ცხოვრებით ცხოვრებაა, თითქოსდა ღმერთს ხედავ. შენ მას ვერ ხედავ მაგრამ ის შენ აუცილებლად გხედავს — უცნობი პიროვნება ამჯერადაც დაეთანხმა.

— მართალს ამბობ — მიუგო.

უცნობმა წარღვნის ნიშნები და მიზეზებიც ჰკითხა და წავიდა. მე იქ ცოტა ხანს კიდევ დავრჩი. შემდეგ შუამავალმა თქვა:

— ეი, ომარ, იცი ის პიროვნება ვინ იყო?

— შუამავალმა უკეთ იცის, გვითხარი, ვინ იყო? მან უთხრა:

— ის ჯიბრაილ ანგელოზი იყო, იმისათვის მოვიდა, რათა თქვენთვის რწმენა (ისლამი) ესწავლებინა.

(მუსლიმ, იმან. 1 ვე 5. ბუჰარი, იმან. 37; თირმიზი იმან, 4; ებუ დავუდ, სუნნეთ 16; ნესაი, მევაკით, 6; იბნ მაცე, მუკადდიმე. 9)

ყველა მუსლიმანს რწმენის ექვსი პირობის სჯერა. ეს პირობები ამენთუში მკაფიოდ არის გამოხატული.

რწმენის საფუძვლები

ამენთუ

آمَنْتُ بِاللهِ وَمَلَائِكَتِهِ وَكُتُبِهِ وَرُسُلِهِ وَالْيَوْمِ الْآخِرِ وَبِالْقَدَرِ خَيْرِهِ
وَشَرِّهِ مِنَ اللهِ تَعَالَى وَالْبَعْثُ بَعْدَ الْمَوْتِ حَقٌّ ۞ أَشْهَدُ أَنْ لَا
إِلٰهَ إِلَّا اللهُ ۞ وَأَشْهَدُ أَنَّ مُحَمَّدًا عَبْدُهُ وَرَسُولُهُ

მე ღმერთის, ანგელოზების, წმინდა წიგნების, შუამავლების, განკითხვის დღის, ბედისწერის, ანუ სიკეთისა და სიავის ღმერთის მიერ მოვლენისა და ასევე სიკვდილის შემდეგ გაცოცხლებისა მჯერა.

დავემოწმები, რომ ალლაჰის გარდა სხვა ღვთაება არ არსებობს და კიდევ ვაღიარებ, რომ მუჰამმედი მისი (ალლაჰის) მონა-მსახური და შუამავალია.

კითხვები

შევავსოთ კროსვორდი



1	ღმერთზე ისეთნაირად მონა-მსახურება, თითქოს, მას ვხედავთ.	5	ის, ვისაც ღვთის არსებობის, მისი ერთადერთობის, წმინდა მუჰამმედის შუამავლობისა და ღმერთის მიერ ზეგარდმოვლენილის არ სწამს.
2	ის, ვინც ღვთის არსებობასთან ერთად, მის ერთა-დერთობას უარყოფს და კიდევ სხვა ღვთიური ძალის არსებობას აღიარებს.	6	ღვთის არსებობისა და მისი ერთა-დერთობის დაჯერება
3	ის ვისაც სწამს ღვთის არსებობის, მისი ერთადერთობის და წმინდა მუჰამმედის შუამავლობის.	7	მრავალღმერთიანობა ანუ....?
4	მორწმუნე და კეთილი საქმეების მკეთებელი მუსლიმანებისთვის ადგილი იმქვეყანაში.	8	გულით ურწმუნო, რომელიც სხვების დასანახად მუსლიმანის მსგავსად იქცევა.

ქვემოთ მოცემული წინადადებები შეაერთეთ შესაბამისად.

1	ღვთის და შუამავალის დაჯერების გამომ-ხატველი ყველაზე ლამაზი ფრაზა		გამოტოვება რწმენის სისუსტეს გამოხატავს.
2	არაფრისგან სამყაროს გამჩენი, ადამიანთა მასაზრდოებელი		ხსენება და მისი არასდოს დავიწყებაა
3	ჩვენი ბედნიერების საფუძველი		ცოდვილნი ვიქნებით
4	ჩვენს ღვთისმსახურებს მაშინ აქვს ფასი, თუკი		ღვთისმსახურებებისგან სიამოვნებას მიიღებს
5	ღვთის სიყვარული		მორწმუნე ვართ
6	ჰარამი და ღვთისმსახურების		რწმენის ნაყოფია
7	მტკიცე რწმენის მუსლიმი,		მოთმინების ძალას მოგვცემს.
8	ზიქრი, უზენაესი ალლაჰის		ჩვენივე რწმენის სიძლიერეა.
9	რწმენა მწუხარებისა და უბედურებების დროს		და ყველაფრის მმართველ-მაკონტრო-ლებელი უზენაესი ალლაჰია.
10	ღვთის ბრძანებებსა და აკრძალულებს თუ არ დავიჯერებთ		ქელიმე-ი შეჰადეთია.

გამოვსცადოთ ჩვენი თავი

1. ქვემოთ მოცემულთაგან რომელია ქელიმეი შეჰადეთის მნიშვნელობა?

ა. მე ღმერთის მჯერა.

ბ. ღმერთის გარდა სხვა ღმერთი არ არსებობს, მუჰამმედი მისი მონა-მსახური და შუამავალია.

გ. მტკიცედ მწამს, რომ არ არსებობს ღვთაება გარდა ალლაჰის და რომ მუჰამმედი მისი მონა-მსახური და შუამავალია.

დ. ღმერთი ჩემ მიერ ყველა გაკეთებულის ყველაფრის მოწმეა.

2. ქვემოთ მოცემულთაგან რომელი გაგვიძლიერებს რწმენას?

ა. I, II, III და V **ბ.** II, IV და V

გ. I, II, III და IV **დ.** II, III, IV და V

I. კეთილი საქმეების კეთება

II. ღვთისმსახურების, წესისა-მებრ, შესრულება.

III. ღმერთზე ფიქრითა და ხსენებით დაკავება.

IV. ყველანაირ თამაშსა და გარ-თობაზე დასწრება.

V. ცოდვებისა და ჰარამისგან შორს დგომა.

3. ქვემოთ მოცემულთაგან რომელს გამოვხატავთ, ქელიმე-ი შეჰადეთით?

ა. მხოლოდ I და II **ბ.** I, II, IV და V

გ. II, III და V **დ.** I, II, III, IV და V

I. ღვთის არსებობის და ერთობის რწმენას;

II. იმას, რომ არავინაა ღვთისმსახურების ღირსი გარდა ალლაჰისა;

III. იმას, რომ შეიძლება ალლაჰ-ის გარდა სხვა ღვთაებებიც არსებობდნენ;

IV. იმას, რომ ალლაჰის ნაბრძანებისა და აკრძალულის მიხედვით ვიცხოვრებთ;

V. ჩვენ რწმენას შუამავალისა და მის მიერ ღმერთიდან მოტანილისადმი.

4. ქვემოთ მოცემულთაგან რომელია ქელიმე-ი თევჰიდი?

ა. ელჰემდუ ლილლაჰი რაბბილ ღალემინ

ბ. ალლაჰუმმე სალლი ღელა მუჰამმედინ ვე ღელა ალი მუჰამმედ

გ. ეშჰედუ ენ ლა ილაჰე ილლალლაჰ ვე ეშჰედუ ენნე მუჰამმედენ ღებდუჰუ ვე რესულუჰუ

დ. ლა ილაჰე ილლალლაჰ მუჰამმედუნ რესულულლაჰ

5. ქვემოთ მოცემულთაგან რომელი არაა კეთილი საქმე?

ა. სიკეთის კეთება;

ბ. ალლაჰის აკრძალულთაგან შორს დგომა;

გ. ცხოველების მიმართ ცუდად მოქცევა;

დ. ადამიანებზე დახმარება

ქვემოთ მოცემულ ცარიელ ადგილებში ჩასვით ფრჩხილებში მოთავსებული სიტყვები

(კარგი / მეგობრის / გულია/ სიკეთისთვის / გაჩენილთაგან/ ასამდე/ კეთილი/ გულები/ მეგობრობს / გახსენებით)

1. „მორწმუნე და ----საქმის მკეთებელნი ------- ყველაზე საუკეთესონი არიან.“

2. „კარგად იცოდეთ, რომ------მხოლოდ ალლაჰის----- სულიერ მშვიდობას მიაღწევს.“

3. „ადამიაზე ზეგავლენას ახდენს ---- ცხოვრების სტილი, ამიტომ ყველა თქვენგანმა კარგად შეარჩიოს ის პიროვნება, ვისთანაც ------“.

4. „თქვენგან რომელიც ისლამის მიხედვით იცხოვრებს, ყველა ჩადენილ ------- შვიდიდან ------- მადლს მოიგებს!“

5. „ადამიანის სხეულში ერთი ორგანო არსებობს. თუ კი ეს ორგანო --------- იქნება, მთელი ორგანიზმი კარგად იქნება. ის თუ დაავადდება, მთელი ორგანიზმი დაავადდება. აი ეს ორგანო ------.“

პასუხების გასაღები

შევავსოთ კროსვორდი



შევაერთოთ

1	ღვთის და შუამავლის დაჯერების გამომ-ხატველი ყველაზე ლამაზი ფრაზა	6	გამოტოვება რწმენის სისუსტეს გამო-ხატავს.
2	არაფრისგან სამყაროს გამჩენი, ადამიანთა მასაზრდოებელი	8	ხსენება და მისი არასდროს დავიწყებაა
3	ჩვენი ბედნიერების საფუძველი	10	ცოდვილნი ვიქნებით
4	ჩვენ ღვთისმსახურებას მაშინ აქვს ფასი თუკი	7	ღვთისმსახურებისგან სიამოვნებას მიიღებს
5	ღვთის სიყვარული	4	მორწმუნე ვართ
6	ჰარამის და ღვთისმსახურების	5	რწმენის ნაყოფია
7	მტკიცე რწმენის მქონე მუსლიმი,	9	მოთმინების ძალას მოგვცემს.
8	ზიქრი, უზენაესი ალლაჰის	3	ჩვენივე რწმენის სიძლიერეა.
9	რწმენა მწუხარებისა და უბედურებების დროს	2	და ყველაფრის მმართველ-მაკონტრო-ლებელი უზენაესი ალლაჰია.
	ღმერთის ბრძანებებსა და აკრძალულებს თუ არ დავიჯერებთ	1	ქელიმე-ი შეჰადეთია.

გამოვცადოთ ჩვენი თავი

1. გ, 2. ა,

3. ბ, 4. დ,

5. გ,

ქვემოთ მოცემულ ცარიელ ადგილებში ჩასვით ფრჩხილებში მოთავსებული სიტყვები

1. კეთილი – გაჩენილთაგან
2. გულები –გახსენებით
3. მეგობრის – მეგობრობს
4. სიკეთისთვის – ასამდე
5. კარგი– გულია

სამყაროთა ღმერთის

ალლაჰის რწმენა

- ალლაჰის არსებობა და ერთადერთობა
- ალლაჰის თავისებურებანი და სახელები
- ალლაჰის რწმენა რას შეგვძენს?
- ჩვენი შუამავლის ღვთისადმი სიყვარული

ბავშვი, რომელსაც ალლაჰის სწამს

მრავალი წლის წინათ ბაბილონის სახელმწიფოში პატარა ბავშვი ცხოვრობდა, მას სახელად იბრაჰიმი ერქვა. თავისი ზრდილობითა და ჭკუით ბავშვი ყველას ყურადღებას იპყრობდა. ბაბილონის იმდროინდელი ხალხი ღმერთის ნაცვლად კერპებს: მთვარეს, მზეს, ვარსკვლავებს, ცეცხლსა და მსგავს უამრავ რაიმეს სცემდა თაყვანს. სამლოცველოები სხვადასხვა სიდიდისა და ზომის უამრავი კერპებით ჰქონდათ სავსე. ხისა და ქვისგან გაკეთებულ ამ „ვითომ ღმერთებს“ უჩოქებდნენ, თავიანთი სურვილების შესრულებას ევედრებოდნენ და ცუდი საქმეებისგან გადარჩენას სთხოვდნენ..

იბრაჰიმი მის გარშემო მყოფი ხალხის უცნაურ რწმენას გულისყურით აკვირდებოდა. მისი გონება კერპებისკენ როდი იყო მიმართული. იგი მათ არც ევედრებოდა და არც თაყვანს სცემდა. იბრაჰიმის მამა აზერიც ამ რწმენის მიმდევრად ითვლებოდა. იგი სახელგანთქმული ოსტატი იყო.

იბრაჰიმს უკვირდა, როცა ხალხი ქანდაკებების წინ მუხლს იდრეკდა და ევედრებოდა. მათი საქციელის გამო იგი ძალიან წუხდა. „ხისა და ქვის უბრალო საგანი, ხელოსნის ხელში გავლით, როგორ შეიძლება ღმერთად იქცეს? ადამიანებს როგორ დაიცავს და მათ სურვილებს როგორ აუხდენს?“ – ფიქრობდა იგი.

იბრაჰიმი პატარა იყო, მაგრამ კერპებს თაყვანს მაინც არ სცემდა. იგი ერთ დღეს იმ ხალხთან მივიდა, ვინც ვარსკლავებს, მთვარეს, მზესა და ზეცაში არსებულ სხვადასხვა ციურ სხეულებს ეთაყვანებოდა. ეს ადამიანები დაბნელებასა და ზეცაში არსებულ მათ მიერ აღიარებულ ღმერ-

თების გამოჩენას ელოდნენ, მათი თაყვანისცემისთვის ემზადებოდნენ. იბრაჰიმიც მათ შორის იყო.

ცოტა ხნის შემდეგ დაბნელდა. ამ დროს ვენერა გამოჩნდა. ეს ვარსკვლავი სხვათაგან მნიშვნელოვნად გამოირჩეოდა. იბრაჰიმმა თქვა: „ჩემი ღმერთი ეს უნდა იყოს. ყველა დანარჩენზე დიდი ვარსკვლავი ჩემი ღმერთია“. ვენერას თაყვანისმცემლებმა იფიქრეს: „იბრაჰიმსაც ჩვენსავით სჯერა, მანაც იპოვა ჭეშმარიტებაო“. ცოტა ხნის შემდეგ ვენერა თვალს მიეფარა, ამიტომ იბრაჰიმმა თქვა: „არა, ასეთი წარმავალი ჩემი ღმერთი ვერ იქნება“. მისი ასეთი ჭკვიანური სიტყვები ირგვლივ მყოფმა ხალხმა გაამართლა. ასეთმა ლოგიკურმა ახსნამ მათ რწმენაში ეჭვის გაღვიძება გამოიწვია, ზოგმა კი ასეთი საქციელი არ მოიწონა.

ცოტა ხნის შემდეგ მთვარე გამოჩნდა. ის ვარსკვლავზე უფრო მანათობელი და ლამაზი იყო. იბრაჰიმმა ყველას გასაგონად თქვა:

„ეს უფრო დიდი და ბრწყინვალეა! ჩემი ღმერთი ეს უნდა იყოს!.“ ცოტა ხნის შემდეგ მთვარეც მიიმალა. მაშინ მან კვლავ აღნიშნა: „ესეც ვარსკვლავივით გადაიკარგა. ღმერთს რომ სინამდვილე არ ეჩვენებინა, ცრურწმენების მოწმე ვიქნებოდი, ნამდვილად არც ესაა ჩემი გამჩენი.“

მის გარშემო მყოფებმა იფიქრეს, რომ იბრაჰიმი მართალი იყო, მაგრამ ზოგიერთებს ისე სწამდათ კერპების, რომ იბრაჰიმის მიერ მოყვანილი, სარწმუნო მაგალითების არ დაიჯერეს.

დილით, მზის ამოსვლისას, იბრაჰიმმა ასე თქვა: „ეს ჩემი გამჩენი უნდა იყოს, ეს უფრო დიდი და კაშკაშაა!“ მის გარშემომყოფებმა თქვეს: „კი, ახლა ნამდვილად იპოვე. მზე უფროა ღმერთობის ღირსი.“ ასე ცდილობდნენ მის დარწმუნებას. მაგრამ საღამოს მზე რომ ჩავიდა, იბრაჰიმი ზეცის თაყვანისმცემ ხალხს მიუბრუნდა და ასე მიმართა:

„ეი, ჩემო ხალხო! თქვენ იმ ვარსკვლავებს ეთაყვანებით, რომელთაც გამოჩენაც და მიმალვაც საკუთარი ნებით არ შეუძლიათ, მე თქვენ კერპებს თაყვანსა და პატივს არ ვცემ. მე ცისა და დედამიწის, სამყაროს არაფრისგან გამჩენის — ერთადერთი ალლაჰის მჯერა.“

გარშემომყოფებმა უპასუხეს: „ რას ამბობ იბრაჰიმ? ასეთი საუბრის გამო ღმერთები გიწყენენ და მათ რისხვას დაიმსახურებ, შენს ნათქვამზე თვითონვე ინანებ.“

იბრაჰიმმა მათ ასე უპასუხა: „თქვენ მთელი სამყაროს გამჩენის, ალლაჰის, ძლიერების არ გჯერათ, ამასთან ერთად, თქვენ იმ უძლური ღმერთების გჯერათ, რომლებსაც არ შეუძლიათ ადამიანებისთვის არც კარგის და არც ცუდის მოტანა. თქვენ მათთან ერთად სხვებსაც აღმერთებთ, ამ ცრურწმენის გამო ანგარიშსწორების არ გეშინიათ! ამის შემდეგ თქვენი შეთხზული ღმერთების უნდა მეშინოდეს?! ამ ცრურწმენას თავი დაანებეთ. დედამიწის, ზეცის გამჩენი ალლაჰის გჯეროდეთ. მან ზეცა ვარსკვლავებით, მთვარითა და მზით შეამკო. მე ზეცისა და დედამიწის არაფრისგან გამჩენი ალლაჰის მჯერა. მასთან სხვა რამეს არ გავაიგივებ.“

(იხილეთ: სურა ენამი, აიათები 74-79)

თითოეული ხელოვნების ნიმუში, ხელოვანის არსებობას მიუთითებს

მერხს, რომელზეც ვსხდებით, თავისი ხელოსანი ჰყავს, ჩვენ სახლსა და სკოლას — თავისი არქიტექტორი, ჩვენ ხელთ არსებულ წიგნსაც თავისი მწერალი ჰყავს. ჩვენს გულებში მშვენიერი გრძნობების გამაცოცხლ-ებელი, ყველანაირი შემოქმედება თავის შემოქმედზე მიგვანიშნებს. სამყაროს უკანაც განუსაზღვრელი შესაძლებლობებისა და წარმოუდგელი ძლიერების მქონე ერთადერთი გამჩენი არსებობს. ეს შემდეგი მაგალითით შეგვიძლია, ავხსნათ: სამყაროში არსებული ასეთი უზადო წესრიგი მის შემთხვევით გაჩენაზე ფიქრს შეუძლებელს ხდის.

ზაფხულის ერთ, ცხელ დღეს ზღვის სანაპიროზე წახვედით. თქვენ წინ ლურჯი ზღვა და ქვიშაა. ზღვა წყნარი და კამკამაა. სანაპიროზე სიარულის დროს თქვენ წინ ქვიშისგან გაკეთებული ლამაზი ციხე შეგხვდათ. ირგვლივ იხედებით, მაგრამ ვერავის ხედავთ. იწყებთ ფიქრს იმაზე, თუ როგორ გაჩნდა აქ ეს ციხე.

ამ ციხის აქ მდებარეობას ორი რაღაცით ახსნიდით.

პირველი შესაძლებლობა: ეს ციხე დიდი შრომისა და გარჯის შედეგია. ქვიშისთვის ასეთი ფორმის მიმცემი და გამკეთებელი ნიჭიერი და გამოცდილი ვინმე იქნებოდა.

მეორე შესაძლებლობა: ამ ციხეს ტალღების ტყლაშუნი გააკეთებდა. ზღვის სანაპიროზე ტალღების ზედიზედ ცემის შედეგად, შემთხვევით, ქვიშა ერთიმეორეზე მოექცა და ლამაზი ციხე გაკეთდა.

თქვენი აზრით, ამ ორი შესაძლებელიდან რომელი უფრო ლოგიკური და დამაჯერებელია?

სურათზე ნაჩვენები სილისგან გაკეთებული ციხე გამოცდილი მშენებლის დიდი შრომის შედეგად არის აშენებული. თანმიმდევრობით მოსული ტალღების მიერ შემთხვევით, ასეთი ციხის გაკეთება წარმოუდგენელი და დაუჯერებელია. ამ ციხის დანგრევა ძლიერ ქარს ან იმ პატარა ტალღას სულ ადვილად შეუძლია. ასეთი უბრალო ქვიშისგან ციხის გაკეთებისთვის კი დიდი გამოცდილება და შრო-

მაა საჭირო.

ახლა კი ჩვენ წინ არსებულ სურათს დავხედოთ და ეს მეჩეთი გავაანალიზოთ.

სტამბოლის ზღვის სანაპიროზე ამაღლებული ღირსშესანიშნავი სულეიმანიეს მეჩეთი ინჟინერ სინანის მიერაა აგებული. ის, თავისი ექსტერიერით, ინტერიერითა და არქიტექტურით მსოფლიოს ყველაზე მნიშვნელოვან ძეგლთაგან ერთ-ერთია. ეს გრანდიოზული ნაგებობა მაღალი ჭერით, არაჩვეულებრივი მინარეთებითა და დიდი გუმბათით საოცარ შთაბეჭდილებებს ტოვებს. მნახველს გამოყენებული მასალისა და ხელობის ხარისხი აოცებს, მათ ასევე ხიბლავთ მეჩეთის ნაწილების მრავალფეროვნება და ერთმანეთზე შერწყმულობა. ასეთი გამორჩეული ქმნილება არქიტექტორის ან ინჟინრის გარეშე აგებაზე ფიქრსაც კი შეუძლებელს ხდის.

მაშ ასე, ჩვენ ზემოთ გუმბათის მსგავსი ზეცის, დედამიწის, რომელზედაც ვცხოვრობთ, ჩვენ გარშემო მყოფი ადამიანების, ცხოველების, მცენარეებისა და მთების, უკიდეგანო ზღვებისა და ოკეანეების სიღრმეში ბინადარი არსებების თევზების, კოსმოსისა და პლანეტების მზის, მთვარის დედამიწის, ვარსკვლავების და საერთოდ გალაქტიკის... რაც არ გვინახავს და არც ვიცით, უამრავი არსებისგან შემდგარი ეს სამყარო განა თავისით, ან შემთხვევით შეიძლებოდა შექმნილიყო?! ყოველივე ამის, უნაკლო გეგმით, დახვეწილი ოსტატობით, ძლევამოსილებით, დიდი სიბრძნითა და დიდებული შემოქმედებით გამჩენი ვინ არის?

ამ კითხვას ერთი პასუხი აქვს: პატარა მოლეკულიდან დაწყებული, უდიდესი გალაქტიკით დამთავრებული — ყველაფერი დაწვრილებითი ანგარიშით და პირველხარისხოვანი პროექტით არის შექმნილი. სამყაროს მხოლოდ ერთი გამჩენი ჰყავს და ის ყოვლისშემძლე ალლაჰია.

უზენაესი ალლაჰი

წიგნს წაიკითხავთ –მოგეწონებათ,
მის ყოველ მარცვალს დაუბრუნდებით,
ვით კრიალოსანს ისე აკინძავთ,
ჭეშმარიტებით რომ დარწმუნდებით.

მიხვდება კაცი, სამყაროს, ზეცას,
პატრონობს მხოლოდ ძლიერი ღმერთი,
ის არის მართლაც ძლევამოსილი,
მარად უკვდავი და ერთადერთი!

იბრაჰიმ ალლათთინ გოვასა

ებუ ჰანიფეს პასუხი

ისლამის გამოჩენილი სწავლული, ებუ ჰანიფე, ბაღდადში ცხოვრობდა.

მან იქ ბევრი მოსწავლე აღზარდა და ყველას ნდობა და პატივისცემა დაიმსახურა.

იმ დროს ერთი-ერთი ურწმუნო მეცნიერი ალლაჰის არსებობას უარყოფდა და, სადაც კი სხვა მეცნიერებთან ერთად წავიდოდა ყველგან ალლაჰის არსებობაზე კამათობდა.

ამ ურწმუნო მეცნიერს ებუ ჰანიფეს ღირსების შესახებ გაუგია, მასთან საკამათოდ ბაღდადში ჩასულა, ის უპოვნია და დავა დაუწყია. ებუ ჰანიფე მის კამათს გამოეხმაურა, მეცნიერს შეუთანხმდა, რომ მეორე დღეს, გარკვეულ დროს, ისევ იმ ადგილზე შეხვდებოდა და პასუხს მაშინ გასცემდა.

მეორე დღეს ებუ ჰენიფე მასთან დათქმულ დროს არ მივიდა. ურწმუნო მეცნიერმა მოიწყინა და უკვე წასვლას აპირებდა, მაგრამ ამასობაში ისიც მოვიდა.

ურწმუნო მეცნიერმა ებუ ჰენიფეს მიმართა:

„რატომ დაიგვიანე? ჩემთან კამათის შეგეშინდა?“

მან უპასუხა:

„არა, არ შემშინებია. იცი თუ არა, რომ ქალაქ ბაღდადს მდინარე ტიგროსი შუაზე ჰყოფს? მე მდინარის მეორე მხარეს ვცხოვრობ. ღამით მდინარეზე ხიდი ქარიშხალს დაუნგრევია. უცებ გადავწყვიტე, ხიდი მოხელეებისა და ინჟინრის გარეშე გამეკეთებინა. მე იქ მდგარ ხეებსა და ქვებს ვუბრძანე. „ხეებო, ქვებო! ჩემთვის ხიდად იქეცით!“ ჩემი სურვილიც ასრულდა, მაგრამ ეს ამბავი ცოტა დიდხანს გაგრძელდა. მეც იმ ხიდზე გავიარე, ამიტომ დამაგვიანდა, მაგრამ მაინც მოვედი. აი, ახლა აქ ვარ.“

ურწმუნო მეცნიერმა გადაიხარხარა და წარმოსთქვა:

„ეი, ხალხო! ხიდის ოსტატისა და ინჟინრის გარეშე აშენება როგორ შეიძლება?! ამის დაჯერება, სისულელე თუ არა, სხვა რა უნდა იყოს!?“

ებუ ჰანიფემ უპასუხა:

„შე, ბრიყვო! ამბობ ხიდი თავისით არ აშენდებაო, მაშინ ეს, ამოდენა სამყარო თავისით როგორ გაჩნდა?!“

ურწმუნო მეცნიერმა ვერაფერი უპასუხა და უთხრა, ეს თემა გასაგებია. ეხლა შენი ალლაჰი მაჩვენე და მეც დავიჯერებო.

ებუ ჰენიფემ ერთი ჭიქა რძე აიღო და მიმართა:

„მითხარი აბა, კარაქი რისგან მზადდება?“

— „რისგან უნდა დამზადდეს, რა თქმა უნდა, რძისაგან.“

— „აბა, მაშინ ამ რძის შიგნით არსებული კარაქი მაჩვენე“

— „რძის შიგნით კარაქი არის, მაგრამ უხილავია. იმიტომ, რომ კარაქი რძის შიგნითაა დაფანტული. ერთ ადგილზე არ არის.“

— „თუკი ამის შიგნით კარაქის უჩინარობის გჯერა, მაშინ გამჩენი ღმერთის უხილავობის რატომ არ გწამს?“

ამ სიტყვების მოსმენის შემდეგ ურწმუნო მეცნიერი თავის შეცდომას მიხვდა და გაჩუმდა. მიხვდა, რომ ამქვეყნის გამჩენი უხილავი არსება იყო. შემდეგ დავას თავი დაანება და აბუ ჰანიფეს პატიება სთხოვა. ღმერთის არსებობა და ერთადერთობა ირწმუნა, შემდეგ კი იქაურობას განერიდა.

სამყაროს უზადო წესრიგი

ალლაჰის არსებობა და ერთადერთობა უდავო ჭეშმარიტებაა. საკუთარ სხეულზე და გარე სა-

მყაროზე ყურადღებით დაკვირება საკმარისია იმისათვის, რომ ალლაჰის ერთადერთობასა და მის სიდიადეში მტკიცედ დავრწმუნდეთ.

ადამიანის სხეული, რომელიც თა-ვდაპირველად ერთი უჯრედისგან შეიქმნა, მილიონობით უჯრედისგან შესდგება. თითოეული მათგანის ბირთვი შეიცავს დნმ-ის მოლეკულას, რომელიც ადამიანის ყველა თვისებისთვის განმსაზ-



უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

„თქვი: იგია, რომელმაც თქვენ გაგაჩინათ და გიბოძათ ყურთასმენა, თვალთახედვა და შემეცნების უნარი. რაოდენ მცირეა თქვენი მადლიერება?!“

სურა მულქი, აიათი 23

ღვრელ ინფორმაციას შეიცავს.

ადამიანის თითოეული უჯრედის ბირთვში არსებული დნმ (დეზოქსირიბონუკლეინის მჟავა) სამი მილიონი გენისგან შედგება. ე.ი ყოველ უჯრედში მოთავსებულ დნმ-ში ორგანიზმისთვის დამახასიათებელი სამი მილიარდი განსხვავებული ინფორმაციაა შენახული. კანის თვალის ფერისა და მემკვიდრეობითი დაავადებების ჩათვლით ყველა ინფორმაცია დნმ-ში არსებულ გენებში ინახება და მათი საშუალებით თაობიდან თაობას გადაეცემა.

გულისცემა და სხეულის სხვა უთვალავი ფუნქცია, ადამიანის ძალისხმევის გარეშე ხორციელდება. სხეულის ნებისმიერი სისტემა შეუფერხებლად მუშაობს.

ტვინში რეფლექსების სახით ყალიბდება ის, რასაც ვაკეთებთ,

ვაზროვნებთ, ვსაუბრობთ და ვგრძნობთ. ეს ინფორმაციები ტვინის ნერვული უჯრედების მხრიდან მარაგდება. გამომდინარე აქედან, ადამიანის ტვინში, საშუალოდ, ასი მილიონი უჯრედია. ადამიანის შემეცნების, მხდეველობისა და შეგრძნობისათვის თითოეული უჯრედი ერთმანეთთან ურთიერთკავშირს ამყარებს. ასეთი კავშირების რიცხვი სამ ტრილიონს აღწევს.

სწორედ ახლა, როცა თქვენ ამ წიგნს კითხულობთ მხედველობის სისტემაში მილიარდობით ფუნქცია სრულდება. თვალში მოხვედრილი სინათლის სხივები, ჯერ გამჭვირვალე ფენას გაივლის, შემდეგ კი ბროლში შეაღწევს. იქ მყოფი მგრძნობიარე სინათლის უჯრედები სხივს ელექტრულ სიგნალებად გადააქცევს და ნერვულ სისტემას შეტყობინების სახით გადასცემს.

უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

„სულ მალე ვუჩვენებთ მათ ჩვენს სასწაულებს ცის კაბადონზე და მათ სულებში...“

სურა ფუსსილეთი, აიათი 53

ტვინის შესაბამისი უბანი მიღებულ ინფორმაციას ამუშავებს და შემდეგ ობიექტის ფერსა და ფორმას განსაზღვრავს. ამასთან ერთად ობიექტამდე მანძილსაც დააფიქსირებს. ყველა ეს ფუნქცია წამის მეათედ დროში სრულდება.

უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

„რაოდენ დიადია ალლაჰი, საუკეთესო გამჩენია“.

სურა მუყმინუნი, აიათი 14

სამი კითხვის ერთი პასუხი

ძველ დროში ერთი ურწმუნო კაცი ცხოვრობდა. იგი სადაც კი ბავშვს დაინახავდა, ეტყოდა: ალლაჰი არ არსებობს! რომ არსებობდეს, ჩვენ მის დანახვას შევძლებდითო. ამ ურწმუნოს ერთი კარგი მეზობელი ჰყავდა, სახელად იუნუსი.



იუნუსს ალლაჰის სწამდა, ნამაზს ლოცულობდა, ცუდს არ ლაპარაკობდა და ყველას კარგად ექცეოდა. უბნის ბავშვებს შეკრებდა და მათ ამას შეეკითხებოდა: „შენ ვინ გაგაჩინა?“ ბავშვები თუ ვერ უპასუხებდნენ, ასწავლიდა და ეტყოდა „ჩემო ბიჭუნა, შენ ღმერთმა გაგაჩინა“.

ერთ დღეს ურწმუნო კაცი თავის მეზობელ იუნუსთან მივიდა, რათა მისთვის შეკითხვა დაესვა, თუმცა დარწმუნებული იყო, რომ იუნუსი პასუხს ვერ გასცემდა. „შენ რელიგიისა და რწმენის შესახებ სამ კითხვას დაგისვამ. ვნახოთ, აბა თუ შეძლებ პასუხის გაცემას“. იუნუსიც თავისი რწმენის სიძლიერის წყალობით მტკიცედ იდგა:

— მკითხე, -უთხრა. გულში კი გაიფიქრა, მკითხე და პასუხსაც მიიღებო.

— პირველი კითხვა: ამბობთ, რომ ღმერთი არსებობს. ღმერთი რომ არსებობდეს, მას დავინახავდით, რადგან ვერ ვხედავთ, ე.ი. არ არსებობს. თუ არსებობს, მანახე! მეორე კითხვა: ამბობთ, რომ ჯოჯოხეთში ეშმაკებიც (შეითანი) უნდა დაიწვან. ისიც გჯერათ, რომ ეშმაკები ცეცხლიდან გაჩენილები არიან. ცეცხლმა ცეცხლი როგორ უნდა დაწვას? მესამე კითხვა: კარგიცა და ცუდიც თუ ღმერთისგან მოდის, მე ურწმუნოების გამო რატომ უნდა დავისაჯო?

იუნუსმა ამ კითხვებს მშვიდად მოუსმინა. შემდეგ დაიხარა, ხელში ქვა აიღო, ურწმუნოს თავში ჩაარტყა და უთხრა, აი სამივე კითხვის პასუხი-ო.

ურწმუნო კაცმა მეზობელს უჩივლა. სასამართლო სხდომაზე მოსამართლემ იუნუსს ჰკითხა:

— ამ კაცს თავში ქვა ჩაარტყი? — იუნუსმა უპასუხა:

— დიახ, ბატონო მოსამართლევ! მე მას თავში ჩავარტყი, მაგრამ ეს ჩემი ნამოქმედარი მისი სამი კითხვის პასუხი იყო — თქვა და ახსნა-განმარტება დაიწყო:

— პირველ რიგში მითხრა, რადგან ღმერთს ვერ ხედავ, არ არსებობსო. მისი არსებობის დასაჯერებლად ჩემი ღმერთის დანახვა უნდოდა. მეც მას თავში ჩავარტყი. ახლა ამბობს თავი მტკივაო. რადგან მას უხილავის არ სჯერა, მეც მისი თავის ტკივილის არ მჯერა.

მეორე — რადგან ურწმუნოა, ეს ბედისწერა არისო მედავება. ამის გამო დასჯა უაზრო არისო. ესე იგი, მის ბედისწერაში თავში ჩარტყმაც უნდა ყოფილიყო. ამგვარი საჩივრით თქვენს სასამართლოს რატომ აკარგვინებს დროს!?

ასეთი პასუხის შემდეგ მოსამართლემ ურწმუნო კაცს ჰკითხა:

— ამ განმარტებებზე რას იტყოდი?

კაცი სიმართლეს მიხვდა და შერცხვენილმა უპასუხა:

— ბატონო მოსამართლევ! ბატონი იუნუსის ნათქვამი სრული, სიმართლეა. მოდავე აღარ ვარ, დამეხმარეთ, მინდა მეც გავმუსლიმანდე.

იუნუსი და მისი მეზობელი სასამართლოდან ერთად წავიდნენ და თან კარგი მეზობლებიც გახდნენ.

უზენაეს ალლაჰს თავისებურებებით შევიცნობთ

ადამიანის გრძნობათა ორგანოებს, გარემოს აღქმის თვალსაზრისით, გარკვეული ზღვარი აქვთ. ამიტომ, ყველაფერს ვერც ვხედავთ და ყველაფერი არც გვესმის. მაგალითად, როგორც ჩვენს გარშემო არსებულ მიკრობებსა და ვირუსებს ვერ ვხედავთ, ასევე ჭიანჭველის ფეხის დაბალი ხმა, ან დედამიწის ბრუნვის შედეგად გამოყოფილი ხმაური არ გვესმის.

გრძნობათა ორგანოების მსგავსად, ჩვენი ჭკუის, შემეცნებისა და გაგების უნარიც შეზღუდულია. ალლაჰის ზათი და სუბუთი თავისებურებების ლოგიკური მსჯელობით გაგება შეუძლებელია, ამიტომ უზენაესი ალლაჰი, როგოც ყურანით გვეცნობა, ისეთად უნდა ვაღიაროთ.

ჭკუის გამოყენებით და სამყაროს საოცრებებზე დაფიქრებით ალლაჰის არსებობასა და მის ერთადერთობას ვიგებთ, მაგრამ მისი მატერიალურ არსებად აღქმა არ შეიძლება.

უზენაესი ღმერთის თავისებურებები

უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

„თვალნი ვერ მიწვდება მას , ხოლო ის მიწვდება თვალნს.“

სურა ენღამი, აიათი 103

წმინდა შუამავალი ბრძანებს:

„როგორც უნდა წარმოვიდგინოთ ალლაჰი, ის მისგან განსხვავებულია, თქვენ ალლაჰის გაჩენილებზე იფიქრეთ.“

ჰეისემი მეჯმაუზ — ზევაიდ I,81

უფრო კარგად რომ გავიგოთ, წმინდა ყურანი უნდა ვიკითხოთ, რომელშიც ის თავის თავისებურებებზე საუბრობს. ალლაჰის გაგებისა და შესაბამისად რწმენისათვის ეს თავისებურებები უნდა ვიცოდეთ.

ალლაჰის თავისებურებები შეგვიძლია განვიხილოთ ორ პუნქტად, რომელთაგან ერთ-ერთი (მხოლოდ მისთვისაა დამახასიათებელი), ხოლო მეორე სამყაროს გაჩენას და მის წარმართვას უკავშირდება:

ალლაჰის თავისებურებანი

- **მხოლოდ ალლაჰისთვის დამახასიათებელი თავისებურებები**
- **ალლაჰის არსებობის დამადასტურებელი თავისებურებები**

I) მხოლოდ ალლაჰის დამახასიათებელი თავისებურებები:

ეს თვისებები უდიდესი ალლაჰის გარდა არ ახასიათებს არც ერთ სხვა არსებას

მხოლოდ ალლაჰისთვის დამახასიათებელი თავისებურებები ექვსია:

- **ვუჯუდი:** ალლაჰი არსებობს, მისი არ არსებობა შეუძლებელია;
- **ყიდემ:** ალლაჰის არსებობას დასაბამი არ აქვს;
- **ბეყა:** ალლაჰის არსებობას დასასრული არ აქვს;
- **ვაჰდანიეთ:** ალლაჰი ერთადერთია, მას მსგავსი და თანასწორი არ ჰყავს;
- **მუჰალეფეთუნ ლილ-ჰევადის:** ალლაჰი თავის გაჩენილებს არაფრით ჰგავს;
- **ყიამ ბინეფსიჰი:** ალლაჰი თვითნიერია, იგი არავისზე და არაფერზეა დამოკიდებული.

1. ვუჯუდი: ალლაჰი არსებობს, მისი არ არსებობა შეუძლებელია;

2. ყიდემ: ალლაჰის არსებობას დასაბამი არ აქვს;

3. ბეყა: ალლაჰის არსებობას დასასრული არ აქვს;

4. ვაჰდანიეთ: ალლლაჰი ერთადერთია, მას მსგავსი და თანასწორი არ ჰყავს;

5. მუჰალეფეთუნ ლილჰევადის: ალლაჰი თავის გაჩენილებს არაფრით ჰგავს;

6. ყიამ ბინეფსიჰი: ალლაჰი თვითნიერია, იგი არავისზე და არაფერზეა დამოკიდებული.

უზენაესი ალლაჰი გრძანებს:

„ჰეი, ხალხო! თქვენ ალლაჰის წინაშე ღატაკნი ხართ, ხოლო ალლაჰი ყოვლადმდიდარია, ყოვლადქებულია!“

სურა ფატირი, აიათი 15

უზენაესი ალლაჰი გრძანებს:

„თქვი: ის, ალლაჰი ერთადერთია! ალლაჰი „სამედია“ არ შობილა და არც უშვია (მშობელი არ ყოფილა) და არც არავინ ყოფილა ბადალი მისი (და ვერც იქნება)!“

სურა იჰლასი, აიათები 1-4

მერძევის ქალიშვილი

წმინდა ომარს თავისი ხალიფობის დროს რძეში წყლის შერევა აუკრძალავს.

ერთ ღამეს მედინას მკვიდრთა შესამოწმებლად ქალაქში სიარულის დროს დაიღალა. დასვენების მიზნით ერთ-ერთ სახლის კედელს მიეყრდნო. ამ დროს უნებლიეთ სახლიდან დედისა და ქალიშვილის საუბარი მოესმა.

- მოდი შვილო, ადექი და რძეში წყალი გაურიე.

- არა დედა, ხალიფამ რძეში წყლის გარევა ხომ აკრძალა.

- ჩემო შვილო! რძეში წყალს რომ ვურევთ, ამ ღამეში საიდან უნდა გაიგოს ხალიფამ?

- დედიკო! ხალიფამ შეიძლება ვერ დაგვინახოს, მაგრამ განა ალლაჰიც ვერ დაგვინახავს?!

წმინდა ომარმა ცოტა შეისვენა და იქაურობას ჩუმი ნაბიჯით გაშორდა. დილა გათენდა თუ არა მაჭანკალი გააგზავნა და მერძევის ქალიშვილი თავისი ვაჟისთვის ითხოვა. ამ ქორწინების შედეგად ერთი ვაჟიშვილი გაჩნდა, რომელსაც სახელად აბდულ აზიზი დაარქვეს.

აი ეს ვაჟიშვილი ისლამის ისტორიაში *„მეორე ომარად“* ცნობილი ომარ ბინ აბდულაზიზი გახლდათ. დიდი ბაბუას, წმინდა ომარის მსგავსად სამართლიანობით ცნობილი ომარ ბინ აბდულაზიზის მიერ სახელმწიფოს მმართვის დროს ხალხი მშვიდად და ბედნიერად ცხოვრობდნენ.

II) ალლაჰის არსებობის დამადასტურებელი თავისებურებები

ალლაჰის არსებობის დამახასიათებელი თავისებურებები რვაა:

ალლაჰის არსებობის დამადასტურებელი თავისებურებანი:

- **ჰაიათ** (მარადცოცხალია)
- **ილიმ** (ყოვლისმცოდნეა)
- **სემიღ** (ყოვლისგამგონეა)
- **ბესერ** (ყოვლისმხედველია)
- **ირადე** (ყოვლისშემძლეა)
- **ყუდრეთი** (ყოვლადძლიერია)
- **ქელამ** (მოსაუბრეა)
- **თექვინი** (ყოვლისგამჩენია)

1. მარადცოცხალია (ჰაიათ): ალლაჰი ცოცხალია, მის სიცოცხლეს დასაბამი და დასასრული არ აქვს. მისი არსებობა გაჩენილების მსგავსად ადგილზე, დროსა და მიზეზებზე დამოკიდებული არაა. ის ყველაფრისთვის სიცოცხლის მიცემია.

2. ყოვლისმცოდნეა (ილიმ): ალლაჰმა ცასა და დედამიწაზე არსებული ყველაფერი იცის. მისი ცოდნა ყოვლისმომცველი და განუსაზღვრელია.

3. ყოვლისგამგონეა (სემიღ): ალლაჰს ყველა ცოცხალი არსების წარმოთქმული, არ აქვს მნიშვნელობა იგი ახლოს იქნება თუ შორს, უკლებლივ ესმის და ხვდება. უფრო მეტიც, მას ადამიანის გულში გავლილი ხვეწნა-მუდარა ყოველგვარი ხელსაწყოსა და ორგანოს გარეშე უნაკლოდ ესმის. მისი სმენის სიძლიერე განუსაზღვრელია.

4. ყოლისმხედველია (ბესერ): ალლაჰი ყველაფერს ხედავს. არა აქვს მნიშვნელობა ის ახლოს იქნება თუ შორს, დიდი იქნება თუ პატარა ან ფარული იქნება თუ აშკარა, ამისათვის მას თვალი არ სჭირდება.

5. ყოლისშემძლეა (ირადე): ყველაფერი უზენაესი ალლაჰის ნება სურვილით ხდება. მას უმიზნოდ არაფერი გაუჩენია. არ





არსებობს ძალა, რომელიც მის ნება სურვილს წინ აღუდგება.

6. ყოვლადძლიერია (ყუდრეთ): ალლაჰის სიძლიერე უკიდეგანოა. მას ყველაფრის ძალა შესწევს. თუკი ადამიანი სამყაროს ყურადღებით დააკვირდება, ალლაჰის უსაზღვრო ძალას ადვილად გაიგებს. ადამიანის ერთი უჯრედისაგან გაჩენა, კოსმოსში არსებული მილიონობით ტონა სიმძიმის მქონე ვარსკვლავებისა და პლანეტების ერთმანეთის გარშემო შეუფერხებლად მოძრაობა, ალლაჰის ყოვლადძლიერების ნათელი გამოვლინებაა.

7. მოსაუბრეა (ქელამი): უზენაესი ალლაჰი ენის, პირის, ხმისა და ანბანის გარეშე საუბრობს. შეუძლებელია ალლაჰის სიტყვა ჰგავდეს ადამიანისას. ის ყოველ არსებას მის გასაგებ ენაზე ესაუბრება და ხმას აწვდენს. მან ადამიანებს ზეგარდმოვლენილი წმინდა წიგნებისა და თავისი შუამავლების საშუალებით უქადაგა. წმინდა ყურანი და სხვა ზეციური წიგნები უზენაესი ალლაჰის სიტყვებია.

8. ყოვლისგამჩენია (თექვინი): სამყაროსა და მასში არსებული, დაწყებული ყველაზე პატარა, მიკროსკოპული ორგანიზმებიდან, დამთავრებული დედამიწაზე გაცილებით დიდი პლანეტებითა და ვარსკვლავებით, გამჩენი უზენაესი ალლაჰია. მას რაიმეს გაჩენისთვის არ ესაჭიროება არავითარი ნიმუში ან პროექტი. ერთი შეხედვით, რაოდენ სასწაულიც უნდა იყოს ადამიანის მიერ გაკეთებული აღმოჩენები, ისინი უდიდესი ალლაჰის მიერ გაჩენილს ვერაფრით შეედრება.



უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

„იგია ალლაჰი, გამჩენი, მაარსებელი, გამომსახველი.“

სურა ჰაშრი, აიათი 24

უზენაესი ალლაჰი ყოვლისმხედველია

მამამ შვილები იხმო, თითოეულს ძვირფასი ბეჭდები დაურიგა და სთხოვა, ბეჭდები ისეთ ადგილას დამალეთ, რომ ვერავინ დაგინახოთ და ჩემი გარდაცვალების შემდეგ გამოიყენეთ-ო.

შვილებმა ბეჭდები აიღეს და დასამალი ადგილები შეარჩიეს. ორმა მათგანმა ბეჭდები მაშინვე პირად ნივთებთან ერთად შეინახეს, მამასთან დაბრუნდნენ და მესამე ძმის მოსვლას დაელოდნენ. დიდხანს ელოდნენ, მაგრამ უმცროსი ძმა ისევ იგვიანებდა, რამაც ძმები საგონებელში ჩააგდო. საღამოს უმცროსი ძმა ბეჭდით ხელში დაბრუნდა. ძმებმა რომ დაინახეს, დასცინეს.

ამდენი სირბილის შემდეგ ბეჭედის დასამალი ადგილი ვერ შეარჩია-ო. თავად კი მამის სურვილის მოკლე ხანში შესრულებით გახარებულები, სიამაყეს ვერ ფარავდნენ.

მამა დღის განმავლობაში სამივე შვილს ყურადღებით აკვირდებოდა, შემდეგ კი უმცროს შვილს მიუბრუნდა და ჰკითხა:

-შვილო! ნახე, შენმა ძმებმა ბეჭდები საგულდაგულოდ დამალეს. აბა მითხარი, შენ უკან რატომ მოიტანე?

-მამიკო! შენ არ გვითხარი, ბეჭდები ისე დამალეთ, ვერავინ დაგინახოთო?

-დიახ.

-კი მაგრამ ბევრი ვეძებე და ასეთი ადგილი ვერსად ვიპოვე. რადგან სადაც მივიდოდი, ვგრძნობდი, რომ უზენაესი ალლაჰი მხედავდა. ამიტომ ვერ დავმალე და უკან მოვიტანე- მიუგო უმცროსმა შვილმა.

მამა შვილის ასეთმა პასუხმა ძალიან გაახარა და თქვა:

-ყოჩაღ, შვილო! ამ პატარა გამოცდით მინდოდა თქვენთვის შემეხსენებინა, რომ ალლაჰი ყოვლისმხედველია.

ღმერთო ჩემო! შენი ვიწამე და მთელი გულით შეგიყვარე

ო ალლაჰ! შენ არსებობ. არსებობისთვის დამოკიდებული არაფერზე ხარ. ჩვენი გამჩენი და შენი არსებობის შესახებ ცოდნის მომცემიც თავად ხარ. ყველა არსება შენს წინაშე მოვალეა. ყველა არსების გამჩენი და მათი შთამომავლობის გამგრძელებელი შენ ხარ. თუ ისურვებ ყველას გააქრობ.

ო ალლაჰ! შენ დაუსაბამო და დაუსრულებელი ხარ. უსასრულობა მხოლოდ შენთვისაა. შენს გარდა ყველაფერი წარმავალია. ყველა შობილი უნდა მოკვდეს, ყველა არსება უნდა გაქრეს. მარადიული მხოლოდ შენ ხარ.

ო ალლაჰ! ერთადერთი მხოლოდ შენ ხარ, რომელსაც მოზიარე და მსგავსი არ ჰყავს. ყველაფრის ძალა შეგწევს. ყველაფრის გამჩენი და წყალობის მომცემი შენ ხარ. სამყაროში არსებული წონასწორობა და წესრიგი შენი მეშვეობითაა. ეს ყველაფერი შენ გარდა სხვა ღვთაების უარსობას ამტკიცებს.

ო ალლაჰ! ჩვენ შენთვის დამახასიათებელ თავისებურებებს ზუსტად ვერ გავიგებთ. რასაც უნდა შეგადაროთ, ყველაფრისგან განსხვავდები, თვითნიერი, შენ მიერ გაჩენილი არსებისგან განსხვავებული, შეუდარებელი, უბადლო და უზენაესი ბრძანდებით. ერთადერთ ღვთაებად გცნობთ და გეთაყვანებით.

ო ალლაჰ! არსებობის წყარო და ყველა გაჩენილისთვის სიცოცხლის მიმცემი შენ ხარ. კოსმოსის, ოკეანეების, გულის სიღრმეებში ჩამალუ-

ბისმილლაჰ

მეჩეთში შევალ და ქედს მოვიხრი,
ვიტყვი ბისმილლაჰ – ღმერთს გავიხსენებ,
რომ არ ვირწმუნო, რომ არ ვილოცო,
ერთი წუთითაც ვერ მოვისვენებ.

გათენებისას, დაღამებისას,
ალლაჰის სახელს ვაქებ, ვადიდებ,
წმინდა ყურანის გვირგვინისათვის,
სიცოცხლესაც კი მსხვერპლად გავიღებ.

ყველა საქმეში ღმერთს მივენდობი,
მასთან ვიგულებ მე თავშესაფარს,
კვლავ და კვლავ ყურანს ჩავიკრავ გულში,
ვერაფერს ვპოვებ მე მის შესადარს.

ბისმილლაჰ — ვიტყვი და წამოვდგები,
რწმენა დღითიდღე მიასკეცდება,
წმინდა მუჰამმედს მიჰყვეს კვალდაკვალ,
მუსლიმი მუდამ იმას ეცდება.

მ. ასიმ ქოქსალი

ლის, თვალით ხილული და უხილავი პატარა მოლეკულებისა თუ უზარმაზარი პლანეტების გამჩენიც შენ ხარ. წყვდიად ღამეში შავ ქვაზე მოსიარულე ჭიანჭველასაც ხედავ, მისი ფეხის ხმაც გესმის და ასაზრდოებ მას.

ო, ალლაჰ! რასაც ისურვებ, მას არაფრისგან გააჩენ. რაც არსებობს, ყველაფერი შენი სურვილისამებრაა შექმნილი. შენს ყველა ქმედებაში საოცრებაა. უძლეველი ხარ. შენ გადაწყვეტილების წინააღმდეგი ძალა არ არსებობს.

ო ალლაჰ! ყველაზე ლამაზი და მართალი სიტყვის მთქმელი, გაჩენილთა შემწყნარებელი და მათთვის ღვთიური წიგნების გარდმომავლინებელი შენ ხარ. ზღვები მელნად და ხეები კალმად რომ გადაიქცნენ, შენი სიტყვების წერას მაინც ვერ დაასრულებენ.

ო ალლაჰ! არაფრისგან გამჩენი და გამქრობი შენ ხარ. შენ ყველაფერის ზომიერად შემქმნელი და უზენაესი ხარ.

ღმერთო ჩვენო!

გაგვიწმინდე გული ისეთი ფიქრებისგან, რომელიც შენ უმანკოებას არ შეეფერება.

სიცოცხლე შენს მონა-მსახურებაში გაგვატარებინე და მუსლიმებად აღგვასრულე.

განკითხვის დღეს ჩადენილი ცოდვებისა და მანკიერების გამო ნუ შეგვარცხვენ.

ყველა სურვილების მცოდნე და ვედრების მსმენელი შენ ხარ.

ისმინე ჩვენი ვედრება!

ამინ

ახალგაზრდა ვაჭკაცის რწმენა

ერთ დღეს ალლაჰის შუამავალმა ასჰაბი მოიხმო და შემდეგი ამბავი მოუყვა:

„თქვენს წინაპარ ხალხში ხელმწიფე და ჯადოქარი ცხოვრობდნენ. როდესაც ჯადოქარი მოხუცდა ხელმწიფეს უთხრა: „მე უკვე მოვხუცდი, თუ შეიძლება ვინმე ახალგაზრდა გამომიგზავნე, რათა ჯადოქრობა ვასწავლო.

ხელმწიფემ ამ მოთხოვნის საფუძველზე ჯადოქარს ერთი ახალგაზრდა გაუგზავნა. როდესაც ახალგაზრდა ჯადოქართან



მიდიოდა, გზად უკაცრიელ ადგილას მონაზონი შემოხვდა. მონაზონი, რომელსაც ერთი ღმერთის არსებობა სწამდა, ხელმწიფეს, რომელიც საკუთარ თავს ღმერთად აცხადებდა, ეწინააღმდეგებოდა, ამიტომ მისი და მისი მსახურების მხრიდან მიყენებული ტანჯვისგან თავი რომ დაეღწია, ამ უკაცრიელ ადგილას იმალებოდა.

ამის შემდეგ ახალგაზრდა ჯადოქართან წასვლის წინ ყოველთვის მონაზონს გაუვლიდა. ახალგაზრდას მოწონდა რასაც ის უყვებოდა. მისგან გაშორებაც კი უძნელდებოდა. ზოგჯერ ჯადოქართანაც აგვიანდებოდა, რისთვისაც იგი ძალიან უწყრებოდა და სცემდა კიდეც.

ერთ დღეს გზად ხალხისთვის სიარულის ხელისშემშლელ დიდ მტაცებელ ცხოველს წააწყდა. მიწიდან ქვა აიღო და თავისთვის ჩაილაპარაკა: „ახლა კი გავიგებ, რომელი უფრო უპირატესია, ჯადოქარი თუ მონაზონიო.“

„ღმერთო ჩემო! თუკი მონაზონის ნამოქმედარი ჯადოქრის ნამოქმედარზე უფრო მოგწონს, ეს ცხოველი მოკალი, რათა ხალხმა უსაფრთხოდ გააგრძელოს გზა“- თქვა და ქვა ცხოველს ესროლა. ამ დროს ნახა, რომ მტაცებელი ცხოველი უსულოდ ძირს დაეცა. ხალხმა შვებით ამოისუნთქა და გზა გააგრძელა. ამის შემდეგ ახალგაზრდა მონაზონთან მივიდა და რაც გზად შეემთხვა, ყველაფერი უამბო. მონაზონმა მიუგო:

„ახალგაზრდავ! ვხედავ, რომ შენ მაღალ საფეხურს მიაღწევ. დღეიდან შენ ჩემზე უპირატესი ხარ. ასე მგონია, ახლო მომავალში რაღაც უბედურებას გადაეყრები, ასეთი რამე თუ მოხდება, ფრთხილად იყავი და ჩემი სამყოფელი არავის უთხრა.”

ამის შემდეგ ახალგაზრდამ სხვადასვა დაავადებებისგან ადამიანთა განკურნება დაიწყო. ამ ცოდნას იგი მონაზონისგან იღებდა. ხელმწიფემ როდესაც ეს გაიგო, ახალგაზრდა შეაპყრობინა და იმდენი აწამებინა, სანამ მონაზონის ადგილსამყოფელი არ ათქმევინა.

ხელმწიფემ მონაზონი მოაყვანინა და უბრძანა რჯული შეეცვალა. ის ამაზე არ დათანხმდა. მაშინ ხელმწიფემ ხერხი მოატანინა და მონაზონი შუაზე გაახერხინა. შემდეგ ხელმწიფის კაცი მოიყვანეს, მასაც რჯულის შეცვლა უბრძანეს, მისგანაც რომ ცივი უარი მიიღეს, მასაც მონაზონივით მოექცა. ბოლოს ჯერი ახალგაზრდზეც მიდგა და მას დაემუქრნენ; შეიცვალე რჯული, თორემ შენც მოკვდებიო. ახალგაზრდა გაჯიუტდა. მაშინ იგი ჯარისკაცებს გადასცეს და უბრძანეს: ეს ახალგაზრდა იმ მთის წვერზე აიყვანეთ, თუკი ისევ გაჯიუტდა და რჯული არ შეიცვალა, იქედან გადმოაგდეთ.

ჯარისკაცებმა ახალგაზდა მთის წვერზე აიყვანეს.

ახალგაზრდა ალლაჰს შეევედრა: „ღმერთო ჩემო! როგორც მოგესურვოს, ისე გადამარჩინე ახალგაზრდების ხელიდან.“ ისმინა ალლაჰმა მისი ვედრება, მთა შეზანზარდა, ხელმწიფის კაცებმა თავი ვერ შეიკავეს და იქედან ჩამოგორდნენ. ახალგაზრდა კი უვნებელი ხელმწიფესთან დაბრუნდა.

ხელმწიფემ ჰკითხა: —ის ხალხი სად წავიდნენ, ვინც შენ გახლდა?

ახალგაზრდამ მიუგო:

—ალლაჰმა მათი სასჯელისგან გადამარჩინა.

ამის შემდეგ ხელმწიფემ ახალგაზრდა სხვა ჯარისკაცებს გადასცა და უბრძანა.

„ეს ახალგაზრდა გემზე დასვით, შუა ზღვაში გაიყვანეთ და უბრძანეთ რჯული შეიცვალოს, თუ ეს არ გააკეთა, წიხლი ჰკარით და გადააგდეთ.”

ახალგაზრდა წაიყვანეს, მან ამჯერადაც შემდეგნაირი ვედრება აღავლინა:

„ღმერთო ჩემო! ამათ ხელიდან როგორც გენებოს, ისე გადამარჩინე.“

ისმინა ალლაჰმა მისი ვედრება და გემი ზღვის ტალღებში ისე შეაზანზარა, რომ ახალგაზრდის გარდა არავინ გადარჩენილა, ყველა დაიხრჩო. თავად უვნებელი ხელმწიფესთან დაბრუნდა.

მან ახალგაზრდა რომ დაინახა, გაკვირვებულმა ჰკითხა: —ჩემი ჯარისკაცები სად წავიდნენ?

ახალგაზრდამ უპასუხა: —ალლაჰმა მე მათი ხელიდან გადამარჩინა შემდეგ კი დაამატა: —სანამ რასაც გეტყვი, იმას არ გააკეთებ, მანამდე ვერ მომკლავ.

—რისი თქმა გინდა, მითხარი?

-შენი ხალხი დიდ მოედანზე შეკრიბე, მე კი ხურმის ხეზე მიმაბი, საისრე ჩანთიდან ისარი ამოიღე, მშვილდს გაუკეთე, შემდეგ წარმოთქვი: „ახალგაზრდის ღმერთის ნებით“-თქო და ისარი მტყორცნე. აი მხოლოდ მაშინ მომკლავ, როცა ასე მოიქცევი.

ხელმწიფე ასეც მოიქცა ხალხი დიდ მოედანზე შეკრიბა, ახალგაზრდა ხურმის ხეზე მიაბა, საისრედან ისარი ამოიღო, დაუმიზნა და წარმოსთქვა: „ახალგაზრდის ღმვთის ნებით“-ო და ისარი სტყორცნა. ისარი ახალგაზრდას საფეთქელში მოხვდა და სიცოხლეს გამოასალმა.

ამის მნახველმა ხალხმა ერთხმად წარმოთქვა: „ჩვენ ამ ახალგაზრდის ღმერთის გვჯერა”—ო

ხელმწიფის კაცებმა მდგომარეობა მეფეს აცნობეს და უთხრეს:

—ნახე, რასაც სულ ერიდებოდი, ბოლოს მაინც თავს დაგატყდა.

ხალხმა რჯული შეიცვალა და ჭეშმარიტი ღმერთი ირწმუნა.

(მუსლიმ I, ზუჰდი — 73)

ესმაულ ჰუსნა

დიადი გამჩენი საკუთარ თავს ულამაზესი სახელებითა და თავისებურებებით გვაცნობს. იგი თავის სახელებს, რომელ თაც „ესმაულ ჰუსნა„ ანუ ულამაზესი სახელები ეწოდება, წმინდა ყურანითა და შუამავლების საშუალებით გვასწავლის.

წმინდა ყურანში ნაბრძანებია: ***„ის უმშვენიერესი სახელები ალლაჰს ეკუთვნის. მაშ, შეევედრეთ მას ამ(ულამაზესი) სახელებით“.*** (სურა არაფი. აიათი 180). აიათიდან ნათლად ჩანს, რომ, მის მიმართ ვედრებისას იგი უმშვენიერესი სახელებით უნდა მოვიხსენიოთ.

წმინდა შუამავალიც ამას გვასწავლის და გვეუბნება, რომ: „დიად გამჩენს ოთხმოცდაცხრამმეტი სახელი აქვს. ვინც მას დაიზეპირებს და ჩამოთვლის, სამოთხეში მოხვდება.“

წმინდა შუამავლის ჰადისში მოცემულ სიტყვებში „დაიზეპირებს და ჩამოთვლის“ ნაგულისხმევია: უზენაესი ალლაჰის უმშვენიერესი სახელებით ცნობა და მათი არდავიწყება. აქედან გამომდინარე, ცხოვრებისეულ მოვლენებს ამ სახელების ჩარჩოდან უნდა შევხედოთ. მაგალითად, ყოველთვის, როცა დედის გულისხმიერებასა და სიბრალულს ვიგრძნობთ -„რაჰმანი და რაჰიმი“, როცა გამჩენი ღმერთისგან სარჩოს უხვად მივიღებთ -„რეზზაყი“, როცა ალლაჰს ცოდვების მიტევებას შევთხოვთ- „ღაფური“, როცა გაზაფხული დადგება — „მუჰიი“, ხოლო სიკვდილის წინ — „მუმითი“, უნდა გავიხსენოთ.

თუკი ალლაჰის უმშვენიერეს სახელებს თავისი მნიშვნელობით შევისწავლით და ამას ჩვენი ცხოვრების პრაქტიკაში გამოვავლენთ, ალლაჰის საყვარელ მონა-მსახურთა რიგებში დავიმკვიდრებთ ადგილს და სამოთხის ღირსნიც გავხდებით.

მაშ მოდით, აღვაპყროთ ხელები და უმშვენიერესი სახელებით შევევედროთ ალლაჰს.

اللّٰه ალლაჰ	ო, ულამაზესი სახელებისა და თავისებურებების მქონე ალლაჰო! 	ისმინე ჩვენი მუდარა, რომელსაც შენივე დიადი სახელებით გავედრებთ!
الرَّحْمٰن რაჰმანი; الرَّحِيْم რაჰიმი;	ო, ყველა არსების მიმართ მოწყალე და მწყალობელო ალლაჰო! 	შენ შეგვიწყალე ამქვეყნად და საიქიოშიც!
الرَّزَّاق რეზზაყ!	ო, ყველა არსების მასაზრდოებელო ალლაჰო! 	უხვი და ალალი სარჩო მოგვეცი!
الْحَفِيْظ ჰაფიზ	ო, ყველაფრის მფარველო და მაკონტროლებელო ალლაჰო! 	შენ დაიფარე ჩემი ოჯახი და ყველა მუსლიმი ყოველგვარი უბედურებისგან!

الْمُصَوِّرُ **მუსავვირ**		ო, ყველაფრის ულამაზეს ფორმაში გამჩენო, ალლაჰო!	როგორც გარეგნობა, ისე ზნეობა გაგვილამაზე!
الْمُجِيبُ **მუჯიბ**		ო, გულში გავლილი და ენით წარმოუთქმელი ყოველი ვედრების მსმენელო, ალლაჰ!	გვაქციე შენდამი გულით მავედრებელ მონამსახურებად, რომელთა ვედრებასაც ისმენ!
الْهَادِي **ჰადიი**		სწორ გზაზე დამადგინებელო ალლაჰო!	ნუ აგვაცდენ ისლამის შუქით გასხივოსნებულ გზას.
الْحَيُّ **ჰაიუ** الْقَيُّومُ **ყაიიუმ**		ო, მარად ცოცხალო, მასაზრდოებელო და სრულიად სამყაროს მმართველო ალლაჰო!	სიცოცხლე, რომელიც შენ გვარგუნე, ისევ შენს გზაზე გაგვალევინე. ნუ აგვივსებ გულს წარმავალის სიყვარულით.
الْوَدُودُ **ვედუდ**		შენ ხარ სიყვარულის წყარო და თავადაც უდიდეს სიყვარულს იმსახურებ!	შეგვაყვარე ისინი, ვინც შენ გიყვარს!

რას შეგვძენს ალლაჰის რწმენა?

ალლაჰის რწმენა:

- **გულებში უსაზღვრო ნდობას ჩაგვისახავს;**
- **გაჩენილებისადმი გულისხმიერებასა და სიბრალულს გამოვიჩენთ;**
- ჩვენი ქცევების გაკონტროლებას შევძლებთ;
- **სამართლიანი და სანდო ადამიანები გავხდებით.**

უზენაესი ძალის არსებობის რწმენა და მასზე მინდობა უსუსურ არსებად გაჩენილი ადამიანებისთვის საოცარი სიმშვიდის წყაროა. ყველაფერი ალლაჰის ნება სურვილით ხდება. იგი მასზე მინდობილთ იმედებს არასდროს გაუცრუებს. დიადი ღმერთის ნება-სურვილის გარეშე ვერავინ ზიანს და სარგებელს ვერ მოგვიტანს.

ჩვენ, როგორც მორწმუნეებს, უზენაესი ალლაჰის გვწამს და მას ვენდობით. მტკიცე რწმენა, გულებში უსაზღვრო სიმშვიდეს მოგგვრის. ყოველ დილას, როცა თვალებს გავახელთ, და ვიტყვით: „ალლაჰი ჩვენთვის საკმარისია, ის უმშვენიერესია“, სიზარმაცეს, უტიფრობას, უიმედობასა და სტრესს განვერიდებით და მშვიდად ვიცხოვრებთ.

უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

„თუ ალლაჰი შეგეწევათ, მძლე არ გეყოლებათ თქვენ. და თუ შემწეობის გარეშე დაგტოვებთ, მაშინ ვისღა ძალუძს მის გარდა შეწევნა თქვენი? ასე, რომ მორწმუნენი მხოლოდ ალლაჰს სასოებდნენ (მიენდონ)!“

სურა ალი-იმრანი, აიათი 160

როდესაც გვწამს, რომ უზენაესმა ალლაჰმა ყველა არსება თავისი ნებსსურვილით გააჩინა, ასეთი რწმენა სხვა არსებებისადმი გულისხმიერებისა და სიბრალულს გაგვიღვიძებს, ვინაიდან თითოეული არსება ალლაჰის უსაზღვრო წყალობის შედეგი, მისი არსებობისა და ერთადერთობის დასტურია.

ამის შემდეგ კი ალლაჰის გაჩენილ ყველა სულდგმულს სიბრალულით შევხედავთ, გული წყალობით აგვევსება, ოჯახის წევრებსა და მეგობრებს ზიანს არ მივაყენებთ. უფრო მეტიც, ჭიანჭველასაც კი არ ვაწყენინებთ. უსულო საგნებს ღვთის მიერ ჩვენს სამსახურში ბოძებულ წყალობად აღვიქვამთ. ამიტომაც მათ უადგილოდ და უზომოდ არ გამოვიყენებთ.

წმინდა შუამავალი ბრძანებს:

ერთხელ, გზად მიმავალი ადამიანი წყურვილმა შეაწუხა. მან ჭას მიაგნო, შიგ ჩავიდა და წყურვილი მოიკლა. როცა ამოვიდა, წყურვილისგან ენაგამოგდებულ ძაღლს მოჰკრა თვალი, რომელიც ცვრიან მიწას ლოკავდა. კაცმა თავისთვის ჩაილაპარაკა: „ამ ძაღლსაც ჩემსავით მოსწყურებია“-ო და ხელმეორედ ჭაში ჩავიდა, ფეხსაცმელი წყლით აავსო, ამოვიდა და ძაღლს დაალევინა. ამ კაცის ასეთი საქციელით უზენაეს ალლაჰი კმაყოფილი დარჩა და მას ცოდვები მიუტევა.

გუჰარი, მუსაყათი, 9



ყოვლისმცოდნე, ყოვლისგამგონე და ყოვლისმხედველი ალლაჰი, ჩვენთან ჩვენს აორტაზე უფრო ახლოსაა. სამყაროში ყველაფერი მისი კონტროლის ქვეშ იმყოფება.

უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

„...იგი თქვენთანაა, სადაც არ უნდა იყოთ, რამეთუ ალლაჰი მხილველია იმის, რასაცა იქმთ.“

სურა ჰადიდი, აიათი 4

იმის ცოდნა, რომ დიადმა გამჩენმა თითოეული ჩვენი ნამოქმედარი იცის, **საკუთარი თავის კონტროლში გვეხმარება.** ისევე როგორც ფოტო ან ვიდეოკამერით გადაღების დროს, თითოეული ჩვენგანი ცდილობს, კარგად გამოიყურებოდეს, ასევე, გამომდინარე იქიდან, რომ ალლაჰი ყოვლისმხედველია, უნდა შევეცადოთ, ჩვენი ქმედებები მისი მოსაწონი გავხადოთ. მართალია, ალლაჰს ვერ ვხედავთ, მაგრამ უნდა გვწამდეს, რომ იგი ყველა ჩვენს ღვთისმსახურებასა და ნამოქმედარს ხედავს. აქედან გამომდინარე, ყველაფერი ყურადღებითა და ხარისხიანად უნდა ვაკეთოთ, რათა კეთილშობილ ადამიანად ჩამოვყალიბდეთ.

როდესაც ალლაჰს ვიწამებთ, ცხოვრებასაც მისი ბრძანებებისამებრ მოვიწყობთ. დიადი გამჩენის სიყვარულით მისი კმაყოფილებისთვის ვიზრუნებთ, მისი რისხვისა და ჯოჯოხეთის შიშით მის მოუწონარ ქმედებებს განვერიდებით. შედეგად ჩვენს გულებში ღვთისმოშიშობა დაისადგურებს. ასეთი რწმენა **სამართლიან და სანდო ადამიანად გვაქცევს**, რაც უნდა მოხდეს სიმართლეს არ გავექცევით, არ ვითვალთმაქცებთ და არ ვიცრუებთ. ამანათს გავუფრთხილდებით და წმინდა შუამავლის მსგავსად საზოგადოებისთვის საყვარელი, დაფასებული, სამართლიანი, სანდო და სამაგალითო მუსლიმი ვიქნებით.

უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

„უეჭველად, რომელთაც თქვეს: „ღმერთი ჩვენი ალლაჰია“ მერე კი იყვნენ მტკიცენი , არცა შიში ექნეთ და არცა სადარდებელი. სწორედ, ისინი არიან სამოთხის მკვიდრნი, იქ დარჩებიან სამუდამოდ, საზღაურად იმისა, რასაც სჩადიოდნენ.“

სურა აჰყაფი, აიათები 13-14

ალლაჰის სიყვარული

ჩვენი გამჩენი, ჩვენთვის სულის შთამბერავი და ჩვენს გულებში სიყვარულის ჩამნერგავი უდიდესი ალლაჰია. მისი ულამაზესი სახელებისგან ერთ-ერთი „ვედუდია“, რომელიც უსაზღვრო სიყვარულით განისაზღვრება. ყოვლისშემძლე ღმერთს, ძალიან ვუყვარვართ. ეს გრძნობა მან ჩვენთვის ბოძებული უთვალავი სიკეთით გამოხატა და საიქიოშიც ულამაზესი წყალობით დაჯილდოების შესახებ გვამცნო. უზენაესი ალლაჰი ჩვენგანაც მისი ბრძანებებისამებრ მონამსახურებასა და სიყვარულს მოითხოვს.

ჩვენც, გამჩენი ღმერთის მიმართ სიყვარულით მისდამი რწმენასა და მადლიერებას გამოვხატავთ. ჭეშმარიტი სიყვარულის ღირსი ხომ მხოლოდ იგია

უზენაესი ალლაჰისადმი სიყვარული რწმენის მწვერვალია. ეს გრძნობა ყველა სიკეთისა და სილამაზის საწყისია. ჩვენ, გულწრფელ მორწმუნეებს, უდიდესი ალლაჰი საკუთარ სულსა და სხეულზე უფრო მეტად გვიყვარს. ვიცით, რომ მშობლების, მეუღლის, შვილის, მეგობრისა და სხვა პიროვნებების სიყვარული უდიდესი ღვთის მიერ ჩვენზე ბოძებული სიკეთეა, მაგრამ მათდამი სიყვარულს ალლაჰის სიყვარულს ვერ გავუტოლებთ.

მოსიყვარულე ადამიანი თავისი სიყვარულის ობიექტს ემორჩილება. ალლაჰის რწმენისა და მისი სიყვარულის საუკეთესო გამოხატულება მორჩილებაა. ვინაიდან ჭეშმარიტი სიყვარული მხოლოდ ქმედებებში ვლინდება.

ჩვენი უდიდესი ღვთის რწმენისა და სიყვარულის გამოხატვა მხოლოდ მისი ბრძანებების შესრულებით, აკრძალულიდან თავის შორს დაჭერით შეგვიძლია.

ვინმეს მოყვარული თავის სიყვარულის ობიექტს ხშირად იხსენებს. მისი სახელის გახსენება სიამოვნებს და მას არასოდეს ივიწყებს.

წმინდა შუამავალი ბრძანებს:

„თუკი ადამიანს სამი თვისება ექნება, ის რწმენის გემოს შეიგრძნობს: ყველაზე მეტად ალლაჰსა და მის შუამავალს შეიყვარებს. ყველაფერს მხოლოდ ალლაჰის გულისთვის შეიყვარებს, ეცოდინება ის, რომ მას შემდეგ, რაც ალლაჰმა იგი ურწმუნოებისგან დაიხსნა, კვლავ ურწმუნოებაში დაბრუნება, ცეცხლში ჩავარდნის ტოლფასია.“

ბუჰარი, იმანი, 9

უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

„რომელთაც იწამეს, უფრო ძლიერ შეყვარებულნი არიან ალლაჰისადმი..“

სურა ბაყარა, აიათი 165

უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

„უთხარი შენ (მუჰამმედ): თუ გიყვართ ალლაჰი, გამომყევით მე, რომ ალლაჰმა შეგიყვაროთ თქვენ და შეგინდოთ ცოდვები თქვენი, რადგან ალლაჰი შემწყნარებელი და მწყალობელია!“

სურა ალი-იმრანი, აიათი 31

ჩვენ, როგორც მორწმუნეები, ღმერთს ღვთისმსახურებით, ყურანის კითხვითა და ვედრებით ვიხსენებთ. მისი ულამაზესი სახელების მეშვეობით მის სიდიადესა და სიძლიერეზე ვფიქრობთ. მისი ხშირი ხსენებით მისდამი სიყვარულს გამოვხატავთ.

ალლაჰის მოყვარული მისი შუამავლის გზით ივლის. ისლამი სიყვარულის უდიდესი სკოლაა. ამ სკოლის მასწავლებლები დედამიწის ყველაზე ღირსეული და პატივცემული ადამიანები - შუამავლები არიან. უკეთილშობილესი შუამავალი, მუჰამმედი „ჰაბიბულლაჰ“ „ალლაჰის საყვარელი მონა-მსახურია“. ჩვენ მისი გზის მიმდევრობით უზენაესი ალლაჰის სიყვარულს გამოვხატავთ.

როცა გული ალლაჰის სიყვარულით გაივსება, სიცოცხლე მნიშვნელობას იძენს, ქცევა და ეთიკა ლამაზდება.

ალლაჰისადმი სიყვარულით მისიკმადლიერებას ვცდილობთ. გამჩენის სიტყვებს ვისმენთ, შუამავალს ვემორჩილებით და ჭეშმარიტ გზას მივსდევთ. ასეთი ქცევების შემდეგ ალლაჰიც შეგვიყვარებს და მის საყვარელ მონა-მსახურად გვაქცევს. თუკი მის რჩეულ მსახურებსა და მეგობრებს შორის ვიქნებით, მორწმუნეებისა და ანგელოზების სიყვარულს დავიმსახურებთ.

უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

„დიახ, მხოლოდ ალლაჰის ხსენებით ჰპოვებს გულნი სიმშვიდეს!.“

სურა რადი, აიათი 28

ერთ-ერთმა ღვთისმოსავმა თქვა:

— მე ვიცი, ღმერთი როდის მიხსენებს. — ამის თაობაზე ხალხი შეიკრიბა და მას ჰკითხა: - ამას როგორ ხვდები? —

- ამის გაგება ძალიან მარტივია. როდესაც ღმერთს გავიხსენებ, ისიც მაშინ მიხსენებს. მიუგო ღვთისმოსავმა

უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

„უეჭველად, რომელთაც ირწმუნეს და ჰქმნეს კეთილი საქმე, დააჯილდოებს მოწყალე მათ სიყვარულით!“

სურა მერიემი, აიათი 96

ღვთისმსახურების საძირკველი — ვედრება

ვედრება, ჩვენი უძლურების შეგრძნებით, უდიდესი ალლაჰისკენ შეტრიალებასა და მისგან დახმარების თხოვნას ნიშნავს. ის ღმერთთან ყველაზე ახლოს ყოფნის ერთ-ერთი საშუალებაა. როცა ხელებს აღვაპყრობთ და მას ვევედრებით, ჩვენ სურვილებსა და თხოვნას ალლაჰს მივაწვდენთ.

ვედრებისთვის განსაკუთრებული დრო და ადგილი არ არის აუცილებელი. მაგრამ ზოგიერთი დრო და ადგილი ამისთვის საუკეთესო შანსია. ძვირფასი დღეები და ღამეები, ჯუმა დღე, იფთრისა და საჰურის დრო ვედრებისათვის მნიშვნელოვანი პერიოდებია. ქააბასა და არაფათის მსგავსი ადგილებიდან შევედრება ღვთისთვის უფრო მისაღებია.

ალლაჰი წრფელი გულით შევედრებას მიიღებს. შემვედრებელს ის ცარიელს არ დატოვებს, მაგრამ ვედრების შედეგის მისაღებად აჩქარება არ შეიძლება, რადგან ალლაჰმა უკეთ იცის, მისი მონა-მსახურისთვის რა უფრო უკეთესია. წმინდა შუამავალი ამის შესახებ ასე ბრძანებს: „თქვენგან ვინც არ აჩქარდება და არ იტყვის, ღმერთს რამდენჯერმე ვთხოვე და არ ამისრულაო, მისი ვედრება მიიღება. (ბუჰარი, დეავათ, 22)

ვედრება ღმერთთან ურთიერთობის უშრეტი წყაროა. ყოვლისშემძლე ღმერთს როგორც გაჭირვების, ასევე სიმდიდრისა და სიმშვიდის დროსაც ვევედრებით.

სხვის მიერ დალოცვის დამსახურებაც მეტად მნიშვნელოვანია. სუფრის გაწყობისას დედისთვის დახმარების გაწევა უფროსებზე წყლის მირთმევა, გაჭირვებაში მყოფისთვის ხელის შეწყობა ამის ყველაზე ნათელი მაგალითებია.

პირველ რიგში უნდა ვეცადოთ დედამამის, უფროსების, სწავლულების, მასწავლებლების, სტუდენტების, მეზობლების, ობლებისა და გაჭირვებულების დალოცვა დავიმსახუროთ. ჩვენც ღმერთს მათთვის და სხვა სული

ერი ძმებისთვის უნდა ვევედროთ.

წმინდა შუამავალი ბრძანებს:

„ვედრება — ღვთისმსახურებაა.“

თირმიზი, დეავათი, 9

უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

„და თუ შეგეკითხებიან შენ (მუჰამმედ) ჩემი მსახურნი ჩემს შესახებ, უეჭველად, მე ახლოს ვარ, შევისმენ მლოცველის ვედრებას, როცა ის შემევედრება.“

სურა ბაყარა, აიათი 186

წმინდა შუამავალი ბრძანებს:

„სიმდიდრესა და კეთილდღეობისას ღმერთი გაიხსენე, რათა მანაც გაჭირვებისას გაგიხსენოს.“

აჰმედ იბნ ჰანბელ, მუსნედი, I, 307

„უზენაესო ალლაჰო! მუჰამმედის უმმეთი (ხალხი) დაიცავი, ცოდვები აპატიე და მათ დახმარებასა და წყალობას ნუ მოაკლებ.“

მობრძანდი, ჩემო მონა-მსახურო.

ერთი მუსლიმი ყოველ ღამეს საწოლიდან დგებოდა და ალლაჰს ევედრებოდა. ეშმაკმა მუსლიმს უთხრა: „ო, ალლაჰის მხსენებელო! ყოველ ღამეს „ალლაჰ, ალლაჰ“ გაიძახი, განა პასუხის გამცემი გყავს? ხომ ხედავ, პასუხს არავინ გაძლევს შენ კიდევ სადამდე გააგრძელებ, ალლაჰის ხსენებასა და მასზე ვედრებას?“ მუსლიმან პიროვნებას ამაზე გული აუცრუვდა, თავი ძირს დადო და ჩაეძინა. სიზმარში მას უთხრეს; „გონს მოდი! გაიღვიძე, ვედრება და ალლაჰის ხსენება რად მიატოვე? რატომ მოგბეზრდა?!“

ადამიანმა უპასუხა: „შენგან პასუხი, „მობრძანდი ჩემო მონა-მსახურო“ რომ ვერ მივიღე, კარებიდან უკან გამობრუნების შემეშინდა“

„შენ რომ „ალლაჰს“ ამბობ, ეს გამჩენი ღმერთის გამოხმაურებაა. მას რომ „მობრძანდი“ არ ეთქვა, შენ „ალლაჰს“ ვერ შეევედრებოდი. შენი ვედრება ალლაჰისადმი, მისი შთაგონებიდან გამომდინარეა. შენი შრომა, გამოსავლის ძიება, ალლაჰთან დაახლოების სურვილი, მისკენ გადადგმული ნაბიჯებია. ღვთისმსახურებასა და ვედრებისგან შორს მყოფი პიროვნების სული, უზენაესი ალლაჰისგანაც შორსაა. მას „ო ღმერთოს“ წარმოთქმის ნება არ ებოძება, რადგან მას პირზე, ენასა და გულზე ლუქი აქვს დადებული.“

იქნებ დარდი და წუხილია ის, რომელიც ადამიანს ღმერთთან აახლოებს, რომელიც წუთისოფლის ცხოვრებაზე უფრო უკეთესია. უდარდოდ ვედრება ცივია, დარდით სავსე გულიდან ამოსული ვედრება კი წრფელი და გულითადია.

მევლანა ჯელალედდინი რუმი

მე დავასუფთავებ, შენ კი მორწყე

რამდენიმე თვეა, რაც არ გაწვიმებულა და ციდან ერთი წვეთიც არ ჩამოვარდნილა. საქონლისთვის დამშრალ ტბაში ტალახიანი წყლის გარდა აღარაფერი დარჩენილიყო. ადამიანები კი დასალევად იყენებდნენ ჭის წყლებს, რომელიც ცოტაც და ამოიწურებოდა. მათ სწამდათ, რომ გამოუვალ მდგომარეობაში, ალლაჰის მიმართ ვედრების აღვლენის გარდა, სხვა გამოსავალი აღარ ექნებოდათ. დღეების განმავლობაში წვიმისთვის ევედრებოდნენ, ყურბნები იკლებოდა, მოწყალება რიგდებოდა, ობლები ხარობდნენ, მაგრამ ნატვრა არ სრულდებოდა.

ხალხი გამოუვალ მდგომარეობაში იყო. რამდენიმე სოფელი ერთად შეიკრიბა და ისევ გაწვიმება ევედენ. სოფლის მკვიდრნი; დიდი, პატარა, მოხუცი თუ ახალგაზრდა სოფლის ცენტრში შეიკრიბა. სურა იკითხეს. ყურბნები დაკლეს და მოწყალება დაარიგეს. საათობით ალლაჰს ევედრებოდნენ და ყველას თვალები ცისკენ ჰქონდა მიპყრობილი. ცაზე კი ერთი შავი ღრუბელიც კი არ ჩანდა.

მეორე დღეს იგივე განმეორდა. მზე ამოვიდა, ცის ყველა კუთხე სარკესავით სუფთა და კრიალა იყო. ჩანდა, რომ იმ დღეს უფრო ცხელი ამინდი იქნებოდა. მანდილოსნები დილიდანვე ჭის ირგვლივ რიგში ჩამდგარიყვნენ. მამაკაცებიც სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს ამთავრებდნენ და გაწვიმებისათვის ვედრების აღსავლენად სოფლის ცენტრში წასასვლელად ემზადებოდნენ. სხვა დღეებისგან განსხვავებით იმ დღეს ქალაქის მუფთი და

ცნობილი სწავლული პიროვნებებიც უნდა მოსულიყვნენ.

მეზობელი სოფლებიდან დილიდანვე საპატიო სტუმრები მოდიოდნენ. ვედრება სადაცაა დაიწყებოდა. ამ დროს ერთი სახლიდან მოხუცი ქალი გამოვიდა. სიბერისა და ავადმყოფობის გამო ვედრებაზე ვერ წასულიყო. გვალვის გამო ძალიან შეწუხებულიყო და განუწყვეტლივ „ინანიებდა“.

იმედს არ კარგავდა, ალლაჰი ადამიანებს წყალობის გარეშე არ დატოვებდა, ამას ამბობდა და ყველას ამშვიდებდა.

მოხუც ქალბატონს, იმის მიუხედავად, რომ წელში იყო მოხრილი, ხელში ცოცხი აეღო და ეზოს ასუფთავებდა. ხანდახან წელში გაიშლებოდა და ცრემლიანი თვალებით ცას ახედავდა. ეზოს წინა მხარეს, რომ არ ამტვერებულიყო, ყოველთვის რწყავდა, მაგრამ ამჯერად სოფელში უწყლობის გამო ეზო ვერ მორწყო. წყლის მოსატანად ვინ იცის, რამდენი დრო დასჭირდებოდა. აი, ერთხელ კიდევ ახედა მოხუცმა ქალბატონმა ცას და წარმოსთქვა : „ო, ღმერთო! მე დავასუფთავებ, შენ კი მორწყე–“. სახლში არ იყო შესული, რომ ცას შავი ღრუბლები გაეკრა და ისეთი ძლიერი წვიმა წ ა - მოვიდა, თითქოსდა ჭიქებით იღვრებოდა. სოფლის ცენტრში ადამიანებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ დაწყებული ვედრება, რომ ამინდი შეიცვალა და ხალხი კარგადაც დასველდა. ამ დროს, ერთი მხრივ, სიხარულის ცრემლებით ალლაჰს მადლობას უხდიდნენ, მეორე მხრივ კი, წვიმის დაწყების საიდუმლოს ვერ იგებდნენ და სახლებში გაოცებულნი ბრუნდებოდნენ.

რაა საჭირო იმისათვის, რომ იყო მუსლიმი?

ჩვენ,

* როგორც მონა-მსახურნი ალლაჰის წინაშე ყველაფერში მოვალე ვართ;
* არც ერთ არსებას ალლაჰს არ გავუტოლებთ;
* ალლაჰის გარდა, სხვა არსებას სათაყვანებლად და ღვთაებად არ ვიწამებთ;
* ყველაფერზე უფრო მეტად ალლაჰი გვიყვარს;
* მხოლოდ ალლაჰს ვევედრებით და მას ვთხოვთ დახმარებას;
* მხოლოდ ალლაჰს მივენდობით და გვწამს იმის, რომ იგი მარტოდ და დახმარების გარეშე არ დაგვტოვებს;
* ყველა სიკეთეს ალლაჰისგან ვიღებთ და მას ვემადლიერებით;
* მხოლოდ ალლაჰისათვის ვლოცულობთ და თაყვანს მას ვცემთ;
* ალლაჰის წყალობის იმედით ვცოცხლობთ და მისი სასჯელის გვეშინია;
* უზენაესი ღმერთის ბრძანებებს ვასრულებთ;
* უდიდესი ღმერთის აკრძალულებს ვერიდებით;
* ალლაჰი გვიყვარს და მის სახელს ხშირად ვახსენებთ;
* ვცდილობთ ალლაჰის სიტყვა-წმინდა ყურანი ვიკითხოთ, მოვისმინოთ და გავიგოთ.

ვინაიდან ჩვენ მუსლიმები ვართ.

ვინ გადაარჩენს?

ერთხელ ალლაჰის შუამავალმა არაბეთში, ნეჯიდის რეგიონში, სამხედრო ლაშქრობა განახორციელა, რის შემდეგაც, მედინასკენ მომავალი ჯარი ძალიან დაღლილი იყო. ძალიან ცხელოდა. წინ კი გრძელი გზა ელოდათ. შუადღე მოახლოვდა, როცა ჯარმა შესვენება გადაწყვიტა. ისინი ერთ ხევში შეჩერდნენ. თანამიმდევრებმა საყვარელ შუამავალს საუკეთესო ხის ჩრდილი შეურჩიეს და თვითონაც მოსასვენებლად გასწიეს.

მგზავრობით დაღლილ მუსლიმ ჯარისკაცებს მაშინვე ჩაეძინათ. შუამავალი თანამიმდევრების მიერ შერჩეული, ხშირფოთლებიანი ხის ქვეშ მოთავსდა დასასვენებლად, ხმალი ხეზე ჩამოკიდა და დაიძინა.

მტრები ისლამის ჯარს ფარულად უთვალთვალებდნენ. უნდოდ

ათ, ხელსაყრელი შემთხვევით ესარგებლათ და შანსი გამოეყენებინათ. გავრესს შუამავლის მოკვლა ჰქონდა დავალებული. მან ნელ-ნელა, შეუმჩნევლად შუამავლთან მიაღწია, ხეზე ჩამოკიდებული ხმალი ჩამოხსნა და შუამავალზე დარტყმა დააპირა. როდესაც წმინდა შუამავლმა საფრთხის მოახლოება იგრძნო და თვალი გაახილა, გავრესმა მას ჰკითხა:

„ეი, მუჰამმედ! ეხლა ჩემი ხელიდან ვინ გადაგარჩენს?“ საყვარელმა შუამავალმა აუღელვებლად და უშიშრად უპასუხა: „ალლაჰი!“. მისმა ასეთმა ურყევმა რწმენამ და ალლაჰზე მინდობამ ურწმუნოს ხელიდან ხმალი გააგდებინა. გავრესის ხელიდან გავარდნილი ხმალი შუამავალმა აიღო და ჰკითხა: „ეხლა შენ ვინ გადაგარჩენს ჩემი ხელიდან?“. მტერმა უპასუხა: „გაჩერდი, პირდაპირ ნუ დამსჯი!“ ალლაჰის შუამავალმა ჰკითხა: „ალლაჰის გარდა სხვა ღმერთის არარსებობას და ჩემს ალლაჰის შუამავლობას აღიარებ?“ მტერმა უპასუხა: „არა, ვერ ვაღიარებ! მაგრამ შენ მოწინააღმდეგე ხალხს შორის აღარ ვიქნები“. მაშინ შუამავალმა მასთან მტრულად მისული პიროვნება გაათავისუფლა. ამ დროს მასთან თანამიმდევრებიც მივიდნენ.

მტერმა მათ დაჟინებულ, მის მიმართ სიძულვილით აღსავსე მზერას ვეღარ გაუძლო და იქაურობას გაეცალა. ასეთმა შემწყნარებლობამ და მიმტევებლობამ გავრესზე ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მეგობრებთან დაბრუნების შემდეგ იგი, მხოლოდ, ამ სიტყვებს წარმოსთქვამდა: „ეხლა მე ყველაზე საუკეთესო ადამიანისგან მოვდივარ.“

(ბუჰარი, ჯიჰადი, 84)

შუამავალს ალლაჰი ძალიან უყვარდა

წმინდა შუამავალს ალლაჰი ძალიან უყვარდა. **არავის სიყვარულს მის სიყვარულს არ გაუტოლებდა.** მისი ასეთი მდგომარეობა მუდმივად რომ გაგრძელებულიყო, ის ალლაჰს ევედრებოდა: „ღმერთო ჩემო! შენი სიყვარული, საკუთარი თავის, სულის, ოჯახისა და ცივი წყლის სიყვარულზე უფრო წინ დამაყენებინე!“. (თირმიზი დეავათ, 72)

სამყაროსთან, ადამიანებთან, ცხოველებსა და **სხვა არსებებთან შუამავლის ურთიერთობა ალლაჰის სიყვარულით განისაზღვრებოდა.** ალლაჰის სიყვარულით იგი ყოველთვის გაჩენილი არსებების შემბრალებელი და შემცოდებელი იყო. ყველა ქმედებაში ალლაჰის მოწონებასა და კმაყოფილებაზე ფიქრობდა განუწყვეტლივ ევედრებოდა: *„ჩემო ალლაჰო! გთხოვ, შემასრულებინო ის საქმეები, რომლითაც შენ და შენ მონა-მსახურთა სიყვარულს დავიმსახურებ.* (თირმიზი დეავათ, 72)

„ალლაჰის მხსენებელსა და არმხსენებელს შორის სხვაობა, ცოცხალსა და მკვდარს შორის არსებული განსხვავების მსგავსია“. (ბუჰარი დეავათ, 66) ამიტომაც შუამავალი **ალლაჰს ძალიან ხშირად ახსენებდა.** ყოველ საქმეს ალლაჰის სახელით იწყებდა, მისი ლამაზი სახელისა და თვისებების ხსენებით სიმშვიდეს ჰპოვებდა.

საყვარელ შუამავალს **ალლაჰის წინაშე მოვალეობის შეუსრულებლობის ძალიან ეშინოდა.** გულში ყოველთვის ალლაჰის სიყვარულსა და მისი წყალობისგან შორს დარჩენის შიშს ატარებდა. უდიდესი ალლაჰის სიყვარულისა და პატივისცემის ნიშნად გული უთრთოდა. პატივისცემასა და მორჩილებას უნაკლოდ ასრულებდა. „თქვენში ალლაჰის ყველაზე უკეთ მცოდნე და მისი მოშიში მე ვარ“-ო ბრძანებდა ხოლმე. (ბუჰარი, ითისამ, 5)



წმინდა შუამავალი ბრძანებს:

„ჩემო ალლაჰო! შენ ხარ ჩემი ღმერთი. შენ გარდა სხვა ღვთაება არ არსებობს. მე შენ გამაჩინე. მე შენი მონა-მსახური ვარ. სანამ ძალა შემწევს, შენზე მოცემული სიტყვის პატრონი ვარ. ჩადენილი ცოდვების გამო თავს შენ შეგაფარებ. ჩემზე ბოძებულ წყალობებს მადლიერებით ვიხსენებ. შეცდომებსაც ვაღიარებ, მომიტევე ღმერთო! უეჭველად, შენ გარდა, ცოდვების მპატიებელი არ არსებობს!“

ბუჰარი, დეავათი, 2

ალლაჰის სასჯელის სისასტიკესა და სიძლიერეს მეხსიერებიდან ვერ შლიდა. როდესაც ძლიერი ქარი ამოვარდებოდა, დაიქუხებდა, ან შავი ღრუბელი ჩამოწვებოდა, ადრინდელი ტომების განადგურება ახსენდებოდა. ასეთ შემთხვევაში სასჯელის შიშით ალლაჰს ევედრებოდა და ლოცულობდა. ყურანის კითხვის, მოსმენის, ან ლოცვის დროს გული ალლაჰის შიშით უთრთოდა. ზოგჯერ ცრემლებსაც ვერ იკავებდა და ტიროდა. შუამავალი ყოველთვის ალლაჰის დახმარებასა და მოწყალებას ენდობოდა და მას ემორჩილებოდა. ჰიჯრას (მექქადან მედინაში გადაბარგება) დროს გამოქვაბულის კარამდე მისული მექელი ურწმუნოების დანახვისას აბუ ბექირს, რომელსაც ეშინოდა შუამავლისათვის ზიანი არავის მიეყენებინა, უთხრა: „ნუ გეშინია,

ალლაჰი ჩვენთან ერთადაა!“

საყვარელი შუამავალი, **ალლაჰის სასჯელის ცოდნასთან ერთად, მისი წყალობის იმედს არასდროს კარგავდა.** იმედით და შიშით გაწონასწორებული ცხოვრობდა. შუამავლობის მიუხედავად, ისიც კარგად იცოდა, რომ მხოლოდ ალლაჰის წყალობით გადარჩებოდა. „ვედრება საუკეთესო ღვთისმსახურებაა“ — ამბობდა და ყოველ ხელსაყრელ დროს ამ ღვთისმსახურებაში ატარებდა. შუამავალი, ალლაჰისგან დახმარებას, წყალობას და ცოდვების პატიებას ითხოვდა.

ადამიანთაგან ალლაჰის მიმართ უდიდესი მადლიერების გამომხატველი თვით შუამავალი იყო. ღვთისადმი სიყვარულის გამოხატვას დღე და ღამე ღვთისმსახურებით ცდილობდა. ალლაჰის მიმართ მადლობის გამომხატველ სავალდებულო ლოცვებს არ სჯერდებოდა და დამატებით ღვთისმსახურებასაც ასრულებდა. მთვარის გარკვეულ დღეებს-მარხვაში, ღამეებს კი ლოცვაში ატარებდა. ზოგჯერ ლოცვას ღამით იმდენ დროს უთმობდა, რომ ფეხები უსივდებოდა. ერთხელ როცა ჰკითხეს, ძველი და ახალი ცოდვების მიტევების შემთხვევაში თავს რატომ იღლიო უპასუხა: „ალლაჰზე მადლობის გადამხდელი ადამიანი არ ვიყო?“ ყველა საკითხში ჩვენი უბადლო მაგალითი და ლიდერი შუამავალია. იგი ალლაჰზე მადლობის გადახდის, მისი მორჩილებისა და მსახურების ნიმუშს გვიჩვენებდა. ცდილობდა, ყოველთვის მადლიერი ადამიანი ყოფილიყო. „ჩემო ალლაჰო! დამეხმარე, შენ ხშირად გახსენო. ბოძებული წყალობისთვის მადლობა გადაგიხადო და გემსახურო!“, — ასე ევედრებოდა ალლაჰს და ჩვენც ასეთივე ვედრების გაკეთებას გვირჩევდა. **ლხინსა თუ ჭირში, სიმდიდრესა თუ სიღარიბეში ალლაჰს აქებდა და ადიდებდა.** მასზე ბოძებული სიკეთისათვის „ელჰამდულილლაჰს!“ — ამბობდა და გულწრფელ მადლიერებას გამოხატავდა.

بِسْمِ ٱللَّهِ ٱلرَّحْمَٰنِ ٱلرَّحِيمِ

ٱللَّهُ لَآ إِلَٰهَ إِلَّا هُوَ ٱلْحَيُّ ٱلْقَيُّومُ ۚ لَا تَأْخُذُهُۥ سِنَةٌ وَلَا نَوْمٌ ۚ لَّهُۥ
مَا فِى ٱلسَّمَٰوَٰتِ وَمَا فِى ٱلْأَرْضِ ۗ مَن ذَا ٱلَّذِى يَشْفَعُ
عِندَهُۥٓ إِلَّا بِإِذْنِهِۦ ۚ يَعْلَمُ مَا بَيْنَ أَيْدِيهِمْ وَمَا خَلْفَهُمْ ۖ وَلَا
يُحِيطُونَ بِشَىْءٍ مِّنْ عِلْمِهِۦٓ إِلَّا بِمَا شَآءَ ۚ وَسِعَ كُرْسِيُّهُ
ٱلسَّمَٰوَٰتِ وَٱلْأَرْضَ ۖ وَلَا يَـُٔودُهُۥ حِفْظُهُمَا ۚ وَهُوَ ٱلْعَلِىُّ
ٱلْعَظِيمُ ۝

აიეთელ-ქურსი

ალლაჰია! არ არსებობს ღვთაება გარდა მისი, (ის) მარადცოცხალი და ყველაფრის მმართველ-მაკონტროლებელია. მისთვის უცხოა თვლემა და ძილი. მისია ყველაფერი, რაცაა ცასა და დედამიწაზე. მისი ნებართვის გარეშე ვის შეუძლია მის წინაშე შუამადგომლობის გაწევა? მან იცის, რაცაა მათ (მის მონა-მსახურთა) წინ (სამოქმედო) და მათ უკან (ნამოქმედარი). მისი სიბრძნისგან ადამიანები ვერაფერს გაიგებენ გარდა იმისა, რაც მას სურს. მისი ტახტი ცასა და დედამიწას გარს ერტყმის. და მას არ უჭირს მათი დაცვა. და იგი ყოვლად დიდებული და უზენაესია.

(სურა ბაყარა, აიათი 255)

კითხვები

შევავსოთ კროსვორდი



1	უზენაესი ალლაჰის თავისებური სახელი, რომლის მიხედვითაც იგი არაფერზეა დამოკიდებული.	5	ყველა არსებისთვის სარჩოს მიცემა.
2	ალლაჰის თავისებურება, რომელიც ადამიანებსაც ახასიათებთ, ოღონდ არა ისეთი ფორმით, როგორც უზენაეს ღმერთს.	6	უზენაესი ალლაჰის თავისებურაბა, რომლის მიხედვითაც მას არ გააჩნია დასაბამი და დასასრული.
3	მხოლოდდამხოლოდ უზენაესი ალალ-ჰისთვის დამახასიათებელი თავისებურება.	7	რაჰმანი ანუ.....?
4	უზენაესი ალლაჰის ერთ-ერთი თავისებურების სახელწოდება, რომლითაც მან შექმნა სამყარო და ადამიანები	8	უზენაესი ალლააჰი ყველაფრის.....?

ფრჩხილებში მოცემული სიტყვები ჩასვით ცარიელ ადგილებში

(ახლოს ვარ / იქმენი / გაჩნდება / ალლაჰი / გიყვართ / სულებსა / მტკიცებულებს / ცოდვები / ფოთოლიც / გულები / ვედრება)

1. „ადამიანებს თავიანთ ..... და გარე სამყროში ..... ვაჩვენებთ“.

2. „ალლაჰმა მიწის წიაღსა და ზღვაში არსებული ყველაფერი იცის. მისი ცოდნის გარეშე ..... კი არ ჩამოვარდება“.

3. „ალლაჰი როდესაც რაიმეს გაჩენას ისურვებს, მას უბრძანებს ..... და იგიც უმალვე .....“.

4. „მორწმუნეებს ყველაზე მეტად ..... უყვართ“.

5. „(ჩემო შუამავალო!) უთხარი: თუ ალლაჰი ..... მე მომყევით, რომ ალლაჰმაც თქვენ შეგიყვაროთ და ..... გაპატიოთ“.

6. „კარგად იცოდეთ, რომ ..... ალლაჰის ხსენებით მშვიდდება“.

7. „..... იგივე ღვთისმსახურებაა“.

8. „თუ მონა-მსახურები ჩემ შესახებ გკითხავენ, იცოდნენ, რომ მე მათთან ძალიან ..... , მათ ვედრებას ვისმენ და თხოვნას ვუსრულებ“.

გამოვსცადოთ საკუთარი თავი

1. ქვემოთ მოცემულთაგან, რომელი თავისებურება უნდა გააჩნდეს მუსლიმს, რათა მან რწმენის სიამოვნება შეიგრძნოს?

ა. ყველაფერზე მეტად ალლაჰი და მისი შუამავლი უნდა უყვარდეს;

ბ. რასაც შეიყვარებს, ყველაფერი ალლაჰის ხათრით უნდა შეიყვაროს;

გ. უნდა იცოდეს, რომ თუკი ურწმუნო გახდება ეს ჯოჯოხეთში მოხვედრის ტოლფასია;

დ. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი.

2. ვედრებასთან დაკავშირებით, ქვემოთ ჩამოთვლილ ფრაზათაგან რომელია არასწორი?

ა. ვედრების აღსავლენად განსაკუთრებული დრო და ადგილი საჭირო არაა;

ბ. ვედრების შესასრულებლად საჭიროა აბდესის აღება;

გ. ვედრება ღმერთსა და შენ შორის ურთიერთობას ყოველთვის აცოცხლებს;

დ. ლხინში ყოფნის დროსაც ვევედროთ, რათა ღმერთი გასაჭირში ყოფნისას დაგვეხმაროს.

3. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელი არ გამოხატავს წმინდა შუამავლის სიყვარულს უზენაესი ალლაჰისადმი?

ა. შუამავალი ალლაჰის სახელს ბევჯერ ახსენებდა.

ბ. ყველა საქციელსა და საუბარში ალლაჰის კმაყოფილების მოპოვებაზე ფიქრობდა.

გ. ხუთი დროის ლოცვისას თანამიმდევრების იმამი იყო.

დ. მადლიერების გამოსახატავად ალლაჰს ძალიან ბევრს ევედრებოდა და ღვთისმსახურებებს ასრულებდა.

4. რწმენის გამო ქვემოთ მოცემულთაგან რომელი შეიძლება არ იყოს ჩვენი მონაგარი,?

ა. ამქვეყნად ყველას ვეყვარებით;

ბ. გულში უსაზღვრო სიმშვიდის გრძნობა ჩაგვენერგება;

გ. ყველა არსებისადმი შემბრალებელი და მოწყალე ვიქნებით;

დ. ჩვენ საქციელს გავაკონტროლებთ.

5. ქვემოთ მოცემულ წინადადებათაგან რომელი არაა ალლაჰის არსებობის და მისი ერთადერთობის დამადასტურებლი?

ა. ხელოვნების ყველა ნიმუშს თავისი ხელოსანი ჰყავს. ამ სამყაროსაც თავისი გამჩენი ჰყავს.

ბ. ადამიანის ფიზიკური სრულყოფილება უზენაესი ალლაჰის არსებობაზე მიუთითებს.

გ. მზის ამოსვლა-ჩასვლა, დღე-ღამისა და წელიწადის დროების მონაცვლეობა და სამყაროს უზადო წესრიგი ღმერთის არსებობის მაჩვენებელია.

დ. თითოეულ ადამიანს კარგისა და ცუდის არჩევანის უფლება აქვს.

პასუხის გასაღები

კროსვორდის პასუხი

5 მ												
ა		3 ე							6 მ			8 მ
ს		რ							ა			მ
ა		1 თ	ვ	ი	თ	ნ	ი	ე	რ	ო	ბ	ა
ზ		ა							ა			რ
რ		დ							დ			თ
დ	2 ხ	ე	დ	ვ	ა				ი			ვ
ო		რ							ჟ			ე
ე		თ							ლ			ლ
ბ	7 მ	ო	ყ	ა	ლ	ე			ო			ი
ე		ბ							ბ			ა
ლ	4 გ	ა	ჩ	ე	ნ	ი			ა			
ი												

ფრჩხილებში მოცემული სიტყვები ჩასვით ცარიელ ადგილებში.

1. სულებსა - მტკიცებულებს
2. ფოთოლიც
3. იქმენი-გაჩნდება
4. ალლაჰი
5. თუ გიყვართ - ცოდვების
6. გულები
7. ვედრება
8. ახლოს ვარ

გამოვცადოთ საკუთარი თავი.

1. დ 2. ბ 3. გ 4. ა 5. დ

სიკეთისა და სილამაზის სიმბოლო

ანგელოზების რწმენა

- ხილული და უხილავი არსებები
- ანგელოზების რწმენა
- ანგელოზების თავისებურებებიდა
  და მათი მოვალეობები
- რას შეგვძენს ანგელოზების რწმენა?
- ეშმაკის თავისებურებები
- ალლაჰის შუამავალი და ანგელოზები

ანგელოზის ხმა

ჰალილი დინჯი, გონიერი და ყურადღებიანი ბავშვი იყო. ზოგიერთ მოვლენაზე საზრიანი დაფიქრებით, ხშირად, მომგებიან და სასარგებლო შედეგს აღწევდა.

ერთ დღეს მამას უთხრა:

„მამა, ამდენი მუშაობითა და ჩვენზე ზრუნვით დაღლილ დედას რომ ვხედავ, მწყინს. ვიცი, ზოგჯერ მას ჩემი დახმარება სჭირდება. მე კი ვერ ვიცლი, სათამაშოდ გავრბივარ. დედიკო ძალიან მიყვარს, მაგრამ ასე რატომ ვიქცევი, მაინც ვერ გამიგია“.

მამა ჰალილის ასეთ შეკითხვებს შეჩვეული იყო. შვილის ასეთი საუბრის გამო ემოციას ვერ მალავდა! „ეს მხოლოდ შენ არ გემართება, შვილო!“ — უთხრა ჰალილს.

„მართლა, მამა!? თუკი ასეა, ძალიან მიხარია. მეგონა, მხოლოდ მე ვიყავი ასეთ მდგომარეობაში და თავს ვიდანაშაულებდი. ამის მიზეზის გაგება მინდოდა, ჩემი აზრები ერთმანეთს რატომ ეწინააღმდეგება?“

„დიახ, რა თქმა უნდა, ასეა. თვალით უხილავი ორი არსება ადამიანში განუწყვეტლივ ებრძვის ერთმანეთს, მათგან ერთი ანგელოზია, მეორე კი — ეშმაკი. ამიტომ ყველა სხვადასხვანაირად ფიქრობს.“

„ანგელოზი რას გვიკეთებს?“

„ანგელოზი ჩვენ სიკეთისკენ მოგვიწოდებს. მუდამ ჩაგვძახის, რომ კარგი ადამიანები ვიყოთ და არ სურს, რომ ცუდად მოვიქცეთ. თუ რაიმე ცუდს ჩავიდენთ, მას ძალიან სწყინს.“

„აბა ეშმაკი რას გვიკეთებს?“

„ეშმაკი გამუდმებით ცუდი საქმის კეთების, ავი სიტყვების წარმოთქმის, ადამიანების წყენინების, ალლაჰის ბრძანებებისა და დედ-მამის სიტყვის ურჩობისკენ მოგვიწოდებს, თუკი ასე მოვიქცევით, ეშმაკს გავახარებთ.“

„კარგი მამიკო, მაგრამ მე კარგის ან ცუდის გაკეთებისას „ეს გააკეთე, ან ეს არ გააკეთო!“ ასეთი ხმა რომ არ მესმის?“

„შვილო! ანგელოზის და ეშმაკის ხმა ჩვენს ხმას სრულებით არ ჰგავს. ისინი ძალიან სწრაფად, ჩვენს დაფიქრებამდე, ჩაგვძახიან, თუნდაც, შენს მაგალითს მივმართოთ.

„დედა ძალიან იღლება, დამხმარეც არ ჰყავს, ცოტა რომ დაისვენოს. თავის ენერგიას ჩვენს სამსახურში ხარჯავს. მას ცოტათი დავეხმარები“, — ეს ანგელოზის ხმაა. თუკი დედას ასეთ მდგომარეობაში ნახავ და იფიქრებ:

„თუ დაიღლება, რა ვქნა! ახლა ვინმეზე დახმარება არ შემიძლია“ — ეს ის ეშმაკია, რომელიც შენს შეცდენას ცდილობს.

ზოგჯერ ეშმაკი უფრო ძლიერად შეგეჭიდება და შენთვის არასასურველი საქმისკენ გიბიძგებს.

„თუ მუშაობს ოჯახისთვის მუშაობს, ყველა თავის საქმეს აკეთებს. თუ იღლება, რა ვქნა!“ ასეთ შემთხვევაში უნდა დავფიქრდეთ, ამ დროს უნდა მოვეგოთ გონს, რათა ეშმაკის მახეში არ გავებათ.

ანგელოზის და ეშმაკის ხმის გამო-

საცნობად ერთ რამეს კიდევ გასწავლი.

ყოვლისშემძლე ალლაჰი და წმინდა შუამავალი ჩვენგან რის გაკეთებასაც ითხოვენ, ის უნდა შევასრულოთ. იცოდე, რასაც კარგს ვაკეთებთ, ამას ანგელოზის დახმარებით ვახერხებთ, ხოლო თუ ცუდ რამეს ჩავდივართ, ეს ეშმაკისგანაა. მას კარგი, ლამაზი საქმეებისგან და სარწმუნოებისგან ჩვენი განშორება სურს."

,,ანგელოზს და ეშმაკს რატომ ვერ ვხედავთ მამა? ამიხსნი, ვინ არიან ისინი?!"

„ჩვენ მათგან განსხვავებული ვართ. მათ ჩვენ ვერ ვხედავთ. დანარჩენს სხვა დროს აგიხსნი, ახლა სამსახურში ვარ წასასვლელი."

ჰალილიმ მამას მადლობა გადაუხადა და ამ ორ არსებაზე, ანგელოზსა და ეშმაკზე ფიქრი განაგრძო.

მ. იაშარ ქანდემირი



ხილული და უხილავი არსებები

ყველა არსების გამჩენი და სამყაროს ბატონ-პატრონი უზენაესი ალლაჰია. მას უთვალავი ხილული და უხილავი არსება ჰყავს გაჩენილი.

საყაროში გაჩენილ არსებათა ნაწილს ვხედავთ და შევიგრძნობთ; მაგრამ არსებები მხოლოდ შეგრძნებითა და დანახვით არ ისაზღვრება, უხილავი არსებებიც მრავლად არიან.

ზოგი რამის დაჯერება მისი დანახვის აუცილებლობას არ მოითხოვს. დაუნახავადაც ბევრი რამის გვჯერა. კმაგალითად: ჭკუას, სიყვარულს, სიბრალულს, სიხარულს თვალით ვერ ვხედავთ, მაგრამ მათი არსებობის გვჯერა. ასევე ვერ ვხედავთ მავთულში გამავალ ელექტროენერგიას, ქარს, ნიავს და სხვა თვალით უხილავ, აბსტრაქტულ საგნებს.

ადამიანები, პირუტყვები, მცენარეები, ზღვები, ხეები, ყვავილები, მთვარე მზე და ვარსკვლავები — ხილული არსებებია. ეშმაკი და ანგელოზიც უხილავ არსებებად ითვლებიან, რადგან მათ ვერ ვხედავთ. ისინი უხილავ არსებებად არიან გაჩენილნი. ჩვენ მათ ვერ ვხედავთ, მაგრამ მათი არსებობის გვჯერა. ვინაიდან ანგელოზებისა და ეშმაკის შესახებ წმინდა ყურანი გვამცნობს.

ანგელოზების რწმენა

ანგელოზები, ალლაჰის ბრძანებით, სხვადასხვა მოვალეობების შესასრულებლად გაჩენილი არსებები არიან. მათი დანახვა და მათზე შეხება არ შეგვიძლია. ამიტომაც მათ შესახებ ცნობებს მხოლოდ ყურანით და შუამავლის გადმოცემით ვიღებთ.

ანგელოზების დაჯერება ისლამის რწმენის პირობათაგან ერთ-ერთია. ვინაიდან ალლაჰმა შუამავალს ზეშთაგონება ანგელოზის მეშვეობით გარდმოუვლინა,მათი უარყოფა თავისთავად შუამავლის, მასზე ზეგარდმოვლენილი წმინდა წიგნისა და მის მიერ ნაქადაგების უარყოფასაც ნიშნავს. ამიტომ, ვისაც ალლაჰის მიერ ზეგარდმოვლენილის, შუამავლებისა და წმინდა წიგნის სჯერა, მან ანგელოზებიც უნდა ირწმუნოს.

ანგელოზების თვისებები

ანგელოზებს ადამიანებისა და სხვა არსებებისგან განსხვავებული თვისებები გააჩნიათ, ისინი სხივისგან არიან გაჩენილნი, საკმაოდ ძლიერები და სწრაფები არიან. მათ სულ მოკლე დროში გრძელი მანძილის დაფარვა შეეუძლიათ.

ანგელოზები ალლაჰის ბრძანებების უსიტყვიდ შემსრულებელი არსებები არიან, მუდმივად ალლაჰის მონამსახურებით არიან დაკავებულნი, მის ბრძანებებს არ გადაუხვევენ, აკრძალულებს არ გაეკარებიან, ცოდვას არ ჩაიდენენ, ცუდად არც ერთ არსებას არ მოექცევიან. ანგელოზებში მდედრობითი და მამრობითი სქესი არ არსებობს, ისინი არ ჭამენ, არ იძინებენ, თავიანთი მოვალეობების შესრულებისას არასდროს იღლებიან.

ანგელოზების მოვალეობები

ანგელოზების მოვალეობაა, ემსახურონ უზენაეს ალლაჰს და მისი ბრძანებები უნაკლოდ შეასრულონ. ისინი ალლაჰის მიერ დავალებულ ყველა საქმეს უნაკლოდ ასრულებენ. შესრულებისას არც დაიღლებიან და არც მოსწყინდებათ. ისინი გამუდმებით ალლაჰის სამსახურში არიან და მის ბრძანებებს ასრულებენ. მათი ძირითადი მოვალეობა ალლაჰის სამსახურია. მათ შორის ოთხი მთავარანგელოზია.

ჯებრაილი: მისი მოვალეობაა ალლაჰის ზეშთაგონება შუამავლებს გადასცეს. მან ამავე დროს ღმერთის ბრძანებები და წერილები შუამავლებსა და ანგელოზებს უნდა მიუტანოს.

აზრაილი: ღვთის ნებართვით თავის

წმინდა შუამავალი ბრძანებს:

„ანგელოზები სხივისგან, ჯინები ცეცხლისგან, ადემი კი მიწისაგანაა შექმნილი.“

მუსლიმი, ზუჰდი, 10

დროზე სულიერი არსებებისთვის სულის ართმევითაა დაკავებული. ამიტომ აზრაილს ყურანში *„სიკვდილის ანგელოზის“* სახელიც აქვს მინიჭებული.

მიქაილი: ბუნებრივი მოვლენების დარეგულირებითა და გაჩენილთათვის სარჩოს დანაწილებითაა დავალებული.

ისრაფილი: ბუკს ჩაბერავს და წარღვნას გვამცნობს. იგი ასევე საიქიოს ცხოვრების დასაწყისსაც შეგვატყობინებს.

ოთხი დიდი ანგელოზის გარდა, სხვადასხვა მოვალეობის შემსრულებელი ანგელოზებიც არიან. აი, ზოგიერთი მათგანი.

აღმნუსხავი ანგელოზი: თითოეული ადამიანის მიერ ჩადენილი ცოდვამადლის დამწერი ანგელოზები ორნი არიან. მათგან ერთი მარჯვენა, ხოლო მეორე მარცხენა მხარზეა. მარჯვენა მხარზე მყოფი კეთილ სიტყვებსა და საქციელს აღწერს, ხოლო მარცხენა მხარეს მყოფი — ცუდ სიტყვებსა და ქცევებს. ისინი განკითხვის დღეს, ალლაჰისთვის ჩვენი ნამოქმედარის წარდგენის დროს, ყველა კარგ თუ ცუდ საქმეს დაემოწმებიან.

დამცავი ანგელოზები: ისინი იმ პიროვნებების დაცვით არიან დაკავებულნი, რომლებიც ღმერთს ევედრებიან. ეს ანგელოზები, აგრეთვე ღვთის ნებართვით, ადამიანებს ბოროტი საქმეებისგან

იცავენ.

მუნქერი და ნექირი: დამკითხავი ანგელოზები არიან. სიკვდილის შემდეგ ადამიანს საფლავში პირველად ისინი დაკითხავენ. მიცვალებულს შემდეგი სახის კითხვებს დაუსვამენ: „შენი ღმერთი ვინ არის? შუამავალი ვინ არის? შენი წიგნი რომელია?“ გაცემული პასუხების მიხედვით მას კარგად ან ცუდად მოეპყრობიან

გარდა ზემოთჩამოთვლილისა, სხვადასხვა დანიშნულების უთვალავი ანგელოზი არსებობს: ზოგიერთი მათგანი ადამიანის გულს სიკეთისკენ მოუწოდებს, ზოგი კი წარმოთქმულ სელათუ სელამს შუამავალს გადასცემს. ზოგიც სამოთხისა და ჯოჯოხეთის საქმეებით არის დაკავებული.

უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

„და უეჭველად, თავზე გადგანან მცველები (ანგელოზები) ღირსეულნი, საქმეთა აღმნუსხველნი!

სურა ინფიტარი, აიათები 10-12

უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

ზემოდან ანგელოზნი ძლიერნი და შეუბრალებელნი. არ ეურჩებიან ალლაჰს იმაში, რაც უბრძანა მათ და აკეთებენ იმას, რაც ებრძანათ.

სურა თაჰრიმი, აიათი 6

ანგელოზები ავადმყოფების მნახველებსაც დალოცავენ

შუამავლის ბიძაშვილი და ამავე დროს სიძე, კეთილშობილი ალი ერთ დღეს, დილაადრიან, თავის მეგობარ საიდს შეხვდ, მიესალმა და უთხრა: „საიდ, დღეს, შენთან ერთად ავადმყოფის სანახავად მინდა წავიდე, ჰასანი ავადაა, ის უნდა მოვინახულოთ!“ ავადმყოფთან მისულებს იქ აბუ მუსა ელ ეშარიც დახვდათ.

კეთილშობილმა ალიმ მას ჰკითხა:

„ეი, აბუ მუსა! ავადმყოფის მონახულების მიზნით მოდი თუ, შევუვლიო — იფიქრე?“

აბუ მუსამ უპასუხა:

„ავადმყოფის სანახავად მოვედი“. ამის გაგონებაზე ძვირფასმა ალიმ მას შუამავლისგან შეტყობილი ამბავი უმახარობლა:

„თუკი მუსლიმანი დილას ავადმყოფი ძმის მოსანახულებლად წავა, სამოცდაათი ანგელოზი საღამომდე ალლაჰს მისთვის შეევედრება და ცოდვების პატიებას სთხოვს. თუ ვინმე საღამოს წავა სამოცდაათი ათასი ანგელოზი დილამდე მისთვის შეევედრება. ამავე დროს სამოთხეში მათთვის ხილია გამზადებული“

(თირიმიზი, ჯენაიზი, 2)

ანგელოზები მარხულ ადამიანებს ლოცავენ

შუამავალი, რომელიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მეზობელთან ურთიერთობას, დროის გამონახვისთანავე მას მოინახულებდა. ერთხელ იგი უჰუდის ბრძოლაში სიმამაცით სახელ განთქმულ, ნესიბე ხათუნის სახელით ცნობილი უმმუ უმარეს ოჯახს ეწვია. შუამავლის სტუმრობით გახარებულმა უმმუ ემარემ სასწრაფოდ საჭმელი მოამზადა და შუამავალს და მის მხლებლებს გაუმასპინძლდა. შუამავალმა, სუფრასთან მასპინძელიც მიიპატიჟა.

„მარხული ვარ!“ —უთხრა უმმუ უმარემ. იმ დღეს იგი მარხული იყო და ამიტომ სტუმრებთან ერთად ვერ მიირთვა. ამის გამო შუამავალმა მას უმახარობლა:

„ასეთი ადამიანის გვერდით თუ ჭამენ — სანამ მჭამელები დანაყრდებიან და ადგებიან, ანგელოზები მარხულისთვის ალლაჰს შეევედრებიან“

(თირმიზი სავმ, 66).

რას შეგვძენს ანგელოზების რწმენა?

ანგელოზების რწმენა

- კულტურას აგვიმაღლებს და ღვთისმსახურებას შეგვაყვარებს.
- ცუდ საქმეებისგან შორს დგომისაკენ მოგვიწოდებს.
- სინდისს გაგვიკეთილშობილებს.
- შრომის ძალას შეგვმატებს და ხასიათს გაგვილამაზებს.

ანგელოზები მარადჟამს უზენაეს ალლაჰისთვის ღვთისმსახურობენ. მათგან ზოგი სეჯდეზე, ზოგიც რუქუღზე, განუწყვეტლივ გამჩენს ახსენებს, გულწრფელი მორწმუნისთვის შენდობას ითხოვს. ამ თვისების მქონე ანგელოზების დაჯერება ღვთისმსახურების სიყვარულს გაგვიმტკიცებს, შეცდომებისა და ცოდვების გამო ალლაჰზე პატიების თხოვნისა და მისთვის მისაღებ ადამიანად ჩამოყალიბებისაკენ მიგვითითებს. გვარიგებს, რომ დღეები და ღამეები უფრო კარგად გამოვიყენოთ, ვიზრუნოთ იმისათვის, რომ ანგელოზსავით ალლაჰის მონა-მსახურ ადამიანებად ვიქცეთ.

უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

„ ხოლო ისინი, ვინც მის წინაშე არიან , არ თაკილობენ მის თაყვანისცემას და არც იღლებიან ამით! ისინი ადიდებენ დღისითა და ღამით, შეუსვენებლად!“

სურა ენბია, აიათები 19-20

მარჯვენა და მარცხენა მხარზე მყოფი, თითოეული ჩვენი ნამოქმედარის აღმნუსხავი, „ქირამენ-ქათიბინ“ ანგელოზებისა და საფლავში ჩვენი დამკითხავი „მუნქერ-ნექირის“ ანგელოზების არსებობის დაჯერება რწმენას გაგვიძლიერებს და ადამიანებთან ურთიერთობისას პასუხისმგებლობას აღგვიმაღლებს. საუბრისა და ქცევების კონტროლისაკენ გვიბიძგებს. ანგელოზების რწმენა ჩვენ ზნეობრივად სრულყოფილ დ ა სპეტაკ ადამიანად გვაქცევს.

ანგელოზების რწმენით ბოროტ და ცუდი მზრახველი სიტყვებს განვერიდებით. არავის ზურგს უკან არ ვილაპარაკებთ და არ მოვატყუებთ, უსამართლობისგან შორს ვიქნებით. არავის ცუდად არ მოვეპყრობით.

უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

„ისედაც, ორი ანგელოზი მარჯვნივ და მარცხნივ მის ყველა ქმედებას იწერენ. საკმარისია მან სიტყვა წარმოთქვას და უეჭველად, მეთვალყურე მზადყოფნაშია ესწრას მას.“

სურა ყაფი, აიათები 17-18



ანგელოზები გულში სიყვარულს, სილამაზესა და სიმართლეს გვინერგავენ. უზენაესი ალლაჰისა და შუამავალის ბრძანებებს თუ შევასრულებთ, ისინი კმაყოფილი დარჩებიან და ალლაჰს ვედრებას აღუვლენენ, პატიებას სთხოვენ. მაგალითად: მშობლებთან თავაზიანობისას, მეგობრებისთვის სიკეთის გაკეთებისას, ნათესავებისა და ავადმყოფების მონახულებისას, გაჭირვებულ ადამიანზე დახმარებისას, ნამაზის ლოცვისას, ყურანის კითხვისას, ცოდნის შეძენისას, ერთი სიტყვით, ალლაჰის კმაყოფილებისთვის გაკეთებული ყველა საქმის დროს ანგელოზები ჩვენთვის ალლაჰს შეევედრებიან. ალლაჰისთვის პატიების თხოვნა, კეთილი ქმედებები და რწმენა გულში სიმშვიდეს მოგვცემს, ზნეობას გაგვილამაზებს და **უფრო მიმზიდველი ყოფაქცევისკენ მოგვიწოდებს.**

წმინდა შუამავალი ბრძანებს:

„როგორც ანგელოზი, ასევე ეშმაკი (სატანა) ადამიანს გულში სხვადასხვა ფიქრსა და აზრებს ჩასჩურჩულებს. ეშმაკის საქმე ცუდისა და ბოროტისკენ მოწოდება, უკეთურ საქმის და ღვთისაგან განდგომის მოხმობაა. ანგელოზის საქმე კი სიკეთისა და სილამაზისკენ მოწოდება და ცუდისგან განრიდებაა“

ვინც გულში სიკეთისკენ მომწოდებელ ხმას გაიგონებს, ეს ანგელოზებისაგან ესმის. მაშინვე მას უნდა დაუჯეროს და ალლაჰს შეევედროს, ხოლო ვინც გულში ცუდისკენ მომწოდებელ ხმას გაიგონებს, იცოდეს, იგი ეშმაკისგან იქნება. ამიტომ ეშმაკისგან დასაცავად ღმერთს უნდა შეეფაროს.

თირმიზი, თეფსირი, 3

თავის მონა-მსახურებზე შრომისთვის ძალის მიმცემი ალლაჰია. გამომდინარე აქედან ყველა წარმატება მისი წყალობითაა. უზენაეს ალლაჰს კეთილი და წარმატებული ადამიანები უყვარს, ვინც შრომობს, კარგ საქმეს აკეთებს და სასარგებლო გადაწყვეტილებას იღებს, ალლაჰი მას ეხმარება. ასეთ დროს ჩვენგან განუყრელი ანგელოზებიც ჩვენს გვერდით არიან და კარგი გადაწყვეტილების შესახებ ფიქრის საშუალებას გვაძლევენ. მათ კარგი და სასარგებლო ქმედება გაუხარდებათ და წარმატებისათვის ალლაჰს შეევედრებიან, გაჭირვებასა და ცუდ მდგომარეობაში ყოფნისას კი, ალლაჰის ბრძანებით დახმარებას გაგგგვიწევენ.

უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

„უეჭველად, რომელთაც თქვეს: „ღმერთი ჩვენი ალლაჰია“ მერე კი იყვნენ მტკიცენი, ზეგარდმოვლენ მათ ზე ანგელოზები: „ნუ გეშინიათ და ნუ დამწუხრდებით, და იხარეთ სამოთხით, რომელიც იყო აღთქმული.ჩვენ თქვენი მფარველები ვართ ამქვეყნიურ ცხოვრებაში და იმქვეყნიურშიც. და თქვენთვისაა იქ, რასაც სულნი თქვენი ინატრებენ! და თქვენთვისაა იქ, რასაც მოითხოვთ.“

სურა ფუსილეთი, აიათები 30-31

ბედირის ბრძოლაში მუსლიმანებზე დასახმარებლად ათასობით ანგელოზის მოვლენის შესახებ ყურანშიც ნათლადაა ნათქვამი. განსაცდელისა და გაჭირვების დროს ალლაჰი ანგელოზებით გვეხმარება. მისი აღიარება ჩვენ, შრომისა და გაბედულების ძალას გვაძლევს ძნელბედობის ჟამს უძლური და უიმედო აღარ ვიქნებით.

ანგელოზები მორწმუნეებისთვის ვედრებას აღავლენენ.

ანგელოზები ბოროტებისა და ცოდვებისგან გვიცავენ, სიკეთისკენ სწრაფვაში მორწმუნეებისთვის ლოცულობენ. უზენაესი ალლაჰი გვამცნობს:

....(ანგელოზები) გამჩენ საქებარი სიტყვებით ადიდებენ. მათ სწამთ გამჩენის და მას მორწმუნეებისათვის პატიებას შემდეგნაირად შესთხოვენ:

„ო, გამჩენო, ალლაჰო! შენი ცოდნა და მოწყალება ყოვლისმომცველია, მორწმუნეებსა და შენს გზაზე მყოფებს ცოდვები აპატიე, ისინი ჯოჯოხეთის განსაცდელისგან დაიფარე!“

„ო, გამჩენო ღმერთო! ყველა საუკეთესო და კეთილი მორწმუნე, მათი წინაპრები, შთამომავლები და მეუღლეები დანაპირებ სამოთხეში მოათავსე. უეჭველია, ყოვლისშემძლე და საოცრების მქმნელი მხოლოდ და მხოლოდ შენ ხარ.

შენ ისინი ყოველგვარი ცუდისგან დაიცავი. ვისაც ცუდისგან დაიცავ, მას (განკითხვის დღეს) შეიბრალებ, სწორედ ესაა ჭეშმარიტი გადარჩენა და ბედნიერება.

(სურა მუყმინი, აიათები 7-9

გინდათ ანგელოზები თქვენთვის შეევედრონ?

წმინდა შუამავალი ბრძანებს:

„მიღებული იქნება ვედრება, რომელსაც მუსლიმი მის გვერდით არმყოფ სულიერ და-ძმისთვის აღავლენს. მუსლიმის გვერდში მყოფი ანგელოზიც მისთვის ალლაჰს ასე შეევედრება: ღმერთმა ისმინოს შენი ვედრება, რაც იმას უსურვე, შენც მოგცემოდეს.“

თირმიზი, თეფსირი, 3

ანგელოზები ჩვენს ვედრებაზე ამინს იტყვიან

„საყვარელი შუამავალი, გამუდმებით ვედრების აღვლენას გვიბრძანებს და გვახარებს რომ ჩვენს ყველა ვედრებაზე ანგელოზები ამინს წარმოთქვამენ. ვედრებაში ალლაჰისთვის სილამაზისა და სიკეთის თხოვნას გვირჩევს: „ვედრებისას კარგი და ლამაზი რამეები შეევედრეთ, რადგან ანგელოზები, ამინს, წარმოთქვამენ“

თირმიზი, თეფსირი, 3

ანგელოზები ჩვენი სწავლისთვის ვედრებას აღავლენენ

ცოდნის მძებნელი და შეძენის შემდეგ მისი ცხოვრებაში გამტარებელი მორწმუნის მიმართ ანგელოზების მიერ აღვლენილი ვედრების შესახებ საყვარელი შუამავალი ასე გვამცნობს: „თუკი ვინმე ცოდნის შეძენის მიზნით გზას დაადგება, ალლაჰი მას სამოთხეში შესვლას გაუადვილებს. ანგელოზებიც მისი საქციელით ძალიან გახარებულნი დარჩებიან. ცოდნის მძებნელს ფრთებს გადააფარებენ. ზეცაში, ხმელეთსა თუ ზღვაში მყოფი ყველა არსება ცოდნის მაძიებელი ადამიანისთვის ალლაჰისგან პატიებას ითხოვს .“

(ებუ დავუდი, ილიმ -1)



ანგელოზები, სატანა და ადამიანი

ადამიანი ჯერ კიდევ გაჩენილი არ იყო, როდესაც ალლაჰმა მასზე ღვთისმსახურების შესასრულებლად ადამიანის გაჩენა მოისურვა და ანგელოზებს უთხრა:

„დედამიწაზე ხალიფა უნდა გავაჩინო“. ანგელოზები ალლაჰს შეეკითხნენ:

„ო, ალლაჰ! შენ დედამიწაზე პანიკის ამტეხი და სისხლის დამღვრელი არსება უნდა გააჩინო?! ჩვენ კი შენ გაქებთ, გადიდებთ და ყოველთვის გემორჩილებით.” ალლაჰმა მათ ასე უპასუხა:

„მე ისიც ვიცი, რაც თქვენ არ იცით.“ ანგელოზები გაჩუმდნენ და შემდეგ ერთმანეთს ჰკითხეს:

„უეჭველია, ჩვენმა ღმერთმა ყველაფერი იცის, ის უსარგებლო რამეს არ გააჩენს“.

შემდეგ ალლაჰმა ანგელოზებს ასე უბრძანა:

„ო, ჩემო ანგელოზებო! მე ადამიანი მიწიდან უნდა გავაჩინო, მას ფორმა უნდა მივსცე და სული ჩავუდგა. მას საჭირო პატივი ეცით და ჩემი ბრძანებით სეჯდე გაუკეთეთ!“

ანგელოზებმა ერთხმად უპასუხეს:

„ო, უზენაესო, ალლაჰ! შენს ბრძანებას მოვუსმენთ და შენ დაგემორჩილებით!“

ალლაჰის ეს ბრძანება ეშმაკს არ მოეწონა. მას საკუთარი თავი ძალიან უყვარდა და ალლაჰის გაჩენილებიდან ყველაზე საუკეთესო ეგონა.

ბოლოს ალლაჰმა ადამიანი გააჩინა. ანგელოზები ალლაჰის ბრძანებას დაემორჩილნენ და ადამს პატივი მიაგეს, სეჯდე გაუკეთეს. ეშმაკი კი გაამაყდა და ადამისთვის სეჯდეს გაკეთებას გაექცა. ასე ის ალლაჰის ბრძანებას შეეწინააღმდეგა, რის გამოც წყეული გახდა.

უზენაესი ალლაჰი ეშმაკს შეეკითხა:

„ჩემს ბრძანებას რატომ არ დაემორჩილე? სეჯდეს გაკეთების დამაბრკოლებელი მიზეზი რა არის?“ ეშმაკმა შემდეგი პასუხი გასცა:

„მე — ცეცხლიგან, ის კი მიწისგან (ტალახისაგან) გააჩინე. მე მასზე უკეთესი ვარ“. ამ სიტყვების გამო უზენაესმა ალლაჰმა ეშმაკი სამოთხიდან გააძევა.

შემდეგ ალლაჰმა ადამი სამოთხეში შეიყვანა, მეუღლედ ევა გაუჩინა და ასე უთხრა:

„ო, ადამ! შენ და შენი მეუღლე სამოთხეში დარჩით. იქ, რაც გინდათ, ყველაფერი სურვილისამებრ ჭამეთ. მხოლოდ ამ ხეს არ მიუახლოვდეთ, თორემ თქვენთვის ეს ცუდად დამთავრდება“

უზენაეს ალლაჰს ყველა ხილის ჭამის ნება მიუცია, მხოლოდ ერთის ჭამა აუკრძალავს მათთვის. ამგვარად, ის ადამიანს ეგოიზმზე მმართველობასა და ნებასურვილის კონტროლს ასწავლიდა.

ადამი და ევა სამოთხეში მშვიდად და ბედნიერად ცხოვრობდნენ. დაღლა და შიში რა იყო, არ იცოდნენ. სურვილისამებრ ყველაფერს მიირთმევდნენ. უზენაესმა ალლაჰმა წმინდა ადამი ეშმაკის შესახებ გააფრთხილა:

„ო, ადამ! სიმართლე თუ გინდა იცოდე, ეშმაკი შენი და შენი მეუღლის მტერია. ფრთხილად იყავით, თუ თქვენ სამოთხიდან გამოგიყვანთ, უბედურები იქნებით. ვინაიდან სამოთხეში არც მოგშივდებათ, არც შიშველი დარჩებით, არც მზის სიცხე შეგაწუხებთ და არც მოგწყურდებათ.“

ადამმა და ევამ სამოთხეში რამდენიმე ხანს ბედნიერად იცხოვრეს. მაგრამ ეშმაკი უქმედ არ რჩებოდა. სხვადასხვა ცდუნებებზე (თაღლითობაზე) ფიქრობდა. ერთ დღეს ადამს ჩუმად მიუახლოვდა და

ასე წასჩურჩულა:

„ო, ადამ! გინდა შენ უკვდავი ხე და სასულთნო გაჩვენო?“ ადამმა ეშმაკს შეხედა და უთხრა:

„რა არის ის? მაჩვენე, აბა!“

ეშმაკმა ალლაჰის მიერ აკრძალული ხე რომ აჩვენა, ადამმა მას არ დაუჯერა და გვერდიდან მოიშორა. ეშმაკი არ შედრკა, კვლავ მათთან მივიდა და ჩასჩურჩულა:

„იცით, თქვენმა გამჩენმა ეს ხე თქვენთვის რატომ აკრძალა? თუ ამ ხის ნაყოფს შეჭამთ, მუდმივად აქ დარჩებით. ამიტომ ამის თავიდან ასაცილებლად ის ხილი თქვენთვის აკრძალა. კარგად დაფიქრდით, აბა, მიდით და ჭამეთ იმ ხის ხილი!“

წმინდა ადამმა და ევამ ეშმაკს არ მოუსმინეს და მას გაშორდნენ. ეშმაკი უკან აედევნა და ალლაჰზე დაფიცებით ასე უთხრა:

„დამიჯერეთ, მე მართლა კარგ რჩევა-დარიგებას გაძლევთ!“

იბლისმა (ეშმაკი) ალლაჰზე რომ დაიფიცა, ადამმა და ევამ ერთმანეთს ასე უთხრეს:

„ვიღაცის ტყუილად ალლაჰზე დაფიცება შეუძლებელია. იქნებ მართალს ამბობს”. შემდეგ ალლაჰის აკრძალული ხილის ჭამა დაიწყეს.

ხილი რომ შეჭამეს, სამოთხის ტანსაცმელი გაუქრათ და სასირცხვო ადგილები გამოუჩნდათ. ძალიან შერცხვათ. ხის ფართო ფოთლებით მის დაფარვას შეეცადნენ, მაგრამ ამაოდ. მათ არ იცოდნენ, რა უნდა ეკეთებინათ.

ალლაჰმა მათ ასე ჰკითხა:

„განა მე თქვენ იმ ხილის ჭამა არ აგიკრძალეთ? არ გითხარით, რომ ეშმაკი სრულიად აშკარა მტერია? ჩემს ბრძანებას რატომ არ მოუსმინეთ?“

წმინდა ადამმა და ევამ უპასუხეს:

„ო, ალლაჰო! შეგვიწყალე, გვაპატიე ჩვენ!“

უზენაესმა ალლაჰმა მათ ასე უბრძანა:

„მე თქვენ გიბრძანეთ, თქვენ კი ჩემი ბრძანებების წინააღმდეგ გამოხვედით.“

ადამმა და ევამ ხვეწნითა და ვედრებით უპასუხეს:

„ო, ჩვენო გამჩენო! ჩვენ თავი მოგვეჭრა. თუ არ შეგვიწყალებ და არ გვაპატიებ, უეჭველად, ძალიან დაზარალებული აღმოვჩნდებით.“

უზენაესმა ალლაჰმა წმინდა ადამს ასე უთხრა:

„შენ ყველაზე დიდი სიმდიდრე - სამოთხე გიბოძე. ყველა სურვილი აგისრულე. ეს ყველაფერი არ გეყო,? ამ ხეს რატომ მიუახლოვდი?“

ადამმა უპასუხა:

„გეფიცები, თუ ვინმე შენ სახელზე ტყუილუბრალოდ დაიფიცებდა, არ მეგონა.“

უზენაესმა ალლაჰმა ატირებულ ადამს უთხრა:

„გეფიცები, დედამიწაზე უნდა ჩახვიდე, სიცოცხლე შრომაში, ოფლისღვრაში უნდა გაატარო.“ შემდეგ ალლაჰმა ბრძანა:

„ყველა დედამიწაზე მიბრძანდით, იქ ცოტა დროით უნდა დაბინავდეთ და თქვენი საარსებო საშუალებებით დაკმაყოფილდეთ.“

წმინდა ადამს ძალიან ეწყინა, ჩადენილი საქციელის გამო ინანა და ტირილი დაიწყო.

„ო, ჩემო ალლაჰ, მაპატიე! ო, ჩემო ალლაჰ, შემიწყალე!“ — ასე ეხვეწებოდა უზენაეს ალლაჰს.

ბოლოს ალლაჰმა იგი შეიწყალა და მისი მონანიება მიიღო. რადგან იგი პატიობს მათ, ვინც გაკეთებულ შეცდომებს მოინანიებს. ალლაჰი ძალიან შემწყალებელია.

(ყურანი ქერიმიდან რელიგიური ნოველები, სეიი-იდ ქუთუბ-აბდულლაჰ ჯუდე ეს-საჰჰარ)

(იხილეთ შემდეგი აიათები: სურა ბაყარა, აიათები 30-37 და სურა არა,“ აიათები 11-25)

ეშმაკი

თვალით უხილავ არსებათაგან ერთ-ერთი ეშმაკია. ყურანში ის მეორე სახელით, „იბლისით“, არის მოხსენიებული. მან პირველ ადამიანს — წმინდა ადამს სეჯდე არ გაუკეთა და ალლაჰის წყალობისგან გააძევებს. ის ცეცხლისგან არის გაჩენილი და ბოროტების სიმბოლოა.

ეშმაკის ღვთის წყალობისგან გაძევების მიზეზი, მისი სიამაყე და ალლაჰის ბრძანებების ურჩობა იყო. ალლაჰმა იგი წმინდა ადამის გამო დასაჯა. ამის გამო ის ადამიანების მტერი გახდა. ის სწორი გზიდან მათ ასაცდენად ყოველნაირ ტყუილს იგონებს და იყენებს. მას ალლაჰის ბრძანებების ურჩობა და ბოროტების ჩადენა სურს. ასე იქცა ის შურისმაძიებლად, წმინდა ადამისა და მისი შთამომავალი ადამიანების ჯოჯოხეთში შესვლის მიზეზად. უზენაესი ალლაჰი ეშმაკის მტრობისა და ცდუნებების შესახებ ასე გვაფრთხილებს: ***„ვინაიდან, ეშმაკი თქვენი მტერია. თქვენც იგი მტრად შეიცანით. ის თავის მიმდევრებს მხოლოდ ჯოჯოხეთისკენ იწვევს“*** *(სურა, ფატირი, აიათი -6)*

ეშმაკი უძლური არსებაა. იგი ადამიანის გულებში მხოლოდ უარყოფითი ზრახვების შეტანას ცდილობს. ცუდ და უზნეო (საძაგელ) საქციელს კარგად გვაჩვენებს. გულებს მოუსვენრობას აძლევს. ის ალლაჰისა და განკითხვის დღის დავიწყებისთვის მუშაობს. ჩვენ, ადამიანები, ჭკვიანი და თავისუფალი არსებები ვართ. ამ თვისებით ჩვენ ეშმაკზე ძლიერები ვართ. რადგან ის ჩვენგან განსხვავდება და მას თვალით ვერ ვხედავთ, ამიტომ ძალისმიერი მეთოდით სიცუდეს ვერ გაგვაკეთებინებს. უზენაესი ალლაჰი ასე გვაცნობებს: ***„უდავოა ის, რომ მას*** *(ეშმაკს)* ***არ გააჩნია ზემოქმედების ძალა მათზე, რომელთაც სწამთ და ემორჩილებიან თვიანთ ღმერთს. მისი ზემოქმედება მხოლოდ მათზეა, რომელნიც მფარველად იხდიან მას*** *(შეითანს)* ***და რომელნიც წარმართობენ.*** *(სურა ნაჰლი, აიათები. 99-100)*

უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

„.იგი (იბლისის) იყო ჯინთაგანი, აუმბოხდა თავისი ღმერთის ბრძანებას.“

სურა ქეჰფი, აიათი 50

მაშ ასე, ჭკუას და თავისუფლებას თუ გამოვიყენებთ, თუკი ეშმაკის გრძნობებსა და აზრებს არ დავემორჩილებით, მაშინ ავსა და უზნეო საქმეს არ გავაკეთებთ. ასე რომ ეშმაკი თავის მიზანს ვერ მიაღწევს და მის წინააღმდეგ გავიმარჯვებთ. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, მის წინააღმდეგ მხოლოდ ერთხელ გამარჯვება საკმარისი არ იქნება. მასთან ბრძოლა სიცოცხლის ბოლო წუთამდეა საჭირო.

ეშმაკის აღიარება

საიქიოში განკითხვის დასრულების შემდეგ ეშმაკი ასე იტყვის: „უეჭველად, ალლაჰმა თქვენ ჭეშმარიტებისკენ გიხმოთ. მეც პირობა მოგეცით, მაგრამ მატყუარა აღმოვჩნდი. თანაც მე არ მქონდა ძალა თქვენ მეიძულებინეთ. ამიტომ მე კი არა, საკუთარი თავი თქვენვეუნდა გაკიცხოთ. ჩვენ, გარკვეული მიზეზების გამო, ერთმანეთს ვერ გადავარჩენთ. უწინ ჩემს ალლაჰზე გატოლებას თავად მევე არ ვეთანხმებოდი. მჩაგვრელთა და უსამართლოთათვის ნამდვილად არსებობს უსასტიკესი სასჯელი.

(სურა იბრაჰიმი, 22 აიათი)

უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

„მაგრამ შენ, უთუოდ, გეწევა ცდუნება ეშმაკისგან. მაშ, ალლაჰს მიეკედლე! უეჭველად, იგია ყოვლისმსმენი, ყოვლისმცოდნე.“

სურა ფუსსილეთი, აიათი 36

ეშმაკისგან ალლაჰს შევეფაროთ

უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

„თქვი: მივეკედლები აისის უფალს ცოცხალი არსებების მიერ შექმნილი (ყოველგვარი) სიავისგან! წყვდიადის სიავიდან, რომელიც ღამემ შექმნა!კვანძებზე შემლოცველი ქალების სიავისგან და მოშურნის სიავისგან, როცა შურს!“

სურა ფელეყი, აიათები 1-5

უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

„თქვი: მივეკედლები ადამიანთა გამჩენს, ადამიანთა ღმერთს, ადამიანთა ღვთაებას მაცდურის (ეშმაკის) დაფარული სიავისგან, რომელიც ადამიანთა გულებს უბიძგებს ცუდისაკენ! (ის ეშმაკი) გინდ ჯინთაგან და თუგინდ ადამიანთაგან (იყოს)!.

სურა ნასი, აიათები 1-6

თანამიმდევარი, რომლის ცხედარიც ანგელოზებმა ატარეს

სელემე ბინ ესლემი მოგვითხრობს:

„ალლაჰის შუამავლის ერთ-ერთ ყველაზე საყვარელი მეგობარი საად ბინ მუაზი, გარდაცვლილიყო. მისი იმქვეყნად წასვლის ამბავი რომ გაიგო, ალლაჰის შუამავალი მეგობრებთან ერთად გარდაცვლილის მოსანახულებლად წავიდა. იგი წინ მიდიოდა, ჩვენ კი უკან მივყვებოდით. ოთახის კარებთან ახლოს რომ მივედით, შუამავალი შიგნით შევიდა. ოთახში საად ბინ მუაზის ცხედარი ესვენა. მაგრამ საყვარელი შუამავალი ისე ფრთხილად, ყურადღებით და შიშით დადიოდა, თითქოს ვიღაცას ფეხი უნდა დააბიჯოსო. ოთახში შესვლა რომ მოვინდომე, მანიშნა, სადაც ვიყავი, იქ დავრჩენილიყავი. მე გავჩერდი, ჩემ უკან მყოფებსაც გაჩერების ნიშანი მივეცი. სამყაროს სიამაყე გარეთ რომ გამოვიდა, ვკითხე: „ო ალლაჰის შუამავალო! მე ვინმე არ დამინახავს, მაგრამ თქვენ, თითქოს, ვიღაცეების მხრებიდან გადახტომის მსგავს ნაბიჯებს დგამდით.“

მან ასე მიპასუხა: „საადის ცხედრის გასასვენებლად დედამიწაზე მაშინ, პირველად, სამოცდაათი ათასი ანგელოზი ჩამობრძანდა. ოთახში დასაჯდომი ადგილი ვერ ვიპოვე. ერთ-ერთმა ანგელოზმა ადგილი დამითმო და მხოლოდ ამის შემდეგ შევძელი დაჯდომა.“

უკეთილშობილესი ალლაჰის შუამავალი საად ბინ მუაზისგან ისეთი კმაყოფილი დარჩა, რომ სულ ამ სიტყვას იმეორებდა:

„ო, ება ამრ! რა ბედნიერებაა შენთვის! ო, ება ამრ! რა ბედნიერებაა შენთვის! ო ება ამრ! რა ბედნიერებაა შენთვის!

(იბნ საად III. 428-430)

ალლაჰის შუამავალი და ანგელოზები

წმინდა ადამის პატივისმცემელი ანგელოზები მისი თაობიდან მოსულ ყველა მორწმუნეს პატივს სცემენ. უზენაესი ალლაჰის საყვარელი ადამიანები მათაც უყვართ. ამიტომ ანგელოზებს უფრო მეტად, სწორედ, შუამავლები უყვართ და უპირატესობასაც მათ ანიჭებენ.

წმინდა მუჰამმედი ალლაჰის მიერ კაცობრიობისთვის გამოგზავნილი ბოლო შუამავალია. ის, როგორც ყველანაირად სრულყოფილი პიროვნება, ადამიანებისთვის მისაბაძი მაგალითია. ალლაჰს ის უყვარს და თავის მონა-მსახურებსაც შეაყვარა. ანგელოზებსაც მის მიმართ იგივე გრძნობები ჰქონდათ და ამიტომ მისი შუამავლობა ერთმანეთს უმახარობლეს.

ალლაჰის შუამავლის მჭიდრო ურთიერთობა ანგელოზებთან ყურანის ზეგარდმოვლენით დაიწყო. მაშინ წმინდა მუჰამმედი ორმოცი წლის იყო. ის მექას ახლოს, ჰირას გამოქვაბულში დადიოდა, რამდენიმე ღამეს იქ დაჰყოფდა და უკან ბრუნდებოდა. იქ იგი უზენაეს ალლაჰს მოიხსენიებდა, სამყაროს და კაცობრიობის მომავალზე ფიქრობდა. გამოქვაბულში ყოფნისას, ერთ ღამეს, მას ალლაჰის მიერ გამოგზავნილი ჯებრაილ ანგელოზი ეწვია და მისგან მიღებული ზეშთაგონების(ვაჰის) გამეორება ისურვა. წმინდა შუამავალი წერა-კითხვის უცოდინარი იყო. ჯებრაილ ანგელოზმა განმეორება რამდენიმეჯერ სთხოვა. იგი ერთსა და იმავე პასუხს სცემდა. ჯებრაილ ანგელოზმა ყურანის პირველი აიათები წაუკითხა. პირველი ზეშთაგონების მიღების შემდეგ გამოქვაბულიდან გამოსულმა ჯებრაილ ანგელოზმა მოქუფრული ცა დაინახა. ამ ამბის შემდეგ, იგი, ოცდასამი წლის განმავლობაში, სხვადასხვა დროს წმინდა შუამავალს ყურანის აიათებსა და სურებს, ე.ი. ალლაჰის მიერ გამოგზავნილ შთაგონებებს აცნობდა.

შუამავალი ყოველწლიურად, რამაზნის თვეში, მანამდე ჩამოსულ აიათებს ჯებრაილ ანგელოზს ზეპირად უკითხავდა. გარდაცვალების მოახლოების წელს მას ყურანი თავიდან ბოლომდე, ორჯერ ჯებრაილ ანგელოზის თანდასწრებით წაუკითხავს.

იგი შუამავალს ზოგჯერ ადამიანის ფორმით ეცხადებოდა. ერთ დღეს ჯებრაილ ანგელოზი შუა- მავალს მაშინ ეწვია,

თეთრ და სუფთა ტანსაცმელში გამოწყობილი, როცა ის თანამიმდევრებთან ერთად იჯდა და რწმენის სიკეთის, მკვდრეთით აღდგომისა და ქვეყნიერების აღსასრულის შესახებ კითხვები დაუსვა. პასუხების მიღების შემდეგ მას გაშორდა და წავიდა. საყვარელმა შუამავალმა მეგობრებს ჯებრაილ ანგელოზის მოსვლისა და მათთვის რელიგიის სწავლების ამბავი აცნობა.

ალლაჰი თავისი შუამავლის მანუგეშებლად ანგელოზებს აგზავნიდა. ამის ყველაზე საუკეთესო მაგალითი ჰიჯრეთის დროს მოხდა. მექქელი წარმართები გამოქვაბულის პირას მისულიყვნენ. უზენაესმა ალლაჰმა იმ დროს შუამავალს სიმშვიდისა და ნდობის შეგრძნება უწყალობა და თვალით უხილავი ანგელოზების არმიით დაეხმარა.

უზენაესმა ალლაჰმა ანგელოზების არმიით ბედირისა და უამრავ სხვა ომში საყვარელ შუამავალს და მის თანამიმდევრებს შემწეობა აღმოუჩინა. ასევე ჰუნეინის ბრძოლის დროს, კრიტიკულ მომენტში, მუსლიმანებს ანგელოზების არმია მოუვლინა და დახმარება გაუწია.

სამყაროს სიამაყე გვამცნობს: ისეთ ადგილებში, სადაც ალლაჰის კმაყოფილებისთვის ზრუნავენ. სადაც ცოდნა იზრდება, ყურანი იკითხება, ღვთისმსახურება სრულდება, კარგ და ლამაზ საქმეებზე საუბრობენ, ანგელოზებიც თავს იყრიან. ასეთ ადგილებში მყოფი ადამიანებისთვის ისინი ვედრებას აღავლენენ და გულებში მათ სიხარულსა და სიმშვიდეს ჩაუნერგავენ.

მორწმუნეთა გვირგვინი, უსაყვარლესი შუამავალი, მუსლიმებს ანგელოზების შემაწუხებელი ყოფაქცევებისგან თავის შეკავებას ურჩევდა, თვითონაც იგივეს აკეთებდა და ბრძანებდა: „უზენაესი ალლაჰის სასურველი ზნეობისანი იყავით“ იგი ხახვისა და ნიორის ჭამის მოყვარულებს, ვიდრე პირიდან ცუდი სუნი არ გაუქრებოდათ, მეჩეთში შესვლას არარეკომენდირებულად უთვლიდა.

უკეთილშობილესი შუამავალი მთელი კაცობრიობისათვის წყალობად მოვლენილია. ალლაჰს იგი ანგელოზებისთვისაც შეუყვარებია, ამათგან მისი დიდება და დალოცვა მოუთხოვია. ამიტომ ისინი ჩვენი შუამავალისთვის ევედრებიან და ლოცულობენ. ზოგი მათგანი იმ მორწმუნეთა დადგენითა და მათი ლოცვების უკეთილშობილეს შუამავლამდე მიტანით არის დაკავებული, რომლებიც სამყაროს სიამაყის ხსენებისას სელათუ სელამს წარმოთქვამენ.

უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

„უეჭველად, ალლაჰი ხომ მისი მფარველია, ჯიბრილიც და მართლმორწმუნენიც, ასევე ანგელოზნიც.“

სურა თაჰრიმი, აიათი 4

ანგელოზების მეშვეობით გარდმოვლენილი დახმარება

ბედრის ბრძოლა მუსლიმებსა და მექქელ წარმართებს შორის მომხდარი პირველი დაპირისპირებაა. წარმართები მუსლიმანებზე სამჯერ მეტნი იყვნენ. ისინი მათ ძირფესვიანად განადგურებას გეგმავდნენ.

ბრძოლის დაწყებისთანავე ორი არმია ერთმანეთს დაუნდობლად ეკვეთა. მუსლიმები სამკვდრო-სასიცოცხლოდ იბრძოდნენ. უკეთილშობილესი შუამავალი, ცად ხელებაპყრობილი, შემდეგ ვედრებას იმეორებდა:

„ო, ალლაჰ! აგერ ყურეიში მთელი სიამაყითა და ქედმაღლობით შენი რელიგიის ჩასახშობად მოვიდა. ორთაბრძოლაში გიწვევს. შენს შუამავალს უარყოფს. ღმერთო ჩემო! როგორც შენ შუამავლებს დაეხმარე, ასევე ჩემზე მოცემული სიტყვა შეასრულე. მტრის ჯარზე გამარჯვება მოგვაპოვებინე. თუკი ეს, ერთი მუჭა მორწმუნე განადგურდება, დედამიწაზე შენი მონა-მსახური აღარავინ დარჩება.“

უზენაესმა ალლაჰმა ჩვენი შუამავლის ეს ვედრება ისმინა და ბრძოლის ყველაზე კრიტიკულ წუთებში ჯგუფ-ჯგუფად ანგელოზები გამოგზავნა. მუსლიმანებს ათასობით ანგელოზი ეხმარებოდა. ბრძოლა მათი სრული გამარჯვებით დასრულდა. უზენაესი ალლაჰი ამ დახმარების შესახებ ყურანში ასე ბრძანებს:

„ვფიცავ, თქვენ ბედირთან დაგეხმარათ ალლაჰი, როცა უძლურნი იყავით, მაშ გეშინოდეთ ალლაჰისა, რათა მადლიერნი იყვნეთ. *(მუჰამმედ)* ***მაშინ შენ მორწმუნეებს ეუბნებოდი: ნუთუ საკმარისი არაა თქვენთვის, რომ გეხმარებათ ღმერთი, მოვლენილი სამიათასი ანგელოზით. დიახ! თუკი მომთმენნი და ღვთისმოსავნი იქნებით, მტერი თავს მოულოდნელადაც რომ დაგესხათ, შეგეწევათ ალლაჰი ხუთიათასი ნიშანდასმული ანგელოზითაც. და არა***(ფრისთვის)***ჰქმნა ალლაჰმა ეს***(დახმარება)***, გარდა თქვენი გულგახარებისა. და არა***(ვისგანა)***ა დახმარება გარდა ალლაჰისა, ძლიერისა და ბრძენისა.“***

(სურა ალი იმრანი, აიათები 123-126)



უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

„უეჭველად, ალლაჰი და მისი ანგელოზები ლოცავენ შუამავალს. ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! ილოცეთ მასზე და მიესალმეთ მხურვალედ!“

სურა აჰზაბი, აიათი 56

მოდით, ჩვენც, ანგელოზების მსგავსად, ჩვენი შუამავლის ალლაჰის წინაშე ადგილის ამაღლებისთვის შევევედროთ. ულამაზესი და გულწრფელი სალამი ანგელოზების სხივმოსილი ფრთებით ქვეყნიერების უბადლო შუამავალს გავუგზავნოთ.

اَللّٰهُمَّ صَلِّ عَلٰى سَيِّدِنَا مُحَمَّدِنِ النَّبِيِّ
الْاُمِّيِّ و عَلٰى اٰلِهِ وَصَحْبِهِ وَسَلِّمْ

ალლაჰუმმე სელლი ალაა სეიი-იდინაა მუჰამმედინ ინ-ნებიი ილ-უმმიი ვე ალა ალიჰი ვე საჰბიჰი ვესელლიმ.

ო, ალლაჰ! წერა-კითხვის არ მცოდნე უკეთილშობილესი მუჰამმედ შუამავალი, მისი ოჯახი და მეგობრები დალოცე და მიესალმე!

amin!

კითხვები

შევავსოთ კროსვორდი



1	მუნქირ ვე ნექირი ანუ.....?	6	ალლაჰის ნებართვით ცოცხალ არსებებზე სულის ამრთმეველი ანგელოზი;
2	ბუნების კანონებისა და გაჩენილ-ების სარჩო-საბადებლის მმართველი ანგელოზი;	7	რისგან გაჩნდა ანგელოზი;
3	ქირამენ ქათიბინ ანუ.....?	8	რისგან გაჩნდა ადამიანი;
4	ჰეფეზე მელეიქი ანუ.....?	9	რისგან გაჩნდა ეშმაკი;
5	წარღვნის დროის მოახლოებისას სუ-რაში ჩაბერვით წარღვნის და იმქვეყ-ნიური ცხოვრების შემტყობინებელი ანგელოზის;	10	ალლაჰისგან შუამავლებისთვის ვაჰის მომტანი ანგელოზი.

2 გამოტოვებულ ადგილებში ჩასვით ფრჩხილებში მოცემული სიტყვები 3

(ამინს / სატანა / ჩამწერი/ ვედრებაზე / მტერად / ზეგავლენის / ეშმაკის / ნარმართებზე / ნამოქმედარს / ანგელოზების)

1. „ადამიანის მარჯვენა და მარცხენა მხარზე ორი . . . . . ანგელოზი არსებობს. მას თვალყურს ადევნებენ და ყველა ნათქვამსა და . . . . . მაშინვე წერენ.“

2. „ . . . . . თქვენი მტერია. თქვენც იგი . . . . . აღიარეთ. ის თავის მომხრეებს მხოლოდ ჯოჯოხეთისკენ უხმობს.“

3. „ეშმაკს მორწმუნე და ალლაჰზე მინდობილ ადამიანებზე საერთოდ . . . . . მოხდენის შესაძლებლობა არ გააჩნია. ის მხოლოდ თავის თანამოწილეებზე და . . . . . ახდენს ზემოქმედებს.“

4. „ვედრებისას თქვენთვის მხოლოდ კარგი და ლამაზი საქმეები ისურვეთ. რადგან თქვენ მიერ აღვლენილ ..... ანგელოზებიც . . . . . ამბობენ.“

5. ვინც შიგნიდან სიკეთის ამოძახილ ხმას გაიგონებს იცოდეს, რომ ის, ... ხმაა. მაშინვე მას მიჰყვეს, ალლაჰს მადლობა გადაუხადოს. ვინც კი შიგნიდან ცუდობისაკენ ამოძახილ ხმას გაიგონებს, იცოდეს, რომ ის . . . . . ხმაა. მისგან თავი შორს დაიჭიროს, ალლაჰს მიენდოს.

შევამოწმოთ ჩვენი ცოდნა

1. ანგელოზების ქვემოთ მოცემული თვისებებიდან რომელია შეცდომა?

ა) არ ჭამენ, არ სვამენ;

ბ) არ დაიძინებენ;

გ) მამრობითი და მდედრობითი სქესი არ გააჩნიათ;

დ) ალლაჰის წინააღმდეგ ამხედრების შესაძლებლობა გააჩნა.

2. ქვემოთ მოცემულებიდან რომელი არაა ანგელოზების სამსახური (დავალება, საქმიანობა)?

ა) ადამიანებისთვის მაგალითის ჩვენება;

ბ) ადამიანებზე თვალყურის დევნება;

გ) მორწმუნეებისთვის ვედრების გაკეთება;

დ) შუამავლებზე ვაჰის (შთაგონება) მოტანა.

3. ქვემოთ მოცემულიდან ჩვენს მიერ ანგელოზების არსებობის დაჯერების შემთხვევაში, რომელ თვისებას შევიძენთ?

I. ადამიანობის (მონა-მსახურობის) ცნობიერებას მოგვიმატებს;

II. შრომისმოყვარეობას უზრუნველყოფს;

III. ცუდი საქციელისგან შორს დაგვიჭერს;

IV. აუცილებლად სამოთხეში შეგვიყვანს.

ა) I-II-IV ბ) I-III-IV

ც) I-II-IV დ) I-II-III-IV

4. ქვემოთ ჩამოთვლილი ანგელოზებიდან რომელი არ არის ოთხი დიდი ანგელოზთაგანი?

I. მიქაილი

II. ისრაფილი

III. მუნქერი ნექირი

IV. ჯებრაილი

V. აზრაილი

VI. იუნუსი

ა) I -IV ბ) II-VI

გ) III-VI დ) IV-V

5. კარგი და ლამაზი საქციელის გაკეთების სურვილისთანავე ჩვენს გულებში ზოგიერთი ცუდი ან კარი ფიქრი (აზრები) მოგვივა, რომლებსაც ეშმაკი ან ანგელოზი ჩაგვძახებს. ქვემოთ მოცემული ფიქრებიდან რომელი ეკუთვნის ეშმაკს?

ა) ამ საქციელით შინაგანად სიმშვიდე და შვება უნდა იგრძნო;

ბ) სხვებისთვის კარგი ქცევის მაგალითი უნდა იყო;

ც) ეს საქციელი სააქაოში მაინც არაფერში გამოგადგება;

დ) ალლაჰის სიყვარული და კმაყოფილება უნდა მოიპოვო.

პასუხების გასაღები

შევავსოთ კროსვორდი



გამოტოვებულ ადგილებში ჩასვით ფრჩხილებში მოცემული სიტყვები.

1. ჩამწერი - ნამოქმედარს
2. სატანა - მტერად
3. ზეგავლენის - წარმართებზე
4. ვედრებაზე - ამინს
5. ანგელოზების - შეითნის



შევამოწმოთ ჩვენი ცოდნა

1) დ, 2) ა, 3) დ, 4) გ, 5) გ,